-44838-

103

ლექსები

და პოემა

«ნაკადული»
1970

A
88-31
ლ 831

7-3-4

„დაფნისი და ქლოე" ბუკოლიკური რომანია. მისი ავტორი, ლონგე, წარმოშობით ლესბოსელია. ვარაუდობენ, რომ იგი ცხოვრობდა I ან II საუკუნეში. ამ რომანში მოთხრობილია მწყემსებში აღზრდილი ორი ბავშვის თავგადასავალი.

ფრანგულიდან თარგმნა
ირინე ჟვანიასაძემ

ლესბოსზე რომ ვნადირობდი, ნიმფებისადმი შეწირულ ჭალაში საუცხოო სანახაობა ვიხილე. ეს იყო ყველაზე მშვენიერი, რაც კი თდესმე მინახავს, თვალწარმტაცი სურათი — ამბავი სიყვარულისა. ეს მშვენიერი ჭალა უხვად შეემკო ხეებს, ყვავილებსა და მდინარეს. ყველა ხესა და ყვავილს ერთი წყარო ასაზრდოებდა. მაგრამ კიდევ უფრო აბარებდა თვალს მეორე სურათი; იგი ხელოვნების საუცხოო ქმნილება, სიყვარულის გამოხატულება იყო. უცხოელებს მასზე მოსმენილი ამბავი იხიბავდათ, მოდიოდნენ აქ, ნიმფებს ლოცვას აღუვლენდნენ, ხოლო სურათით ტკბებოდნენ, ამ სურათზე კი, აი, რისი ხილვა შეიძლებოდა: აქეთ ქალები მშობიარობენ, იქით ახალშობილებს საბურველით ამკობენ, აგერ კიდევ მიტოვებულ ბავშვებს ძიძაობენ ნერბები და წალები; შერე მწყემსები ზრდიან ბავშვებს. ვნახე შეყვარებული ქალ-ვაჟი, მეკობრეების თავდასხმა, მტრის შემოსევა. სხვაც ბევრი ვნახე და რაც ვნახე, ყველაფერი გამსჭვალული იყო სიყვარულით. აღტაცებული, სურვილმა შემიპყრო, სურათს გაუჯიბრებოდი და მოთხრობა დამეწერა. მოვნახე კაცი, ვინც ამ სურათის შინაარსი გა-

მაგებინა. ბეერი ვიშრომე და ოთხი წიგნი დავწერე ეროტის, ნიმფებისა და პანისთვის შესაწირად და ყველა ადამიანის გულის გასახარებლად, დავადებულის განსაკურნავად, მწუხარის სანუგეშოდ. ვისაც უყვარდა, სიყვარულს მოავონებს, ხოლო ვისაც არ ჰყვარებია სიყვარულს ასწავლის. სიყვარულს ჩემ ცუდად გაქცევია და ვერც გაექცევა, სანამ სილამაზე არსებობს და მის დასანახად თვალი გვაქვს ნაბოძები, მე კი ღმერთსა ვთხოვ, გონება მეყოს და სხვისი სიყვარულის ამბის დაწერა შემაძლებინოს.

წიგნი პირველი

1. ლესბოსზე არის ქალაქი მიტილენე, დიდი და ლამაზი, ივი დასერილია არხებით, რომელთაც ზღვა მშვიდად ავსებს, და შემკობილია თლილი ქვით ნაშენი ხიდებით. კაცი იფიქრებს, ჭალაქს კი არა, კუნძულს ეხლოვარ.

ამ ჭალაქიდან დაახლოებით ორას სტადიონზე ერთი მდიდარი კაცის მამული მდებარეობდა. ეს იყო შესანიშნავი აღგილი: მთაში ნადირი, ბარად ყანები, გორაკებზე ვენახი, მდელოებზე ჯოგები, და ზღვა, რომელიც ნაპირებსაც მიილტვოდა და რბილ სილაზე მხატვნებდა.

2. აი, ამ მამულში ცხოვრობდა ლამონი, თხის მწყემსი. ერთხელ, თავის არვის რომ მწყემსავდა, ბავშვი იპოვა. ერთი მისი წალი ბალღის ძუძუს აწოვებდა. იქვე მახლობლად ხშირი ჯაგით მოფენილი, დაბურული ტყე იყო, ყველაფერს სურო ეხვეოდა, მოლი ნახად ბიბინებდა ამ მოლზე იწვა ბავშვი. ეტყობა, წალი მუდამ აქ მოდიოდა, თავის თიკანს ტოვებდა, თვალს მოეფარებოდა და ბავშვთან დაეხანს რჩებოდა. ლამონსაც რომ შეემჩნია, თხა სადღაც გარბისო, მიტოვებული თიკანი შეეცოდა. სწორედ შეეძლისას კვალდაკვალ დაედევნა წალს და ხელში: თხა ერთხელად დედის ეშინია, თავისი ჩლიქებით ბავშვს არაფერი ავნოს. ჩვილი კი, თითქოს დედის მკერდს ეკვრიაო, ძუძუს ხარბად წოვს. მწყემსს, რა თქმა უნდა, შეცარის, მიეახლოვება და თავს წააღგებს ბავშვს. შვილანი ბალღია, ლამაზი და, მიგდებული ბავშვის პირობაზე, მეტად მორთული. მეწამული საბურველი, ოქროს საკინძე, სპილოს ძვლის ტარიანი დანა იქვე ელება.

3. ლამონმა პირველად კინაღამ განიზრახა თან წაებოდა ბავშვის საჩინო ნიშნები, ჩვილი კი იქ დაეტოვებინა, მაგრამ შერცხვა, თბაზე უგულო გამოვდგებოდი, დალანძას დაელოდა და თავის ცოლს, მირტალს, საჩინო ნიშნები მიეტანა, ბავშვი ჩაებარებინა და თხაც მიეყვანა. ჭალა გაიცადა: ნეთუ წალებსაც ბავშვის გაგება დაეწვევათ? ქმარმა დალაგებით ეამბო, როგორ იპოვა ბავშვი, როგორ ნაბა, რომ წალი ძუძუებაგდა და როგორ შერცხვა. სანაცვლოდ განწირული ბავშვის მიტოვება რომ განაზრახა, ცოლმა ქმარს საქმეული მოუწონა. მერე ბავშვის ნიშნები შეინახეს, ბალღი თავისად სცნეს და მისი ძუძუ წალს მიანდეს. მოიხერხეს, ბავშვს ისეთი სახელი ჰქონოდა, წყემსებს რომ აქვთ ბოლმე ჩაეცილებინა, და გადაწვიტეს, მისთვის დაეწინა დაერქმიათ.

4. ამის შემდეგ ორი წელი გავიდა, და აი, მწყემსს,

სახელად დრიასს, მეზობელ მდელოზე. საქონლის ჯოგს რომ მწყემსავდა, ასეთივე რამ შეემთხვა. იქ, უზარმაზარ მომრგვალებულ კლდეში ცარიელი გამოქვაბული იყო, სადაც ქვაში გამოკვეთილ, ფეხშიშველა და მკლავტიტველი ნიმფებს მხრებზე ქულუნები ეყარათ, ტანზე საფარი შემოხვიათ და გალიმებულნი ისე იდგნენ, თითქოს ფერხულს ცეკვავენო. ნიმფების გამოქვაბულის შესასვლელი ამ ვეება კლდის სწორედ შუა ადგილას იყო, წყაროც აქ ჩქეფდა და ჩუხჩუხით მოედინებოდა. ამის წყალობით გამოქვაბულის წინ ქორფა მდელო გადაშლილიყო და ხშირი, ნაზი ბალახი ხარობდა. აქ ელოგა საწველელებიც, მრუდი ფლეიტებიც, ლერწმებიც — ალბომული შესაფირავი გარდასულ დროთა მწყემსებისაგან.

5. ნიმფების ამ გამოქვაბულში ერთმა ხერხმა, ბატკანი რომ მოიგო აბლახან, ისე ხშირად დაიწყო სიარული, რომ ბევრჯერ ევონათ, დაავადაო. დრიასმა გადაწყვიტა, ნერბი დაესაჯა. ღვლეჭი დაწნა, უულფი გაკეთა და ნერბის დასაჭერად კლდისაკენ გასწია. ახლოს რომ მივიდა, სულ სხვა რამ დაინახა: ცხვარი, როგორც ნაზი დედა, რძით სავსე ჯიქანს აწოვებდა ბავშვს. ისიც მშვილდად ხან ერთ, ხან მეორე კერტს ხარბად ეკვლებდა თავის ბატარა პირს — სუფთასა და ფუნჩულას. ნერბი კი საბეს ულოცავდა მას. ეს პაწია გოგონა იყო და მასთანაც ელაგა საჩინო ნიშნები: ოქროთმკედით ნაქსოვი თავსაბურავი, მოოქრული ფაჩუჩები, ბაჯაღლო ოქროს სამაჯურები.

6. მწყემსი ფიქრობს, ეს ნაპოვნი ღმერთებმა გამომიგზავნესო და ჩვილს ხელში აიყვანს. ბავშვის შებრალება

და კეთილი მოპყრობა ნერბმა ასწავლა. საჩინო ნიშნებს ჩანთაში ჩაალაგებს და ნიმფებს ეუბნება: შემაძლებინეთ, ჩემთან თავშეფარებული ჩვილი ბედნიერად აღვზარდოო. როცა ცხვრის ფარის შინ გარეკვის დრო მოვიდა, მწყემსი თავის ეზოში დაბრუნდა. ცოლს წვრილად უამბო, რაც ნახა, უჩვენა, რაც იპოვა, და უბრძანა, გოგონა თავისად ჩაეთვალა. ღუძლი შვილივით გაეზარდა, მისი საიდუმლოება ყველასთვის დაეფარა. ნაპა (ასე ერქვა დრიასის ცოლს) ბავშვს მაშინვე დედად გაუხდა, ეალერსებოდა, საყვარულს არ აკლებდა, თითქოს შიშობდა, ნერბზე ნაკლები სინაზე არ გამოეჩინოო. ყველა რომ დავჭვრეტინა, გოგონა ჩემიაო, ჩვეულებრივი მწყემსური სახელი — ქლოა დაარქვა.

7. ეს ორი ბავშვი სწრაფად გაიზარდა და უბრალო გლეხის შვილებზე უფრო დამშვენდა. დაფნისი უკვე თხუთმეტი წლისა იყო, ქლოა კი ორი წლით უმცროსი, როცა დრიასმა და ლამონმა ერთ ღამეს ასეთი სიზმარი ნახეს: სწორედ იმ გამოქვაბულის ნიმფებმა, სადაც წყაროა და სადაც დრიასმა ბავშვი იპოვა, დაფნისი და ქლოა ველურკაკლისა და მშვენიერ ბიჭუნას ჩააბარეს. მას მხრებზე ფრთები ჰქონდა, ხელთ კი პატარა მშვილდი და მოკლე ისრები ეპყრა. თბილად ერთი ისრით შეეხო და ბრძანა: ვიდრე აქიერიდან თხის არვე მწყემსის, გოგონამ კი ცხვრის ფარაო.

8. ეს სიზმარი რომ ნახეს, დრიასი და ლამონი დაღონდნენ — ნუთუ ამ ბავშვებს თხა-ცხვარის მწყემსვა უწევსთ. მაინც სამფოსელის პატივდებით თითქოს უკეთესი ბედი უნდა ჰქონოდათ. ამიტომაც იყო, რომ უფრო კარგ

საჭმელს აჭმევდნენ, ასწავლიდნენ წერა-კითხვას და ყველაფერს, რაც სოფელში მოსაწონად ითვლებოდა. მაგრამ იფიქრეს, მაინც ღმერთებს უნდა დავემორჩილოთო, რადგან მათივე ვანკებით გადარჩენილი ბავშვების ბედი წყდებაო. ეს სიზმარი ერთმანეთის უამბეს და ღართოსან ბიჭუნას (მისი სახელი არ იცოდნენ) ნიშფების გამოქვაბულში მსხვერპლი შესწირეს. მერე თავიანთი გზრდილები მწყემსად გაუშვეს. წინასწარ ყველაფერი შეასწავლეს: როგორ უნდა მწყემსონ შუადღემდე; ცარა როგორ უნდა გარეკონ საძოვრად, როცა აგრილდება; როდის წაიყვანონ დასარწყვლებლად, ბაკში როდის დააბინაონ, კომბალი როდის მოიქნიონ, ან როდის კმარა მზოლოდ შეძახება დაფნისსა და ჭლოას გაუხარდათ, თითქოს დიდი საქმე დაავალესთ და თავისი თხა-ცხვარი ივაზე უფრო შეაყვარეს, გიდრე ეს უბრალო მწყემსებს ჩვეულიან. გოგონა ხომ ცხვრებს მწყემსავდა, როგელთა წყალობითაც გადარჩა. ბიჭსაც გვონდა ჭორნდა, მატრეებული რომ თხამ გამოკვება.

9. მაშინ გაზაფხულის პირი იყო, ყვავილი გაიფურჩქნა ტყეებში, მთებსა და მდელოებზე პეპრი ფეტკრების ზუზუნით ავსო, ფრინველები წკრიალ-წკრიალით გალობდნენ, ახალმოგებული თივნები და პატივნები დახტოდნენ, კუნტრუშობდნენ. კრაველები გორაკებზე დარბოდნენ, ფეტკრები მდელოებზე ბზუოდნენ, ჩიტებმა გალობით აიკლეს ხშირი ბარდი. გარშემო ყველაფერი სიხარულმა და ზეიმმა რომ მოიცვა, ნაზი, ნორჩი დაფნისი და ჭლოაც ბაძავდნენ ყველაფერს, რაც ესპოდათ, ყველაფერს, რასაც ხედავდნენ. ფრინველთა გალობას

ესმენდნენ და თვითონაც გალობდნენ. ხეღაველნენ, ცხვრები როგორ დახტოდნენ და თვითონაც მსუბუქად დაბაკუნებდნენ, ყვავილებს აგროვებდნენ და უბეში იდებდნენ, ანდა პატარა გვირგვინებს წნავდნენ და ნამუშევს სწირავდნენ.

10. ყველაფერს ერთად აკეთებდნენ, ფარასა და არეულს ერთმანეთის მახლობლად მწყემსავდნენ. დაფნისი ხშირად ფარას მორეკავდა, ჭლოაც ხშირად ცისკრის კლდეებიდან მეტად გაბედული თხებს ჩამოიყვანდა. ასეც ხდებოდა, თხა-ცხვარს ერთი დარტყობდა, როცა შეორეს თამაში ძალიან გაიტაცებდა. მაგრამ ეშაშობასა კი მწყემსური, ბავშვური იყო. ჭლოა ჭაობში აღრაგუნას ღეროებს აგროვებდა, ჭაბანაბულებისთვის გალიებს წნავდა და ხშირად ისე ერთობოდა თავისი ცხვრები აეწყდებოდა. დაფნისი კი წყრილ ლუწუნებს ჭრიდა, ერთიმეორეზე ოწყობდა და ლაბანე სალამურის დაკვრას სწავლობდა. ზოგჯერ ერთად სვამენენ რძესა და ღვინოს, საჭმელი კი შინიდან მოჰქონდათ და ერთმანეთს უყოფდნენ. იშას ეგონა ნახავდით ხშირად, ცხვრები და თხები რომ ცალ-ცალკე ძოვდნენ, დაფნისს და ჭლოას კი დაცილებული ვერ ანახვიდით.

11. სანამ ასინი ასე მხიარულობდნენ, ეროტე, ან. ჩაგულისპაა მათ წინააღმდეგ: შორიახლოს ძე შვილი თავის ლაკვებს კვებავდა და ხშირად საძოვრებიდან საქონელს ეტაცებოდა. მას ხომ ლეკვების გამოსაკვებად ბევრი ხორცი სჭირდებოდა. მაშინ გლეხები შეკრიბნენ და ირემები ამოთხარეს. სიგანე სამი ადლი ჰქონდა, სი-

ლრმე კი ოთხი. მიწის უმეტესი ნაწილი ორმოების მოშორებით მიმოფანტეს, ორმოების პირზე კი დააწყეს ხმელი, გრძელი ტოტები და დარჩენილი მიწა ზედ მიაყარეს. კურდღელს რომ გადაერბინა, ეს ჩალაზე უწვრილესი ტოტები მაშინაც კი ჩატყდებოდა. თუმცა ასეთი ორმოს მთად და ბარად უამრავი ამოთხრებს, ღუ მგელის დაჭერა მაინც ვერ მოახერხეს. მგელმა მაშინვე სუნი იკრა, აქ რაღაც მახეთ. თხა და ცხვარი ხომ შეიჭირა და შეიწირა, თვითონ დაფნისიც კინადამ არ დაილუპა. აი, ეს ამბავი როგორ მოხდა:

12. ეშკიანობით გაცოფებული ორი ვაკი ერთმანეთს დაეტაკა და ბრძოლა ვაიმართა. ისე ძლიერ დაეჯახნენ, რომ ერთს რქა მოტყდა, ტკივილისაგან ერთიანად იკანკალა და გაიქცა. გამარჯვებული უკან დაედევნა, სული არ მოათქმევინა. დაფნისს რქამოტეხილი შეეცოდა, თავზედ თხაზე გული მოეკიდა, თავის კომბალს ხელი დაჰტაცა და გამოეკიდა. რასაკვირველია, არც თხა და არც გაბრაზებული დაფნისი დაბლა არ იკქარაგმოდნენ, და ორივე ორმოში ჩავარდა — ჯერ ვაკი, შერე დაფნისი. ვაკი სწორედ ამან გადაარჩინა: დავარდნისას თხა საყრდენად გამოადგა, და ის, ჭამიჟა ცრუმლმორეული ელოდა. იქნებ ვინმე მოვიდეს და ამომიყვანოსო. ქლოამ ფაინახა, რაც მოხდა, ორმოსკენ გაიქცა, გაიგო, დაფნისი ცოცხალიაო და მახლობელ მდელოს მიაშურა, ხარებს მწყემსს დაუძახა, დამეხმარეო. მწყემსი მოვიდა, გრძელი თოკის ძებნას შეუდგა, რათა დაფნისს მისთვის ხელი ჩაეყლო და ორმოდან ამოესულიყო. მაგრამ თოკი ვერსად იპოვეს. მაშინ ქლოამ თავისი შემოსაკრავი მი-

ხსნა და მწყემსს მისცა, რათა დაფნისისათვის ორმოში ჩაეშვებინა. ორმოს მიადგნენ და მის ამოყვანას შეუდგნენ. დაფნისი შემოსაკრავზე ხელებს იჭიცლებდა და ასე ამოვიდა. თხაც ამოიყვანეს. საბრალოს ორივე რქა ძირტკბილად ვაკი დაებრალა, მაგრამ თვითონაც დაისაჯა. მერე თხა მწყემსს ახუქეს დაბრუნების ჯილდოდ, საჩუქრად შესწირეს. გადაწყვიტეს, შინაურებისთვის ეს ამბავი არ გაემხილათ, თუ ამ ვაკს მოაკითხავდნენ, ვინმე შვლებმა მოგეტაცესო. თხა-ცხვარს მიაშურეს, დათვალიერეს, — მშვიდად ძოვდნენ. მეხის ძირში ჩაწყდნენ და იმის ვარკვეას შეუდგნენ, ჩაეარდნისას დაფნისი ხომ არ დაშავებულა, სისხლი ხომ არ სდისთ. მართლაც არც ჭრილობა, არც სისხლი არსად ჩანდა, მხოლოდ ფეხის ძვა და მთელი ტანი მიწა-ტალახით ჰქონდა დასვრილი. გადაწყვიტეს, სანამ ლამოხი და მირტალი შეიჭამდნენ ამ ამბავს, დაფნისს ტანი დაებანა.

13. დაფნისი ქლოასთან ერთად ნიმფების გამოქვაბულში შევიდა. ვაკმა ქლოას თავისი კეთილი მისმართა, თვითონ კი ნაკადულის პირას ტანი და კისერი დაბანა. შავი და სქელი ტალახები ჰქონდა, ტანი კი ჭარხალივით, გეგონებოდა, კეთილად ჩრდილია, მის სხეულს რომ ამუქებსთ. ქლოა ეშხიანი და ლა დაფნისი შვენიერი ეჩვენებოდა. ეს პირველად მოხდა, რომ ვაკი შვენიერი მოეჩვენა და მისი სიყვარულის მიზეზად ბანაობა ჩათვალა. როცა ბურგს ბანდა და ვაკის ნაზი სხეული ხელს რბილად ხვდებოდა, ქლოა მალულად არაერთხელ შეეხო თავის ტანსაც. უნდოდა გაეგო, უფრო ნაზი რომელიათ. მერე არეც და დაიდა გაეცინა, უფრო ნაზი რომელიათ. მერე არეც და და-

რა შინ ვარეკვეს. მზე უკვე ჩადიოდა. ამის შემდეგ ქლოა მხოლოდ ერთმა სურვილმა იტანჯა — კვლავ ენახა მოსაბანივე დაფნისი. დილას მდელოზე გავიდნენ, დაუნისი, ჩვეულებრივ, მუხის ძირში ჩამოჯდა და სალამურის დაკვრა დაიწყო. ამავე დროს თბუნს თვალს არ აშორებდა. ხუთი წუთიც არ იწვენა, თითქოს მის ბანგს უსმენენო. ქლოა აქვე იჯდა, თავის ცხვრის ფარას თვალს აღევნებდა, მაგრამ უფრო ხშირად დაფნისს უმზერდა. ვაჟი სალამურს რომ უკრავდა ყველა მშვენიერი მოეჩვენა და ქლოამ ახლაც გადაწყვიტა: მისი სილამაზის მიზეზი ბანგის მშვენიერებაო. როცა ვაჟმა დაკვრა დაამთავრა, ქლოამაც სალამურს მისწვდა ხელი ამ იმედით, იქნებ მეც ასეთივე გავხდეო. ქლოამ ვაჟი დაარწმუნა, კიდევ უნდა იზამთოთ. მერე მობანავე დაუნისი რომ ისევ იხილა, ხელი შეახო და კვლავ ოტაცებული მოუთმინა. ეს ოტაცება იყო დასაწყისი სიყვარულისა. ქლოას ვერ გაეგო, რა დაეშმართა: ის ხომ სოფელში ვაიზარდა და ერთხელაც არ გაეგონა სიტყვა „სიყვარული.“ გული ეწონდებოდა, აქეთ-იქით დაბნეული იყურებოდა, მერმე დაფნისზე ლაპარაკობდა. ჭამას თავი მიანება, ღამით ძილი არ ჰქონდა, თავისი ფარისათვის ალარ ზრუნავდა, ხან იცინოდა, ხან ტიროდა, ხან ეკვრად ჩაეძინებოდა, ხან ისევ წამოხტებოდა, სახე უფითრდებოდა, ხან ცეცხლი მოედებოდა. ბორას დაბენილი დეკეული უფრო ნაკლებ დაიტანჯებოდა. ერთხელ, როცა მარტო დარჩა, ეი რა ფიქრებმა მოიცვა მისი გონება:

14. ვფიქრობ, მაგრამ არ ვიცი, რა ვფიქრობ. ვიტანჯები, ვგრძნობ ამას, მაგრამ არ ვიცი, რა ვიტანჯები. ეროსმა ცხვარი არ დამაკარგვინა. ერთბაშად ცეცხლი მომეცხო სხეულში. ვაშინაც კი, როცა ჩრდილში ვზიხარ, რაღაც ნაკლებ ვცივდები და არ დამიყვინთია, რაღაც ნაკლებ ფეტაკის დავუკბინივარ, ჭამაზე კი უარი არ მითქვამს. მაგრამ ის, რამაც ახლა ჩემი გული დაიჩხვლიტა, ბევრად უფრო ძლიერია. დაფნისი ლამაზია, მაგრამ ლამაზია ყვავილებიც. მშვენივრად უკრავს სალამურზე. მაგრამ უფრო მშვენივრად გალობენ ბულბულებიც. მათზე კი სრულიად არ ვფიქრობ. ოჰ, ნეტავ მის სალამურად მაქცია, თავის სუნოქვა რომ ჰქონოდა, ან თავად, რომ მომწყუდეს. ო, ბოროტო ნაკადულო, შენ მხოლოდ დაფნისი გაიმშვენიერე, მე კი შენს წყალში იმად ვიბანავე საყვარელი ნიშნები, მე ვილუპები და შენ არც თქვენ ანიშნებთ იმ ქალიშვილს, თქვენ ივალწინ რომ გამოიკვებე! ვინღა შეგამჩნევთ გვირგვინებით, ჩიტო ამქვეყნად ალარ ვიქნები? ჩემს საბრალო ბატკნებს ვინღა გამოკვებავს, ჩემს ყვავილ ჭიქინრებელას ვინღა მოეკლის? ძლივს დავიჩირე იგი, მინდოდა, გამოქვეყნებულიყო თავისი გალობით დაკეძინებინე, მაგრამ დაფნისმა ახლა ძილი დამიკარგა და ჭიქინობელაც ამაოდ მღერის.

15. ასე იტანჯებოდა, ასე ლაპარაკობდა ქლოა; ცდილობდა სიყვარულის სახელი ეპოვა. მწყემს დორკოს, რომელმაც დაფნისი და ვაცი ორმოცდან აღმოაჩენინა, იმ დღეს ქლოა მოეწონა. დორკო ახალგაზრდა კაცი იყო, წვერი ახლა ეღიბინებოდა. ამ მწყემსმა უკვე სიყვარულის საქმეც და სახელიც იცოდა. ხანც დრო გადიოდა, მის გულს უფრო და უფრო ეწებოდა ცეცხლი. დაფნისს, თი-

თქოს პატარა ბიჭი ყოფილიყოს, ყურადღებასაც არ აქცევდა. გადაწყვიტა, ძალმომრეობით თუ საჩუქრით ქლოა აუცილებლად ხელში ჩაეგდო. ჯერ ორივეს საჩუქრები მიუტანა, ბიჭს — სამწყემსო სალიმური, ცხრამუხლიანი ცვალით კი არა, — სპილენძით დამაგრებული. გოგონას კი ირემლატის ტყავი, ბახუსის ჭურუმი ქალის ტანისამოსი, წინწკლებიანი, თითქოს სულ ფერადებით მოეხატავით. ამის შემდეგ თავი მათ მეგობრად მოაჩვენა, მაგრამ დაფნისს მაინც აგდებულად ეპყრობოდა. ქლოასთვის კი ყოველდღე მოჰქონდა ან ჭყინტი ყველი, ან ყვავილებისაგან დაწნული გვირგვინი, ან ნაადრევად დამწიფებული ვაშლი; ერთხელ კი მაწოვარი ხბო და მთის ფრინველთა ბარტყები მიუყვანა. ოქრომწყაზიანი ფინჯანიც მიუტანა. სიყვარულის ფანდებში გამოუცდელი გოგონა ამ საჩუქრებს იღებდა, უხაროდა, უფრო კი ის სიამოვნებდა, ამით დაფნისს გაუხარებო. მაგრამ დაფნისსაც უკვე დრო დაეტყო გაეგო, სიყვარული რა ტანჯვის მომგერელი იყო. ერთხელ მან და დორკომ დაეპატიჟეს, ჩვენს შორის ვინ უფრო ლამაზიაო, და მსაჯულად ქლოა აირჩიეს. ჯილდოც კი დანიშნეს: გამარჯვებული ქლოას აკოცებდა. ჯერ დორკომ დაიწყო ლაპარაკი:

16. „მშვენიერო ასულო! მე დაფნისზე მაღალი ვარ, მე ხარებს ვმწყემსავ, ის კი თხებს, და დაფნისსაც ისე ვჯობივარ, როგორც ხარები თხებს. რძეზე უფრო თეთრი ვარ, ჩემი ცრუნვა თმა ოქროს ფერია, როგორც მოსამკელად შემოსული თივთივა. მე ძუძუ დედამ მაწოვა და არა რომელიმე პირუტყვმა. დაფნისი კი პატარაა, ჭალივით უწვერო და მგელივით შავი. თხებს მწყემსავს, მათი

კი სასაცილო სუნი აქვთ. ღარიბია, ძაღლსაც ვერ შეინახავს. თუ მას მოგორც აჰბრუნებ, წვალი კვეპავდა, თიკანზე უკეთესი რით არისო?“ ასე ლაპარაკობდა დორკო. ჭერე დაფნისს დაეწყო ლაპარაკი: „მართალია, ზეცისა არ იყოს, მაგრამ წალმა გამომკვება და თხებსაც ვმწყემსავ. მაგრამ ბატის ბარებზე უფრო დიდებია. თხის სუნი სრულიადაც არ მომკარებია. პანს ხომ სუნი არა აქვს, თუმცა ნამდვილი ვაჭარი. მე მყოფნის ყველი გახეხული პურთან ერთად და ტკბილი ღვინო, ეს კი მდიდარი გლეხის დოვლათია. მე უწვერო ვარ, მაგრამ დიონისეც ხომ ასეთია. ჩემი სხეული მუქია, მაგრამ სუმბულიც ხომ მუქი ფერისაა. დიონისე ხომ სატირებზე მაღლა დგას, სუმბულიც შთის შრიშანზე უკეთესია. დორკო მელასავით მწითურია, თხის წკერი აქვს და ჭალაქელი ქალიყით თეთრია და თუ ერთი ჩვენთაგანის კოცნა მოგიწევს, მე ტუჩებში მაკოცებ, მას კი—ჯაგრში. მერე კი, საყვარელო ქალიშვილო, არც ის დაივიწყო: თუმცა შენც ცხვარი გყვებავდა, მაგრამ ლამაზი ხარ“.

17. ქლოა სიხარულმა ალანთო, მისგან ქება რომ მოისმინა. დიდი ხანია, თვითონაც სურდა დაფნისისთვის ეკოცნა. ალარც დააყოვნა, წამოიჭრა და დაეჭილდოვა გულუბრყვილო კოცნით, მაგრამ ამ კოცნაც ვატის გულის ანთება მაინც შეძლო. დალონებული დორკო მათ სწრაფად გეცალა და თავისი სიყვარულისთვის სხვა გზის ძებნას შეუდგა.

დაფნისი კი მაშინვე მოიღუშა, თითქოს კოცნით კი არ დაჯილდოვეს, არამედ უკბინესო. ხშირად შეკრთებოდა, ცდილობდა აჩქარებული გულის ცემა დაეწუნარებინა,

სურდა სულ ქლოასთვის ეცქირა. როგორც კი შეხვდებოდა, სახე ერთიანად აელეწებოდა. პირველად სწორედ მაშინ შეამჩნია ალტაცებულმა, რომ ქლოას ხუჭუჭა თმა ოქროსფრად ელვარებდა და ხმოსავით დიდი თვალები ჰქონდა, სახე კი ნამდვილად მისი თხების რძეზე უფრო თეთრად უქათქათებდა. ასე ეგონა, სინათლე მაშინ პირველად იხილა, მანამდე კი ბრმა იყო. საჭელს აღარ ეკარებოდა, წყალსაც თუ ვინმე მიაწოდებდა, იღნიე პოსქამდა მხოლოდ. ის, ვინც ჭიჭინობელაზე უფრო ყვედი იყო, დადუმდა; ის, ვინც წინათ თხებზე მკვირცხლი იყო, მოდუნდა. არევს პატრონობას თავი მიანება, ფანჯისი საღამურიც დაივიწყა. სახე გაუყვითლდა თივარის მზეზე გადამწვარი ბალახივით. მხოლოდ ქლოაზე ლაპარაკობდა. თუ მარტო რჩებოდა, თითქოს პოდავსო, თავის თავს ელაპარაკებოდა:

18. „ეს რა მიყო ქლოას კოცნამ? მისი ტუჩები ვარდზე უფრო ნაზია, პირი კი თაფლზე უტკბესი. მისი კოცნა ფუტკრის ნესტარის ჩხვლეტაზე უფრო მწარეა. ხშირად დამიკოცნია თიკნები, დამიკოცნია ლეკვებიც, დორკოს ნაჩუქარი ხბოც, მაგრამ ქლოას კოცნა სულ სხვაა. სუნთქვა შემეკრა, გული ლამის პირდიდან ამომივარდეს, სული მელევა, მისი კოცნა კი ყველაე მწყურია. ოი, შეეკრულო გამარჯვებავ, ოი, განუცდელო სნეულებავ, მისი სახელიც კი არ ვიცი. ჩემს კოცნას რომ ებრძვება, ქლოას რაიმე შხამის გემო ხომ არ გაუსინჯავს? მაშინ, თვითონ რატომ არ დაილუპა? ბულბულები ტკბილად გალობენ. ჩემი საღამური კი დადუმდა! თიკნები მხიარულად დანაყრდებიან, მე კი გაშიშვლებული

ცხვარის ყვავილები გაიფურჩქნენ. ეე კი ყვირველებს ისარ ვწვავ! აკერ ია, აგერ სუმბული გაიშალა, დაფნისი კი ტყვია. ნეთუ დორკო მალე ჩემზე უფრო ვალამაზდებაო?

19. მწყემსი დაფნისი ასე ლაპარაკობდა და ყველა ელეოდა, — მან ხომ პირველად იგემა სიტყვა და საქმე საყვარელია.

მწყემსი დორკო კი, ქლოა რომ შეუყვარდა, დრიასს გაუდარაჯდა. დრიასს ვაზის ჩაყრა დაეწყო. დორკო მივიდა და ძლვნად საუკეთესო ყველის კეცრები მიართვა. ისინი მეგობრები იყვნენ იმ დროიდან, როცა თვითონ ცრიასი ჯერ კიდევ ჯოგს მწყემსავდა. ეს მეგობრობა მოაგონა და ქლოასთან თავის შეუღლებაზე სიტყვა ჩამოაგდო. თუ მომათხოვებ, ძვირფას საჩუქრებს მოგართმევ, როგორც ხარების მწყემსს შეეფერება—უღელ ხარს სახნავად და ფუტკრის ოთხ ახალ ოჯახს, ორმოცდაათ ვაშლის ხეს, ხარის ტყავს ლანჩების გამოსაჭრელად და ამის გარდა ყოველ წელიწადს კვებულას მოგართმევო. დრიასი ასეთ საჩუქრებს დაეზარება და კინალამ ქორწინებაზე დათანხმა. მაგრამ ბოლოს მოისაზრა, ქალიშვილს უკეთესი საქმრო შეეფერება და ემანდ თაფლაულწველ უბედურებაში არ გაეცბუოო, როცა ყველაფერი გამომძღვანდებაო, და ქორწინების დასტური აღარ მისცა. დორკოს ბოდიში მოუხადა და ყველა ძღვენი უკან დაუბრუნა.

20. დორკოს მეორედ რომ გაუცრუვდა იმედი, გულდაწყვიტა, ქლოას თავს დასხმოდა, როცა მარტო მოიხელთებდა. რომ გაიგო, დაფნისი და ქლოა არევს ფერიას დასარწყულებლად რიგრიგობით მირეკავენ მწყემ-

სის შესაფერისი ეშმაკობა იხმარა. აიღო ტყავი დიდი შგლისა, ხარძა რქებით რომ გამოშიგნა, და ზურგზე მოიგდო — მუხლებამდე წაეცემოდა: წინა თათებით ხელები დაიფარა, უკანათა —ტერფამდე, შგლის ხახა-ღაღებული თავი კი, ითქმის მზედარი ყოფილიყო, მუზარადივით ჩაეთიცვა. რაბდენიდაც შეიძლებოდა, მზეცს დაემსგავსა და წყაროსთან მივიდა, სადაც ძოვების შემდეგ თხა-ცხვარი დასაორწყულებლად მიეშურებოდა. წყარო ღრმა ხევში მოწიწკარებდა. ჰის გარშემო მთელი მიდამო ალანთის, ასკილს, ღიას, თაკვეცხლას და მაყვალს დაეფარა. ასეთ საფარში მგელიც ადვილად დაიმალებოდა. აქ ჩასაფრებული დორკო პირუტყვის დარწყულებას ელოდებოდა. დაიშედებული იყო, ამ საშინელი სანახაობით თავზარდაცემულ ქლოას ხელში ადვილად ჩავიგდებო.

21. ცოტა ხანში გაიარა და ქლოამ არვე და ფარა წყაროსკენ გარეკა, დაინახა კი დატოვა, რომ ჭორცა ყლორტები მოეჭრა თიკნებისათვის. ქლოას უკან ძაღლები მიჰყვებოდნენ თხა-ცხვრის დარაჯად და როგორც ყოველთვის, ახლაც არემარეს ფხიზლად ჯნოსავდნენ. ძაღლებმა სუნი იგრძეს დორკოსი, რომელიც ბუჩქებში გაბაბული ძაბად იყო მოულოდნელად თავს დასხმოდა ქალიშვილს. ძაღლებმა გამყრელებელი ყეფით მიირბინეს მასთან. ითქმის ნამდვილი მგელიაო, გირს შემოერტყნენ და მგლის ტყავს გლეჯა დაუწყეს. შეშინებულმა დორკომ წინააღმდეგობის გაწევაც ვერ მოასწრო. თავი არ შეეცხვინოო, საფარში მაძღარი და ტყავმოხურული ხმას ვერ ილებდა. მისი დანახვით გულგახეთქილმა ქლოამ დაფ-

ნის ცეკვა, მიშველეო. ამასობაში ძაღლებმა დორკოს ტყავი შემოაგლიჯეს და ტანზე კბენა დაუწყეს. მწყემსმა ყვირილი მორთო, შველას ემუდარებოდა დაფნისსა და გლოას. ქლოამ და დაფნისმა ძაღლებს მოუხმეს, იწყნარეთო. დორკო ნაკაღულთან მიიყვანეს — ოფრიებსა და მხრებზე ძაღლის ნაკბენი მოპბანეს, თელის მწყობ ქერქი დაღეჭეს და ზედ წაუსვეს. გამოუცდელ ძაღლებისგან საყვარულის კანონიერი საქციელისა არაფერი გაეგებოდათ და მგლის ტყავში გახვეული დორკოს პორიტი განზრახვა მწყემსურ ხუმრობად ჩათვალეს. ვინ არ მოსულიათ, კიდეც ანუგეშეს, ხელი მოჰკიდეს, ცოტა ხანს მასთან ერთად გაიარეს და შინ მხიარულად მერე გაუშვეს.

22. და აი, როცა ასეთ ფათერაკს თავი იოლად დაღწია და, ერთი ამბავისა არ იყოს, მგლისას კი არა, ძაღლის სახას გადაურჩა, დორკომ ჭრილობები მოიშუშა. იქ დღეს დაუბრისა და ქლოას დიდი სარჭელი გაუბნდათ — ქორა ღალებამდე ცხვრებსა და თხებს თავს უყრიდნენ; მგლის ტყავის დახახვაზე შეშინებული და ძაღლის ყეფაზე დაშფრთხალი პირუტყვი ზოგი მთებში გაიფანტა, ზოგიც ბარში დაეშვა, ზღვასთან მიიჭრა. თუმცა დაჩეხილი ჰყავდათ ბაბილისთვის ყური დიეგდთათ, ან სალამურის ხმას ეამებოდნენ, დაშშვიდებულიყვნენ და, როგორც კი ტაშს გაიგონებდნენ, ერთად შეჭეჭყნილიყვნენ, ახლა შიშმა ყველაფერი დაავიწყათ, როგორც იქნა, დაფნისმა და ქლოამ თხა-ცხვარი დიდი გაჭირვებით მოძებნეს და ბაგში შეიყვანეს. ღრმად მხოლოდ იმ ღამეს ეძინათ. დაღლილობა მათი სიყვარულის წამალი აღმოჩნდა. მაგრამ

როდესაც გათენდა, ორივე ტანჯვამ შეიპყრო: შეხვედრით ხარობდნენ, დაშორებით მოიწყენდნენ.

23. წელიწადის დროც მათ ცეცხლს უკიდებდა. გაზაფხული იღეოდა და ყველაფერი ყვაოდა. ხეებს ნაყოფი მოესხა, პურის ყანებს ველები დაეფარა, ყველგან ჭიჭინობელების ნაზი ჭრიჭინი ისმოდა, ხილი საამო სურნელებას აფრქვევდა. ცხვრების ხალისიანი ბღავილი ყურს ატკბობდა. იფიქრებდი, მშვიდად მოლიელიეე მდინარეებიც საამოდ დედუნებენო, ჭარი ფიჭვის ტოტებს აშრიალებდა, თითქოს ფლეიტას უკრავსო, ვაშლები, თითქოს სიყვარულის სევდას შეუპყრიაო, ტოტებიდან მიწაზე ცვიოდნენ. მზე — მოტრფიალე სილამაზისა — ყველას ზომ სამოსელს ხდის და ყოველივე ამით აღმოდებული დაფნისაც მდინარეში ეშვებოდა, ხან ჩაიყურყუმალებდა, ხან ირგვლივ მონავარდე თევზებს დასდევდა. ხშირად ცივ წყალს ყლაპავდა, თითქოს თავის არსებაში მოგრისგიზე ხანძრის ჩაქრობას ლამობსო. ქლოა ნერბებსა და თითქმის ყველა წიალს რომ გამოწვეულიდა, ყველის ამოსაყუანადაც ცოტა დროს როდი კარგავდა. საძაგელი ბუზები ხელს უშლიდნენ და კბენდნენ. მერე პირს დაიბანდა, ფიჭვის ტოტებისგან გვირგვინს გაკეთებდა, თეძოებს ირემლაღის ტყავით დაიფარავდა, ჯამს რძიანი ღვინით ავსებდა და დაფნისთან ერთად სვამდა.

24. მაგრამ, აი, შუადღე ახლოვდებოდა და დგებოდა დრო, როცა მათს თეალებს მომხიბლავი ძალა ატყვევებდა. ქლოა დაფნისს შიშველს რომ ნახავდა, მისი სილამაზე აოცებდა, მის ტანზე ვერავითარ ნაკლს ვერ პოულობდა და იბნიდებოდა. ეაჟი კი ქლოას ირემლაღის ტყავით

შეპოსილს და ფიჭვის გვირგვინით შემკობილს რომ ხედავდა, ეგონა, გამოქვაბულის მობინადრე ნიმფა ვამოშეცხადდაო. ფიჭვის გვირგვინს მოსტაცებდა, ჯერ დაკოცნიდა, შემდეგ კი თავზე დაიდგამდა. როცა ჭაბუკი ტანთ გაიხდიდა და მდინარეში ბანაობდა, ქლოაც ჯერ მის ტანსაცმელს დაკოცნიდა, შემდეგ კი ჩაიცვამდა. ზოგჯერ ერთმანეთს ვაშლებს ესროდნენ ან თმას უვარცხნიდნენ გასალამაზებლად. ქლოა ამბობდა, შენი თმა მურტის კენკრებსა ჰგავსო, მაისავით შუქი ეფრისაო. დაფნისი კი მის სახეს ვაშლს ადარებდა, რადგან თეთრლაყლაყაო. ეაჟი სალამურის დაკვრას ასწავლიდა. როცა გალიშვილი დაკვრას დაიწყებდა, ეაჟი სალამურს გამოართმევდა და ერთიანად დაკოცნიდა. ამის მნახველს ეგონებოდა, ეაჟი დაკვრას ასწავლის, შეცდომას უსწორებსო, ნამდვილად კი სალამურის მეშვეობით მოკრძალებულად კოცნიდა ქლოას.

25. ერთხელ შუადღისას, როცა დაფნისი სალამურს ისწავლიდა, მათი ოხა-ცხვარი კი ჩრდილში გაწოლილიყო, ქლოას შეეშინველად ჩაეძინა. დაფნისმა ეს რომ დაინახა, სალამური გაჩადო. ის თვალს არ აშორებდა ასულს, მისი ცქერით ტკბებოდა: ახლა ამოფრინავ რცხვენოდა და ჩრდილ თავისთვის ლაპარაკობდა: „რა საუცხოოდ სძინავს! თვალებს, რა ტკბილად სუნთქავენ მისი ბაგენი! არც ვარლებს, არც აყვავებულ ბერჭყებს ბრა აქვთ ასეთი სურნელება. მაგრამ მეშინია ვაკოცო. მისი კოცნა გულს მაკოთებს და მაშორებს თაფლივით, რომ ვკოცო, ვიითუ გაეღვიძოს, ოჰ, ეს ტკბილი კუტკალები ხშამალა ჭრიჭინა რილს ეგრიახობენ. აი, ვაცები ერთმანეთს ებრძოდნენ და რქებს ჭახანი გაეჭვთ. თი, მგლებო, შეელიაზე

უფრო მშიშარნი, ეს თხები აქამდე რატომ არ დაგლიჯეთ?»

26. ვაჟი ასე ლაპარაკობდა, კუტკალია კი ამ დროს გაფრთხილდა მერცხალს, რომელიც მის დაჭერას ლამობდა. კუტკალია ბლოას მკერდზე დაახტა, მერცხალმა ვერა დაჭერა ვერ შეძლო, მაგრამ ქლოას ისე ახლოს გაუფრინდა, რომ ლოყაზე შეეხო. მძიმარე ვეღარ გაერკვა, რა მოხდა, წამოიყვირა და გაეღვიძა. იქვე მახლობლად მოფრთხიალე მერცხალი დაინახა. დაფნისი შეშინებულ ქლოას რომ ხედავდა, ეცინებოდა. ქლოა ღამშვიდდა და ჯერ კიდევ ნამძინარევი თვალები მოიფშვნიტა. ამ დროს ტანისამოსის საკეცებში ჩაბალთულმა კუტკალიამ ქალიშვილის მკერდზე სიმღერა წამოიწყო, თითქოს გაღვიძებულის მადლობას უხდისო. ქლოამ კვლავ ხმამაღლა ყვირილი დაიწყო, დაფნისს კი ისევ გაეცინა. ამ სიბაიით ვაჟმა მკერდზე ხელები ცაადო და საყვარელი კუტკალია ამოუღო; ის კი მის ხელშიც სიმღერას განაგრძობდა. კუტკალია რომ დაინახა, ქლოას გაეხარდა, ხელჩანთაში ჩაუშვა, მიტალურსა და კვლავ თავის უბეში შეიფარა. კუტკალია კი მღეროდა და მღეროდა.

27. ერთხელ ასეთ ლურჯმა მგლებმა გაიარეს ტყეში თავისი მწყემსური სიმღერის ღელვით; და როცა ქლოამ მოისურვა გაეგო, მგლები რას მღერიან, დაფნისმა საყოველთაოდ ცნობილი ზღაპარი ეამბო:

«ის იყო ქალწული, — ირა, ქალწული, — შესანატრი ლამაზი. ტყეში ძროხების დიდ ჯოგს მწყემსავდა. ქალწული სულ მღეროდა და ძროხებს მისი სიმღერა უყვარდათ. პირუტყვს კომბალით არ სცემდა, არც წამახული

ჯოგიდან ჩხელეტდა, ფიშვის ტოტების გვირგვინით თავშემკობილი იჯდა ფიშვის ძირში და პანისა და პითიას პატივსაცემად მღეროდა. სიმღერით მოხიბლული ძროხები წყლის არ მიდიოდნენ. მახლობლად კი მწყემსი ბიჭი ხარებს წყლისაკენ ადევნებდა. ქალიშვილისა არ იყოს, ისიც ლამაზი და ძალღონიანი იყო, თანაც ერთმანეთს ეკამათებოდნენ, ვინ უფრო ლამაზად მღერისო. ბიჭმა თავისი ვოკალური, ძლიერი ღა თანაც მაგშვური ნაზი ბგერით ქალიშვილის რვა საუკეთესო ძროხა თავის ჯოგში გადაიბირა და გაიყვანა. ნახირის ხარისით დამწუხრებული და სიმღერაში დამარცხებული ქალიშვილი ღმერთს შეევედრა, ფრინველად გადამაქციეო. — მის დაბრუნებას ეს ერთია, ღმერთებმა თხოვნა შეუსრულეს და მოხიბლულ ფრინველად გადააქციეს. და დღემდე მტრედი საყვარულით პყვება თავის უბედურებას: სულ ჩემი გზადაკარგული ძროხების ძებნაში ვარო».

28. ასეთ სიხარულს ზაფხული მათ არ აცლიდა. ისიც იყო შემოდგომა ერთიანად გაიფურჩქნა და ყურძნის მტევნები დამწიფდა, რომ ამ ღრეობას ტკბილად მეკობრენი მოადგნენ კაროული მხეხუჭი გამით (ვარაუდობ სებად რომ არ ეცნოთ). ნაპირზე გადმოვიდნენ ყაჩაღნები, მოკლე მახვილით შეიარაღებულნი, და ძარცვა დაიწყეს. ყველაფერი მისწონდათ. რაც ხელში მოჰყვებოდათ: სურნელოვანი ღვინო, ტრიალები მარცვალი ყოლეული, დოკრის ჯოგიდან რამდენიმე ხარიც გაიყვანეს, მოიტაცეს დაფნისიც, რომელიც ზღვის პირად დაეხეტებოდა. ქლოა კი დრიასის ტყის ეფრო მოგვიანებით მორეკავდა ხალხს: ქალიშვილს თავგასულ

მწყემსების ეშინოდა. ყაჩაღებმა ლამაზი, ტანადი ბიჭი რომ დაინახეს — ყველაფერზე ძვირფასი, რაც მინდორ-ველად დაიტაცეს — თხების გარეკვისა და სხვა ნადაველი-სათვის თავი არ შეუწუხებიათ, დაფნისი გვეზე აითრიეს. სასოწარკვეთილი ეაჟი ქვითინებდა, ქლოას ხმამაღლა უხმობდა. მეკობრეებმა მისაბმელი ბაგირი მოხსნეს, ნიჩბები მოუსვეს და უკვე გაშლილ ზღვაში გაიიდნენ. ამ დროს ქლოა თავის ფარას მიერეკებოდა და დაფნისისათვის საჩუქრად ახალი სალამური მიჰქონდა. უცებ დამფრთხალი თხები დაინახა და დაფნისის ძახილი გაიგონა — ჭაბუკი სულ უფრო და უფრო ხმამაღლა ყვიროდა. ქლოას ყველაფერი დავიწყდა, სალამურიც გადაგდო და დორკოსთან მიირბინა, მიშველეო.

29. დორკო კი იწვა ყაჩაღების ბღერა საშინლად დაჭრილი და სისხლად იღვრებოდა. ქლოა რომ დაინახა, წამით აღრიცხელი საყვარელით აიხუთა და მიმართა:

„მალე ცოცხალი აღარ ვიქნები, ქლოა. ამ ყაჩაღებმა, ხარებისათვის რომ შეებრძოლე, თვითონ მე დამკლეს ხარივით. შენ კი დაფნისსაც გადაარჩენ, ჩემთვისაც შურს იძიებ და ყაჩაღებსაც დახოცავ. ხარები გაწირული ბაღს. ჩემი სალამურის ძახილს ემორჩილებიან. როგორც კი მის ხმას გაიგონებენ, ჩემკენ მოუშურებიან, შორსაც რომ ძოვდნენ. ახლავე აიღე ეს სალამური და ის ჰანგი დაუკარ, ერთხელ რომ დაფნისს ვასწავლე. მან კი შენ გასწაელი. რაც მოხდება, ეს უკვე ჩემშია სალამურში და ხარებშია იქიან. ისინი იქ, შორს არიან. ამ სალამურს გაჩუქებ. ამით ბევრ შეჯიბრებაში მიჯობნია მწყემსებისათვის. სანამ ცოცხალი ვარ, მაკლავ. მოკვდები და ცრუმ-

ლი დამიფერფლავ. და თუ ოდესმე შეხვდები მას, ვინც ჩემი ხარების მწყემსი იქნება, გამიხსენე".

30. ასე უთხრა დორკომ და გამოსამშვიდობებლად ალაპა. ამ კოცნასთან და ამ სიტყვებთან ერთად სული განუტევა. ქლოამ სალამური აიღო, ტუჩზე მიიდო და რაც შეეძლო, ხმამაღლა დაუკრა. აი, სალამურის ხმა ესმით ხარებს, ჰანგი ეცნოთ და ყველანი ერთად თავშეუკავებლად ზღვაში გადაეშვნენ. ასეთმა ბიძგმა გემი ერთ ბარეს ვადახარა, ხარების სიმძიმემ ზღვა ღრმად გააპო, გემი გადაბრუნდა და მორევში ჩაითქვა. ყველა, ვინც გემზე იყო, წყალში გადაეშვა, მაგრამ გადარჩენის იმედი ველარა თანაბარი არ ჰქონდა. ყაჩაღებს წელზე ხომ მახვილი ეკიდათ, ჭრილობიანი ბავშვი ეცვათ, წვივებზე კი ხანჯრამდე სამუხლეები ჰქონდათ აფარებული. დაფნისი კი დანაშვილა იყო (არვის ხომ მდელოზე მწყემსაობდა) და ნახელრად შიშველი (ვერ ხომ კიდევ ცხელოდა). ყაჩაღებს ვიდხანს ცურვა არ დასცალდათ, ბარების სიმძიმემ ზღვაში ჩაძირა ისინი. დაფნისმა კი თავისი ტანისამოსი ადვილად მოიცილა, ცურვა ჯერ გაუჭირდა, წინათ ხომ მხოლოდ მდინარეში ცურავდა, მაგრამ გაჭირვებამ ბევრ ასწავლა, რა უნდა გაეკეთებინა. წინ გაეშურა და ორ ხარს შუა მოექცა, ორივე ხელით მათ რქებს ჩაეჭიდა, უშრომლად და უდარდელად გასწია, თითქოს ეტლით გაბრუნებსო. ხარი ხომ ისე ცურავს, აღემატება ვერ გაუტოლდება, ცურვაში მხოლოდ წყლის დრინველებსა და თევზებს თუ შეამოევარდება, ცურვის დროს არასოდეს არ იღლება. მხოლოდ მთლად დამშვიდი ჩლიქი აძვრება ღელესაც. ჩემი ნათქვამის სამართლეს ადასტურებს ზღვებ-

ზე ბეჭური აღგილი, რომლებსაც „ბოსფორიც (ხარებს გადასასვლელი) ჰქვია.

31. ამხარად გადარჩა დაფნისი, სრულიად იმედგაკარგულმა ერთბაშად თავი ორ საფრთხეს დააღწია. უკანალებსაც ხელიდან დაუსხლტა და ზღვაშიც არ დაიხრჩო. საპირზე რომ ამოვიდა, ქლოა დახვდა: ქალიშვილი კიდეც ტიროდა და კიდეც იცინოდა. ვაჟი ჩაეკონა და ჰკითხა, სალამურის დაკარგა რატომ დაიწუეო? ქალიშვილმა ყველაფერი უამბო: როგორ მიაშურა დორკოს, როგორ იყენებენ ვაწოფული ხარები, როგორ უბრძანეს სალამური დაეკრა და ისიც, რომ დორკო გაოცდებაო. წსოლად თავის კოცნაზე ამოფერი ეთქვამს, შერცხვა, ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს, თავისი კეთილისმყოფელისადღეის პატივი ეცათ: მისი ნათესავების შემწეობით უბედური დორკო დაჭრძალეს. საფლავზე მალალი ბორცვი აღმართეს, თავიანთი ბალეშიდან მრავალი მკენარე მოიტანეს და დარგეს, ყოველმა მათგანმა დორკოს პატივსაცემად ამ მკენარეებზე თავ-თავისი შრომის ნაყოფი ჩამოკიდა. მერე კი საფლავს რძე დაასხეს, ზედ ყურძნის მტევნები დაჭყლიტეს და სალამური დაამტვრიეს. ხარები საკოდავად ბღაოდნენ და ჰქეთ-ჩქით ეხეიქებოდნენ, ბინა-ცხვრის წყვეტსები ამოპობდნენ, ხარები მიცვალებულ წყვეტსს დასტიროდნ.

32. დორკო ჯერ დაკრძალეს ქლოამ დაფნისი ნიჭიერებით მიიყვანა, გამოქვაბულში შეუძღა და ტანი დაბანა. პირველად დაფნისის თვალწინ თვითონაც დაიბანა ტანი თეთრი, უმანკო სილამაზისა. ქალიშვილი ისეთი მშვენიერი იყო, დაბანა არც კი სჭიროდა. მერე ყველები და-

კრიეს, ნიშფების ქანდაკებანი გვირგვინებით შეამკეს, დორკოს სალამური კი ღმერთებს შესწირეს. ქლოას მიაბარეს. ამის შემდეგ თხა-ცხვარს მიაშურეს. პირუტყვი წყვიდად იწვა, არ ძოვდა, არც ბღაოდა. მაგრამ, ვფიქრობ, ისინი დაფნისსა და ქლოას რომ ვერ ხედავდნენ, ამას დარდობდნენ. როგორც კი ახალგაზრდები გამოჩნდნენ და უწინდებურად შეუძახეს საქონელს, თანაც სალამური ააღუღუნეს, ცხვრები მაშინვე აიშალნენ და ძოვა დაიწყეს. თხები აკუნტრუშდნენ, თითქოს თავისი მწყემსის გადარჩენით ხარობენო. დაფნისი კი ეელარ მხიარულობდა, რაკი შიშველი ქლოა და მისი აქამდე დაფარული სილამაზე იხილა. გული ისე ატკივდა, თითქოს რალაც შხამი ეგემოს. ხან აჩქარებულად სუნთქავდა, თითქოს ვინმე მოსდევსო, ხან სული ეხუთებოდა, თითქოს სიმაგრეს ვეღარ ეგუებაო. ჩანს, ნაკადულში ბანაობა მისთვის ცუდი საშინელი აღმოჩნდა, ვიდრე ზღვაში გემის დაღუპვა. ევონა, ჩემი სული ისევ ტკვეობამდეო. ყურძნისა ხომ ახალგაზრდა და მიამიტი იყო, მან ჯერ კიდევ არ იცოდა, სიყვარული რა ყაჩაღიც ბრძანებოდა.

ᲧᲣᲠᲫᲜᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ

1. შემოდგომა უკვე სავსებით გაიფურჩქნა. რთველის დადგა. ვინდორში მუშაობას შეუდგნენ: ვინ საწნახლებს დაწყო შეკეთება, ვინ კასრებს რეცხავდა და ვინ ქალათებს წრიალდა. ზოგი ყურძნის მტევნების მოსაჭრელ ნამგლისებურ დანებს იმარაგებდა. ზოგი ლოდს

მტევნების დასაწყლეტად. ზოგი ხმელ როკებს აპობდა, რომ ღამით ცეცხლი აენთო და მის სინათლეზე მაჭარი გადაეტანათ.

დაფნისმა და ქლოამ თავიანთი თხა-ცხვარი დაივიწყეს და რაველში დასახმარებლად მივიდნენ. დაფნისი გოლრებით ყურძენს ეზიდებოდა, საწნახლებში ჰყრიდა, წუროავდა და მაჭარს კასრებში ასხამდა. ყურძნის მკრეფავებს ქლოა საღილს უმზადებდა, ძველ ღვინოს უსხამდა და ძირს დაშვებულ მტევნებს ჭრიდა: ღვსაბოსზე ხომ დაბალი ვენახია, მაღლა არ ადის და ხეების ტოტებს არ ებჯენა, ვაზი სეროსავით დაბლა ეკონება მიწას. ბაგეშვსაც კი, ხელები რომ ეს-ეს არის საბეკვეებიდან გაითავისუფლა, შეუძლია მტევნებს მისწვდეს.

2. როგორც ხდება ხოლმე, დიონისეს დღესასწაულზე რაველში ქალები პიტალიეს ახლომახლო მინდვრებიდან. ისინი დაფნის თვალს ვერ აშორებდნენ, სილამაზეს შეჩვეულნენ, აშმორჩნენ, დიონისეს მადალიარა. ყველაზე გამეჯიბრული დაფნის კიდეც კოცნიდა და ამით ალელვებდა ვაჟს. ქლოას ეს ძალიან აღონებდა. მამაკაცები კი, საწნახლებში რომ ყურძენს წურავდნენ, ქლოას ეარშიყებოდნენ. როგორც სატირები პანის კერპთან ქალთა წინაშე, შემლილივით დახტოდნენ და უფიცებოდნენ, ნუტაც ცხვრებად გადაგვაქცია, რომ შენ მოგეფერებოდეთო. ახლა ქალიშვილი მზიარულობდა, დაფნისი კი ლონდებოდა. რაველის დასასრულს ორივე მოუთმენლად ელოდა, რადგან ნაშუაღე ადგილებს დაბრუნებოდნენ და ნაცვლად ადამიანთა ქვეყნად-ბედნიერისა, მოესმინათ სალამურის ბგერა, ხახების კიკინი და ცხვრის ბღავილი. როდესაც რამდენ-

ჯერ ღვის შემდეგ ყურძენი უკვე დაიკრიფა, კასრები მაჭრით აივსო და ამდენი მუშახელი საჭირო აღარ იყო, დაფნისმა და ქლოამ არეკ და ფარა კვლავ მდელოზე გადმოტანეს. სიხარულით აღსავსე ახალგაზრდებმა ნიშნების ბაგეები სცეს, ყურძნის აკიდოები შესწირეს. ნიშნების ბანდობად წინათაც არ ჩაეცილებით უყურადღებოდ: საქორწილო მიმართავდნენ, საძოვრიდან დაბრუნებისას კი ფიცებით მიმართავდნენ. თანაც ყოველთვის რაიმე შესაწირავი მიჰქონდათ: ყვავილი, ხილი, მწვანე ტოტი. ხანაც ძმას შესწირავდნენ მსხვერპლად. ამისთვის მერე ქალწილები უსუსად აწილდოებდნენ პირ და მკ'მინ ახალგაზრდები ლეკვებივით დახტოდნენ, სალამურს უკრავდნენ, ცეკვავდნენ, ეკლებსა და ყოჩებს ებრძოლებოდნენ.

3. ასე რომ მზიარულობდნენ, მითთან თხის ტყავით შემოსილი მოხუცი მივიდა, ფეხზე უხეში სანდლები ეცვა. წელზე ჩანთა ეკიდა, ისიც ძველი. ახალგაზრდებთან დაჯდა და ეს თქვა: „ჩემო ბავშვებო, მე მოხუცი ფილტასი ვარ. ძველად ნიმფებისთვის ბევრჯერ მიმღერია, ბარების დიდ ჯოგს მხოლოდ და მხოლოდ სიმღერით ვეძღვნებოდი. თქვენთან მოვედი, რომ გიამბოთ, რაც მინახავს, ვადმოგცეთ, რაც გამიგონია. მაქვს ბაღი, ჩემი ხელით გავაშენე მას უკან, რაც სიბერის გამო მწყემსობას თავი დავანებე. ყველაფერი, რაც წლის ყოველ დროს მოაქვს, ჩემს ბაღში თავ-თავის დროზეა: გაზაფხულზე — ვარდები, ზრომანები, სუმბულები, ორივე ჯიშის ია, ზაფხულში — ყაყაჩოები, ყოველნაირი ჯიშის მსხლები და ვაშლები; ახლა კი ყურძენი, ლელეი, ბროწეული და

შვილია შურტია. დილაადრიან ჩემს ბაღში ვუნდგუნდაც მოფრინდებიან ფრინველები; ზოგი კენკავს, ზოგიც გალობს. ხშირ და ჩრდილიან ბაღს საში ნაკადული რწყავს. ბაღს ყაგის ღობე რომ მოაკილო, გეკონება, ჭალაა.

4. დღეს შუადღისას ბაღში შევდივარ და ვხედავ, ბროწეულისა და შურტის ხეთა ძირში ბიჭუნას ბროწეულები და შურტის კენკრები ეკვირავს ხელში. ბიჭუნა რძესავით თეთრი იყო, ცეცხლისფერ კულულებიანი, ისე ბრწყინავდა, თითქოს ეს-ეს არის ტანი დაუბანიაო. ტიტველი მარტო იჯდა. ცელქობდა, ბილს კრეფდა, თითქოს თაყის ბალშიაო. გავეშურე მის დასაჭერად. თან მეშინოდა, ამ ხანმაძ, ნებიერ ბიჭუნას ჩემი შურტები და ბროწეულები არ დაეშტერია, მაგრამ იგი მარდად და ადვილად მისხლტებოდა ხელიდან: ხან ვარდების ბუჩქებს მოეფარებოდა, ხან ყაყაჩოებში იმალებოდა, თითქოს ქაბის ღლაპიაო. წინათ ხომ ბშირად დავდევნებივარ თიკნებს ან ძუძუმწოვარ ხბოს და დამიჭერია ხოლმე. ეს ბიჭუნა კი მოხერხებული და მოუხელთებელი ქმნილება იყო. დავიღალე, მე ხომ უკვე ბებერი ვარ, — კომბალს დაეებჯინე და დავუდაბაჯდი, რათა არ გამქცეოდა; ყურთბე ვისი ხარ ღა სხვის ბაღში ხილს რატომ ჰკრეფ-მეთქი. არაფერი მიპასუხა, მაგრამ მახლობლად გამიჩერდა, ნაზად გამიცინა და შურტის კენკრების სროლა დამიწყო. თვითონაც არ ვიცი, როგორ მომწყალდა ისე, რომ კვლავ გაეცყავრდი. შევეხვეწე: ჩემი ხე გეშინია, დამნებდი-მეთქი. ჩემს შურტებს ეფიცებოდი, რომ საგზლად ბროწეულებსა და ვაშლებს გავატანდი, არასოდეს არ დაეუშლიდი არც ხილის მოკრეფას, არც ყვაველების მოწყვეტას, თუ ცოტახელ მაინც მაკოცებდი.

5. მაშინ გადაიკისკისა. ისეთი ხმა ჰქონდა, არც მერცხალს, არც გედსა და არც ბულბულს რომ არ გააჩნია.

„ჩემთვის ძნელი არ არის, გაკოცო. მე ხომ შენზე ცყერო მინდა გაკოცო, რათა ამბალგაზრდობა დავიბრუნდე. მაგრამ შენა ასაკს განა ასეთი ჯილდო შეეფერებაჭ.. საკვირველია, ჩემი ერთადერთი კოცნა იყვმა, შენი სიბერეც კერ შეგაკვეცებს და დასაჭერად დამედევნები. მაგრამ ჩემი დაჭერა არც მიმინოს, არც არწივს, არც სხვა რომელიმე ცურო ფრთიანად ფრინველს არ შეუძლია. თანაც მე სრულიადაც არა ვარ მატარა ბიჭი. ქრონოსსა და ყველა მას საკუთარზე ხანდაზმული ვარ. შენც ხომ გიცნობდი, როცა ჯერ კიდევ პაპუკა იყავი და აქ, მთაზე, ფარხთად გამწყრალ შენს ბაბოს მწყემსავდი. მაშინაც შენთან ვიყავი, როცა აჭარილმა გაგყარდა და აქ ბუხების მახლობლად საცამურს უკრაქდი. მაგრამ შენ კერ მხედავდი, თუმცა ჭალიშვილის გეგერდით ვიდექი. ეს ტალი მე მოგვარე. და აი, დაგეზარდნენ ეიციშვილები — შესანიშნავი წყემსები და მხვნელები. ახლა დაუნისლა და ქლიას გიწყემსავ. და როდესაც დილაადრიან მათ ერთმანეთს შეეხვეწები, მოვდივარ შენა ბაღში, კნეტარებ შენი ყვაველებით, ხილით და ამ ნაკადულში ვბანაობ. ამიტომაც ძრის შენთან ბილი და ყვაველები მწვენიერი: ისინი ხომ წყალს იქიდან სვამენ, საიდანც მე ვბანაობ. ნახე, შენთან არც ხეა დამტვრეული, არც ხილი ბოწყვეტილა, არც ყვაველები გადათელილა, არც ნაკადული აშლერეული.

გისაროდეს, რომ სიბერეში მოკედაეთა შორის ასეთი ბავშვი მხოლოდ შენ იხილე".

6. ესა თქვა და მურტებზე ნორჩი ბულბულივით შეფრთხიალდა, ხუცრიდან ხუცრზე, ფოთლებს შორის კენწერომდე ავიდა. მხრებზე ფრთები, მხრებსა და ფრთებს შორის „კი მშვილდი და კაპარჭი დავენახე. და არ, ეკლე აღარც მშვილდი ჩანს და აღარც თვითონ.

თუ თავი ამაოდ არ გამითეთრებია და ჩემი გონება სიბერეს ჯერ კიდევ არ დაუსუსტებია, ოი, ბავშვებო, თქვენ ეროტისთვის შეუწყვრავხართ და ეროტი თქვენთვის ზრუნვას".

7. ახალგაზრდები მოიხიბლნენ, თითქოს ზღაპარს უსმენდნენ და არა ნამდვილ ამბავს. გამოკითხვა დაუწყეს: ვინ არის ეროტი? ბავშვია თუ ფრინველი, და რა ძალა აქვსო? ფილეტასმა უპასუხა: „ბავშვებო, ეს ეროტი ღმერთია — ნორჩი, მშვენიერი, ფრთიანი. ამიტომ შეჰხარის ახალგაზრდობას, სილამაზის მოტრფიალეა და ადამიანის გულს აღაფრთოვანებს. ისეთი ძალა შესწევს, ზევსი ვერ გაუტოლდება. ბატონობს სტიქიებზე, ბატონობს მნათობებზე, ბატონობს ისეთსაეე ღმერთებზე, როგორიც თვითონაა, — თქვენ საკუთარ თხა-ცხვარსაც ვერ დაიშორჩილებთ იმისავით. ეს ყვავილები მისი ნახელავია, ეს ხეები მისი შექმნილი. მდინარეებს თავის ნებაზე დააქანებს და ქარს დააჭროლებს. მინახავს ხარი, ვნებით შეპყრობილი ბღაოდა, თითქოს ბორას დაუკბენიაო, მინახავს ვაციც, წალი რომ უყვარდა და მას ყველგან დასდევდა. მეც ვიყავი ახალგაზრდა და ამბრილისი მიყვარდა. მაშინ ჭამა მავიწყდებოდა, არც სასმელს ვეკარებოდი, უძილობა დამჩემდა. სულის სიმშვიდე დავკარგე, გული მითრთოდა, სხეული მეყინებოდა. ხან ნაცემივით ვკვნესოდი, ხან მკვდარივით ვდუმდი, ხან ცეცხლმოდებული, მდინარეებში გადავეშვებოდი, ვუხმობდი ანასაც, რათა მომშველებოდა, თვითონ მასაც ხომ პითია უყვარდა; ეშოს ვაღიდებდი იმისათვის, რომ ჩემთან ერთად ჩემი ამბრილისის სახელს იმეორებდა. ჩემს სალამურებს ვამტვრევდი იმისათვის, რომ ჩემს ხარებს ბიბლავდნენ, ამბრილისი კი ვერ მოიზიდეს. ეროტის წამალი არც ჭაბა-სმაა, არც გამოლოცვები. ის სულ სხვა რამ არის".

8. ფილეტასმა ასე დაარიგა ჭაბ-ვაჟი და წავიდა დასაჩუქრებული ყველის კვერებითა და უკვე მოზრდილი თიკანით. მარტო დარჩენილი ახალგაზრდები კი, ეროტის სახელი რომ პირველად გაიგონეს მაშინ, დალონდნენ. ღამით, ვინ რომ დაბრუნდნენ, ფილეტასისგან მოსმენილი შეადარეს იმას, რასაც თვითონ განიცდიდნენ... შეყვარებულები იტანჯებიან — ჩვენც ვიტანჯებით, ჭამა ავიწყდებათ — ჩვენც დიდი ხანია დავივიწყეთ; ძილი დაკარგეს — ახლა უძილობა ჩვენც დაგვჩემდა; თითქოს იწვიანო — ჩვენც ცეცხლი გვეკიდება; ერთმანეთის ნახვა უნდათ — ჩვენც ამიტომ ვლოცულობთ, რომ დღე მალე გაგვითენდეს. მართლაც, ეს ყოფილა სიყვარული. ჩვენ ეს არ გვცოდნია, ერთმანეთი კი გვყვარებია. თუ ეს სიყვარული არაა, მაშინ რატომ ვწვალობთ, ერთმანეთისკენ რატომ მივისწრაფვით? ფილეტასმა ყველაფერი სწორად თქვა. ეს ბაღის ბავშვი ერთხელ ხომ ძილში ჩვენს მამებს გამოეცხადა და უბრძანა, რომ ჩვენ ფარა

და არვე გვემწყემსა. მაგრამ როგორ დაეიჭიროთ? ის ხომ პატარაა და ადვილად გაგვექცევა? ჩვენ კი მას თავი როგორ დავაღწიოთ? ფრთები აქვს და მაშინვე დაგვწევა. დასახმარებლად ნიმფებს უნდა მივმართოთ. მაგრამ პანიც ხომ ვერ დაეხმარა ფილეტასს, რომელსაც ებარილისი უყვარდა. მაშ იმ წამლებით ვიმკურნალოთ, რაც გვირჩია.

9. ამგვარად ეს ღამე ახალგაზრდებისათვის ჭკუის სასწაული გამოდგა და როცა თხა-ცხვარი საძოვრებისკენ გარეკეს, შეხვედრისთანავე ერთმანეთი გადაკოცნეს და, რაც წინათ არასოდეს ჩაუდენიათ, ერთიმეორეს მაგრად ჩაეკონენ. მაგრამ ტანთ გაბდა და მიწაზე დაწოლა ვერ გაბედეს. ეს მეტად გაბედულ საქციელად მოეჩვენა მარტო მოკრძალებულ ქალიშვილს კი არა, — ახალგაზრდა მწყემსსაც.

და ისევ მოედო უძილო ღამე, სულ იმაზე ფიქრობდნენ, რაც გაკეთეს, და თავს უსაყვედურებდნენ იმისათვის, რაც კერ შეასრულეს...

10. ასე ფიქრობდნენ და, როგორც ხდება ხოლმე, ესიზმრებოდათ სატრფიალო ალერსი, ხვევნა-კოცნა. ღამით სიზმარში განიცდიდნენ იმას, რასაც დღისით ვერ ბედავდნენ. ჩახუტებულნი ერთად იწვნენ. და ამ ღვთის ნებას სულ უფრო და უფრო ემორჩილებოდნენ, ალაოზე დგებოდნენ და სტვენით მიერეკებოდნენ თხებსა და ცხვრებს, საძოცებლად მიეშურებოდნენ. ერთმანეთს თვალს რომ მოჰკრაედნენ, ერთმანეთის შესახვედრად გარბოდნენ. კვლავ კოცნიდნენ და ეხუტებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ სიმშვიდეს მაინც ვერ პოულობდნენ.

11. მუხის კუნძთან ისხდნენ და კოცნით ტკბებოდნენ, განცხრომას ეძლეოდნენ. არც ჩახუტება ავიწყდებოდათ. ამ დროს ტუჩებზე ერთმანეთს უფრო მაგრად ეწებებოდნენ. და როცა ხვევნა-კოცნისას დიფნისმა ქალი უფრო ძლიერ მიიზიდა, ქალიშვილი გაეიხარა, ყვე-ც თან გადაჰყვა, მისი კოცნის დაყარგვა დაენანა. და ახლა შეიცნეს ის, რასაც სიზმრად ნახულობდნენ. დიდხანს იწვნენ ერთად, თითქოს მაგრად გაუთოკავთო. იფიქრეს, საყვარულის ზღვარი ეს არისო. დღის უმეტესი ნაწილი ამოდ დაკარგეს, ერთმანეთს დაშორდნენ, ფარა და არვე შინ გარეკეს, ღამის წყევლაში იყვნენ.

12. რამდენიმე მეთიმნელმა მდიდარმა ჰაბუკმა მოისურვა, დრო რითველში ტკბილად გაეტარებინა, ქალაქვარეთ მოელხინა. პატარა გემი აღჭურვეს, მსახურნი მენიჩბეებად დასვეს და ჩაუარეს მიტილენის ბიხდერებს, ზღვასთან ყველაზე ახლოს რომ მდებარეობდა. აქ ზღვის უბეებით დასერილი ნაპირი მდიდრული შენობებით არის დამშვენებული. ყველგან საბანაო ადგილები, ბაღები და კორომებია. ერთი თუ ბუნებამ შეჰქმნა, მეორე — ადამიანის ხელმა, ყველაფერი ერთად კი მშვენიერ გასართობ კუთხეს წარმოადგენდა. ნაპირის გასწვრივ დაცურავდნენ, გემს ხან აქ, ხან იქ მიაბანდნენ, არავის არაფერს უშავებდნენ, რაც კი შეეძლოთ მხიარულობდნენ. ხან ზღვისაკენ დაქანებულ კლდეზე დადგებოდნენ და წყრიალა ხელის მკედით გრძელ ლერწმებზე მიბმული ანკესებით თევზებს იჭერდნენ, ხან კი ბადითა და ძალებით დასდევდნენ კურდღლებს, ვენახებში შემუშავეთა ხმაურს რომ დაეფრთხო. ახალგაზრდები ფრინველ-

ზე ნადირობითაც ერთობოდნენ, გარეულ ბატებს, იხვებსა და ინდაურებს მახეს უგებდნენ. ასე რომ, გართობა დიდ საარგებლობასაც აძლევდათ. თუ რაიმე შემოაკლდებოდათ, ადგილობრივ მცხოვრებთაგან იძენდნენ. ფულს ზედმეტს ხდიდნენ. მათ მხოლოდ პური, ღვინო და ღომის გასათეძი სჭირდებოდათ. უკვე დადგა შემოდგომა. ზღვაზე ღამის გათევას საშიშრად თვლიდნენ, ჭარიშხალი არ ამოვარდესო, და გემი ნაპირზე გამოჰქონდათ.

13. ბი. ერთ იქაურ გლეხს თოკი დაჰპირდა, უნდოდა საწნახელში დაჭყლეტილი ყურძნიდან ლოდი ამოეღო (ძველი თოკი გასცვეთოდა), ზღვის ნაპირთან მიიპარა, უდარაჯოდ დატოვებულ გემთან მივიდა, ბაგირი მოხსნა და შინ წაიღო. დილით მეთიმწელმა შაბუკებმა ბავშვი მოძებნეს. რადგან ჭურდობაში არავინ ვამოტყდა, მასპინძლები ცოტა დატუქსეს და ქალაურობას გეცოდნენ. ოცდაათი სტადიონი ვაიარეს და გემი იმ მდელოს მახლობლად მიაყენეს ნაპირთან, სადაც დაფნისი და ქლოა ცხოვრობდნენ. ეს ვაკე კურდღელზე სანადირო ადგილად მიიჩნიეს, მაგრამ თოკი არა ჰქონდათ გემის მისაბმელად. მაშინ მწვანე ვრძელი წნელი თოკივით დაგრიხეს და კიჩოს მხრიდან ნაპირს მიაბეს. მერე ძაღლები აუშვეს, ნადირს მისდიეს, ზოგან, სადაც ემარჯვებოდათ, ბილიკებზე მახეები დააგეს. ძაღლები ყეფით მოედევნენ გარემოს, დააფრთხეს თხები, რომლებმაც იალაღი მიატოვეს და ზღვისაკენ დაეშვნენ. მაგრამ აქ ცარიელ ქვიშაზე მოსაწოწკნი ვერაფერი ნახეს; ეფრთა თამამები გემთან მივიდნენ და შეჭამეს მწვანე წნელი, რითაც გემი იყო მიბმული.

14. ზღვა კი ღელავდა, რადგან მთვარიდან ნიავმა დაუბერა. ტალღები ნაპირს ეხეთქებოდა. გემი ზვირთებმა აწიეს და გაშლილ ზღვაში გაიტაცეს. როცა მეთიმწელმა სტუმრებმა ეს დაინახეს, ზოგნი ზღვას მიაშურა, ზოგიერთებმა ძაღლებს დაუძახეს. ისე ხმამაღლა ყვიროდნენ, რომ ახლომახლო მინდვრებში ყველამ გაიგონა და თავი მოიყარა. მაგრამ დახმარება ვის შეეძლო: ქარი ძლიერდებოდა, ტალღებს გემი ჩქარა მიჰქონდა. მეთიმწელებმა, — მათ ცოტა სიმდიდრე რომ დაეღუპათ, — იმას დაუწყეს ძებნა, ვინც ამ თხებს მწყემსავდა. როცა დაფნისი იპოვეს, დაუწყეს ცემა, ტანისამოსი შემოაგლიჯეს. ერთმა ძაღლის თასმა აიღო, დაფნისს ხელები ისე მაგრად მოუგრიხა, თითქოს პის გათოკვას ლამობსო. დაფნისი კი, როცა სცემდნენ, ყვიროდა, გლეხებს ემუდარებოდა, შიშველეთო. სოფლელები თუმცა მოხუცებულნი, მაგრამ ჯანმაგარნი იყვნენ, მინდვრად მუშაობას დაჩვეული ღონიერი ხელები ჰქონდათ და წინააღმდეგობის გაწევა შეძლეს: მოითხოვეს, სამართლიანად გავარკვიოთ, რა მოხდაო.

15. რადგან მოწინააღმდეგეებსაც ეს უნდოდათ, მსაჯულად ხარების მწყემსი ფილეტასი ამოარჩიეს, აქ მყოფთა შორის უხუცესი და თავისი იშვიათი სამართლიანობით გლეხებში სახელმოხვეჭილი ის იყო. რა ბრალს სდებდნენ, ეს პირველად მეთიმწელებმა თქვეს მოკლედ და გარკვევით — მათი მსაჯული ხომ უბრალო მწყემსი იყო: „ამ მხარეში სანადიროდ ჩამოვედით. გემი მწვანე წნელით მივაბით და ზღვის ნაპირზე დავტოვეთ. ძაღლები კი ნადირის კვალზე მივუშვით. ამ დროს ზღვასთან

აი, ამ მწყემსის თხები მოვიდნენ, საბელი შეჭამეს და გემში აუშვეს. შენ თვითონ დაინახე, ზღვამ გემი როგორ გაიტაცა... როგორ ფიქრობ, გემზე რამდენი სიმდიდრე იქნებოდა? რამდენი ტანისამოსი დაგვეკარგა, რამდენი აკაზმულობა ძაღლებისა, რამდენი ფული, ამ თქვენს მინდვრებს სულ ერთიანად ვიყიდდით! ზარალი რომ ავინაზღაუროთ, უფიქრობთ, ბიჭის წაყვანის უფლება გვაქვს; ის ხომ ცუდი მწყემსია".

16. მეთიმნელებმა ასეთი საბრალდებელო სიტყვა წარმოთქვეს. ნაცემი დაფნისი ცუდად იყო, მაგრამ ქლოა რომ დაინახა, ყველაფერი დაავიწყდა და ასე უპასუხა: „თხებს მე კარგად ვმწყემსავ. არც ერთი მეზობელ გლეხს არ უჩივლია, თუნდაც ერთ თხას შისი ბალი წაეხდინოს, ანდა ვაზის ყლორტები გაეფუტკვინოს. აი, ესენი კი ვაი-მოსაღირები არიან. ძაღლები ცუდად ჰყავთ დაგეშილი: ცოფიანივით დარბიან, გაფთრებული ყეფენ, მთად და ბარად ყველა თხა დამიფრთხეს, თითქოს მგლები ყოფილიყვნენ, ზღვასთან მირეკეს. ამბობენ, შენმა თხებმა ლერწი შეჭამესო. რასაკვირველია. შეჭამდნენ: მოტიტვლებულ ქვეშაზე ვერც ბალახი იპოვეს, ვერც მარწყვის ჯაგები და ვერც ქლიავი. გემი ქარმა და ზღვამ დაღეჭა. ეს ქარიშხლის ბრალია და არა ჩემი თხებისა. გემზე ფული და ძვირფასი ტანისამოსი იყოო. ვისაც გონების ნატამალი შერჩენია, არ დაიჯერებს, რომ გემზე ასე ძვირფასი ტვირთი ჰქონდათ და იგი ბაგირით კი არა, წნელით მიაბესო".

17. ეს თქვა დაფნისმა და ატირდა, ყველა გლეხს თავი შეაბრალა. ასე რომ, მსაჯულმა ფილეტასმაც კი პანი და ნიმფები დაიფიცა, არც დაფნისს, არც თხებს არაყირა ბრალი არ უდევთ, ზღვა და ქარია დამნაშავე. მათი მსაჯულები კი სხვები არიანო. მაგრამ ფილეტასმა ასეთი სიტყვებით მეთიმნელები ვერ დაარწმუნა. განრისხებულნი კვლავ დაფნისს მიეარდნენ, ხელი სტაცეს, მისი გაკოჭვა მოისურვეს.

მაგრამ ახლა გაცოფებული გლეხები შაშვებისა თუ ჭკების გუნდივით თვითონ დაერივნენ მათ. დაფნისი იმწამსვე ხელიდან გამოგლიჯეს—იგი თავს თვითონაც იცავდა — ჯოხების ცემით მეთიმნელები გააქცევს. მხოლოდ მაშინ მოეშვნენ, როცა თავიანთი საზღვრებიდან სხვათა მინდვრებში გადარეკეს.

18. სანამ ისინი მეთიმნელებს მიერეკებოდნენ, ქლოამ დაფნისი ნიმფებთან მიიყვანა, ცხვირგატეხილს სისხლით მოსახუჭნელი სახე დაბანა, ჩანთიდან პერის ნატეხი და ყველის ნაჭერი ამოიღო და დაფნისს მიაწოდა, თან თავისი ნაჭი, თაფლივით ტკბილი ტუჩებით აკოცა, რასაც ვაჟი განსაკუთრებით უნდა გაეხარებინა.

19. აი, რა ჩიტთას გადაურჩა მაშინ დაფნისი. მაგრამ საქმე ამით არ გათავებულა: როგორც კი მეთიმნელები შინ — ქალაქში დაბრუნდნენ ფეხით და არა გემით, დაჭრილნი და არა მოზეიმენი, მაშინვე მოქალაქენი კრებაზე მოიწვიეს და წარუდგნენ მათ მტყდარით, ხვენთვის შეური იძიეთო. ერთი სიტყვაც არ უთქვამთ მართალი, მისხრად არ აგვიგდონ იმის გამო, რომ უბრალო მწყემსებმა ასეთი დღე გვაყარესო. პირიქით, მოტილენელ მოქალაქეებს ბრალი დასდეს: გემი წაგვართვეს და, თითქოს ომი ყოფილიყოს, ჩვენი ჯონებიც დაი-

ტაცესო. ჭრილობებიც უჩვენეს. მოქალაქეებმა დაუჯერეს და სამართლიანად ჩათვალეს შური ეძიათ, ეს ჭაბუკები ხომ ყველაზე დიდგვაროვან ოჯახთა შვილები იყვნენ, გადწყვიტეს, იმი მტკვლეფთან მოულოდნელად დაეწყოთ. მხედართმთავარს უბრძანეს, წყალში ათიოდე გემი ჩაეშვათ, თავს დასხმოდნენ და მთელი სანაპირო აეკლოთ. ზამთარი ახლოვდებოდა და ზღვაში უფრო დიდი ფლოტის ჩაშვება საშიში იყო.

20. მხედართმთავარმა გათენებისთანავე ჯარისკაცები ნიჩბებთან დასვა, გაშლილ ზღვაში გავიდა და მიტკვლეფილია სანაპიროზე მინდვრები დაარბია: ბევრი პირუტყვი, ბორბალი და ღვინო დატაცა, იმ მიდამოებში თუკი ვინმე მუშაობდა, ყველანი ტყვედ წაიყვანა. იმ ადგილებსაც მიადგა გემით, სადაც ქლოა და დიენისი იყვნენ. სწრაფად გადავიდა ნაპირზე და მათი პირუტყვიც, რაც ხელში მოხვდა, გამოირეკა. დიენისი იმ დროს თხებს არ მწყემსავდა, ტყეში ნორჩ ყლორტებს ჭრიდა, ზამთარში თიკნებს საკვები რომ ჰქონოდათ. მთის ფერდობიდან თავდასხმა რომ დაინახა, ხმელი წიფლის ღეღეროში დაიმალა, ქლოა კი არვესა და ფარასთან იყო. ქალიშვილმა თავის გადასარჩენად ნიმფებს მიაშურა, მტრებს ემუდარა, ქალღმერთთა გულისათვის შემიბრალეთ მეც და ჩემი თხა-ცხვარიცო. მეთიმწყლეებმა ქალღმერთთა ქანდაკებანი მასხრად იგდეს, არვე და ფარა წინ გაიმრეკეს, ქლოაც თან წაიყვანეს, თან თხა-ცხვრისა არ იყოს, იმასაც წკეპლაედნენ.

21. გემები სხვადასხვა ნადაელით აივსეს, მერე გადაწყვიტეს, უფრო შორს არ წასულიყვნენ და შინ დაბრუნე-

ბულიყვნენ, რადგან ზამთრის ქარიშხლებისაც ეშინოდათ და მოწინააღმდეგისაც. ქარი არ ჭრიდა და გაჭირვებულნი ნიჩბებს ძლივს უსვამდნენ. დიენისი კი, როცა გარშემო ყველაფერი მიწყნარდა, ბარში ჩავიდა, სადაც ქლოასთან ერთად მწყემსავდა: ვერც თხები ნახა, ვერც ცხვრებს გადაეყარა, ყერეც ქლოა იპოვა. იპოვა მხოლოდ დუმილი, მყუდროება და გატეხილი საღამურა, რითაც ქლოას გართობა უყვარდა. ხმამაღალი ყვირილით და შესაბრალისი ქვითინით ხან წიფელთან მიიჭრებოდა, სადაც სხდებოდნენ ხოლმე, ხან ზღვასთან, იმ იმედით, იქნებ იქ ენახოო, ხან ნიმფებთან, რომლებსაც ქლოამ მიაშურა თავის საშველად. აქ ვაჟი მიწაზე დაემხო და ნიმფებს ყველაფერი დაუწყო, ასე რატომ გაგვწირეთო.

22. „თქვენს ქანდაკებებთან მოიტაცეს ქლოა და თქვენ შესძელით ამისთვის გულგრილად გეცქირათ? თქვენ გასწირეთ ქალიშვილი, ვინც გვირგვინებს გიწნავდათ, პირველ ნაწველს გწირავდათ, ვისი საღამურიც, თქვენთვის შემოწირული, აქ ჰკიდიაო! ერთი წყალიც კი არ მოუტანია ჩემთვის მგელს. მტრებმა კი მოიტაცეს მთელი არვე და ისიც, ვინც ჩემთან ერთად მწყემსავდა. ჩემს თხებს გაატყავებენ და ცხვრებს მსხვერპლად შესწირავენ, ქლოა კი სამუდამოდ ჭალაში დარჩება საცხოვრებლად. არც თხები მყავს, არც ქლოა, როგორ დაეუნახებ დედ-მამას მე საცოდავი? აწ ხომ სამწყემსარი არაფერი მყავს! აქედან ფეხს არ მოვიცვლი, დავეღლობები ან სიკვდილს, ან ახალ შემოსევას. ქლოა, შენც ასე იტანჯები? ნეტავ თუ აგონებ ამ ვაჟს, ამ ნიმფებს და მე? ხომ გარ-

თობენ ნერბები და წალები, რომლებიც შენთან ერთად ტაძრობაში არიანო?"

23. ასე ლაპარაკობდა დაფნისი, მერე ნამტირალევსა და მწუხარეს ღრმად ჩაეძინა. სიზმარში სამი ნიმფა გამოეცხადა, სამი მალალი, მშვენიერი ქალი, ნახევრად ტიტველი, ფეხშიშველა, თმაგაშლილი, სწორედ ისეთი, როგორიც ქანდაკებებია. ჭერ თითქოს სიბრალულით შეხედეს დაფნისს, მერე კი მათ შორის უხნესმა ასე გაამხნევა: "ნუ გეშინია, დაფნის! შენზე უფრო ვზრუნავთ ქლოასთვის. აქ ჩვენ შევიბრალეთ უმწეო ბალღი, აქ გამოქაბულში გამოვკვებეთ. ქლოას ხომ არაფერი აქვს საერთო არც დრიასის ცხვრებთან, არც მდელოსთან. ახლაც უკვე ვიზრუნეთ: მას მეთიმნაში ვერ წაიყვანენ, რათა მონის ხვედრი გაიზიაროს. ის ამ პანს, აქ ნაძვის ძირში აღმართულს, ვისთვისაც ყვავილებიც კი არ მიგვირთმევია პატივისცემის ნიშნად, ევხოვეთ ქლოას დახმარებოდა. ჩვენზე უფრო ლამჭრობას ის არის დაჩვეული, სოფრად მიმავალს სოფლის მინდვრები ხშირად მიუტოვებია. უკვე წაიღო მეთიმნელითვის საშინი მტერი. მაშ ასე, ნულარ წუხხარ. ადექი, დაეხმარე ლამონსა და მირტალს, ისინიც ხომ შენსავით მიწაზე გართხმულან. შენზე ფიქრობენ, მტრებს ხელში ჩაუვარდათ. ხვალ ქლოა შენთან დაბრუნდება თბა-ცხვარით. ფარიასა და არეულს კვლავ ერთად მომწყემსავთ და სალამურსაც ერთად დაუკრავთ. სხვა დანარჩენი ეროტის საქმეა, ოქვენთვის იზრუნებს".

24. ყველაფერი ეს რომ ნახა და მოისმინა, დაფნისი სწრაფად წამოხტა, გამოფხიზლდა. სიბარულისა და მწუხარების ცრემლი გადმოღვარა. ნიმფების ქანდაკებებს

თაყვანი სცა და ალუთქვა, თუ ქლოა გადარჩებოდა, საღვთესო თხას შემოგწირავთო. მერე სირბილით ფიქრს მიაშურა: იქ იდგა რქოსანი და თხისფეხა პანის ქანდაკება, ერთ ხელში სალამური ეჭირა, მეორეთი გაქცეულ თხას აკავებდა. დაფნისმა პანს თაყვანი სცა, შეეხვეწა, გადამირჩინეო და აღთქმაც მისცა. მსხვერპლად ვაცს შემოგწირავო. მხოლოდ მზის ჩასვლის შემდეგ შეწყვიტა ტირილი და ვედრება. მოჭრილი რტოები აკრიფა და შინ დაბრუნდა, ლამონსა და მის მახლობლებს მწუხარება გადაუყვანტა, სიხარული მოჰფინა. ცოტა ჭამა და დაიძინა. მაგრამ ძილშიაც ტიროდა და ლოცულობდა, რათა ნიმფები კვლავ ეხილა, ლოცულობდა, რათა ქლოას დაბრუნების დღე მალე გათენებოდა. ეს ღამე ყველა ღამეზე გრძელი მოეჩვენა. ამ ღამეს კი აი რა მოხდა:

25. ათიოდე სტადიონი რომ გაცურეს, მეთიმნელთა ბელადმა გადაწყვიტა, თარეშით დაღლილი მეომრები დაესვენებინა. ზღვაში ღრმად შეჭრილი, ნამგალივით მოკაუჭებული კონცხი დაინახა. წყალი ამ კონცხს იქით უფრო წყნარი იყო, ვიდრე სხვა რომელიმე ყურეში და ბრძანა გემები აქ დაეყენებინათ და ღუზა ნაპირის მოშორებით ზღვაში ისე ჩაეშვათ, რომ გემს ვერც ერთი გლეხი ხმელეთიდან თავს ვერ დასხმოდა. მეთიმნელებს ნება მისცა ემხიარულათ, თითქოს მშვიდობიანობა დამყარდაო. საკმაოდ ჰქონდათ ნადავლი და შეუდგნენ ჭამა-სმას, თამაშს, ვითომც გამარჯვების ზეიმობენო. ის იყო დღე ღამეში გადიოდა და სალამოს მხიარულება მიხელდა. უეცრად თიოქოს მთელი დედამიწა აფუთქდაო. ნიჩბების ისეთი ყურისწამღები დგაფუნი მოისმა, კბილს ეგონებოდა, დი-

და ფლოტი ახლოვდებაო. ზოგი ყვირიოდა: „იარაღი აისხითო,“ ზოგი მხედართმთავარს მოუხმობდა, ზოგს ეგონა, უკვე დაჭრილი ვარო, ზოგი ცოცხალ-მკვდარი ეგდო, მაგრამ მტერი არსად ჩანდა.

26. მათთვის ამ ღამემ მშვიდობიანად გაიარა, მაგრამ ღამეზე კიდევ უფრო საშინელი დღე გაუთენდათ. დაფნისის ვაცებსა და წალებს რქებზე გაუჩნდათ სურო ქენკრების ჯუნჯულებით, ჭლოას ყოჩებმა და ნერბებმა მგლებიცით ღმუილი მოართეს, თვითონ ჭლოა კი, ფიჭვის ტოტების გვირგვინით შემკობილი გამოეცხადათ. თვით ზღვაზეც სასწაულებრივი რამ ხდებოდა. როცა ღუზების ამოღება სცადეს, აღმოჩნდა, რომ ადგილიდან მათი დაძვრა შეუძლებელი იყო. ნიჩბებს მოუსვამდნენ თუ არა, ეშტერეოდათ, დელფინები ზღვიდან ხტებოდნენ, კუდის დარტყმით გემებს ანჯღრევდნენ, კონცხის ციცაბო კლდის მწვერვალებიდან სალამურის ხმა ისმოდა, მაგრამ ჩვეულებრივი სალამურივით სმენას კი არ ატკბობდა, ეს ხმა საომარი საყვირიეთი საშინელი იყო. **ყველა აჩოჩქოლდა. იარაღი აისხეს. უხილავ მტრებს საბრძოლველად იწვევდნენ. ბოლოს სასოებით ლოცვას მოჰყვნენ. დაღამებას ნატრობდნენ, იქნებ სული მოითქვათო. ყველასათვის, ვინც ამ მოქმედარ ამბავს კარგად დაუკვირდებოდა, ნათელი გახდებოდა, რომ თავზარდამცემი ლანდების გამოჩენასა და ხმაურში მეზღვაურებზე რატომღაც განრისხებული პანის ხელი ერია. მაგრამ მიზეზი ვერ გაეგოთ — მათ ხომ პანის არც ერთი საკურთხეველი არ გაუძარცვავთ. და აი, დღისით — ეს ლმერთების**

ნების გარეშე არ მომხდარა — ბელადს ღრმად ჩაეძინა. სიზმარში პანი გამოეცხადა და ასე უთხრა:

27. „ოჰ, ყველაზე დამნაშავე, ყველაზე ულმობელო ადამიანებო! გაგიქდით, ეს როგორ გაბედეთ? ჩემი საყვარელი სოფლის მიდამო აიკელით. გარეკეთ ხარები, თხა-ცხვარი, რასაც ზრუნვას არ ვაკლებდი. საკურთხეველს მოგლიჯეთ ჭალიშვილი, ვისი დახმარებითაც ეროტს სიყვარულის ზღაპრის შექმნა სდომდა. თქვენ არც ჩემი, პანის, შეგრცხვათ. არც იმ ნიმფებისა, რომლებიც გიმზერდნენ. მეთიმნას ველარ იხილავთ, სანამ ასეთი ნადაული მიგაქვთ. ვერ გაეჭცევით ვერც ჩემს სალამურს, რომელიც თავზარსა გცემთ. ზღვაში ჩაგახრჩობთ, იელვების ლუკმად გაგხდით, თუ ნიშნებს დაუყოვნებლივ არ დაუბრუნებ ჭლოას, აგრეთვე ჭლოას არვესა და ცხარას, მის თხა-ცხვარს. მაშ, აღსდექ და ჭალიშვილი ხმელეთზე გადასვი, დაუბრუნე ყველაფერი, რაც გითხარი. ძაშინ ზღვაზე გზას თვითონ გიჩვენებ, ჭლოას კი შინ მიეცილები!“

28. ძლიერ აღელდა ბრიაქსხი (ასე ეძახდნენ წინამძღოლს). როგორც კი გაიღვიძა, ყველა გემის უფროსი მოიხმო და უბრძანა, ტყვეებს შორის დაუყოვნებლივ ეპოვნათ ჭლოა. მალე მონახეს და წარუდგინეს: ჭალიშვილი ხომ ფიჭვის ტოტების გვირგვინით შემკობილი იჯდა. სიზმარი ნამდვილად ამხიხდათ. — გაიფიქრა ბრიაქსხმა და ჭლოა თავისი გემით ნაპირამდე თვითონ მიაცილა. როგორც კი ჭალიშვილმა მიწაზე ფეხი დადგა, კლდეებიდან სალამურის ხმა კვლავ მოისმა, მაგრამ სამომარი და თავზარდამცემი კი არა, არამედ მწუხარესური, ჯოგებს

საბალახოდ რომ მიერეკებიან. ცხვრებმაც მაშინვე გემების საბიჭელი ჩაირბინეს, მაგრამ ჩლიქები უცურდებოდათ, ფრიალო კლდეებზე სიარულს დაჩვეული თხები კი უფრო გაბედულად ჩარბოდნენ.

29. ასეთი ქლოას გარშემო დაგროვდნენ, წრედ შემოევლნენ, თითქოს ქოროათო, დარბოდნენ, ბღაოდნენ, კიკინებდნენ, თითქოს უხარიათო. სხვა მწყემსების თხა-ცხვარი და ხარები მშვიდად იდგნენ ერთ ადგილას გემის სიღრმეში, თითქოს სალამური მათ არ უხმობსო. როცა ყველა, გაცებული, პასს ადიდებდა, მაშინ ხმელეთსა და ზღვაზე უფრო დიდი სასწაულები მოხდა. ჯერ კიდევ ღუზა არ ამოეღოთ, რომ მეთიშვილთა გემები ადგილიდან დაიძრა, ბელადის გემი დელფინს მიჰყავდა, მის წინ წყალზე გარბოდა. თხა-ცხვარს კი სალამურის ტკბილი ხმა მიუძღოდა, მავრებს სალამურის დამკვრელი არსად ჩანდა. ასე ერთად თავმოყრილი პირუტყვი გზას მიჰყებოდა, სალამურის ტკბილი ხმით დამტკბარი ბალახობდა.

30. ის დრო იყო, როცა დღისით ჯოგები საძოვრად მეორედ მიუდით ხოლმე. დაფნისმა მაღალი კლდიდან თვალი მოჰკრა თხა-ცხვარსა და ქლოას და ხმამაღლა შესძახა: „ოი, ნიმფებო, პანო!" ვაჟკაცი ჩაირბინა, ქლოა მკერდში ჩაიკრა და გული წაუვიდა. ქლოამ ძლივსძლივობით შეძლო მისი მოსულიერება, კიდეც კოცნიდა, ხვევნა-ალერსით კიდეც ათრობდა. მერე დაფნისმა ნაცნობ წიფელს მიაშურა, ხის ძირში დაჯდა და ქლოას ჰკითხა, ამდენ მტერს თავი როგორ დააღწიეო. ქლოამ უამბო ყველაფერი: თხების რქებს სურო როგორ ეპყრობოდა,

ცხვრები შეელებივით როგორ ღმუოდნენ, თვითონ მას როგორ დაედგა თავზე ფიჭვის ტოტების გვირგვინი, როგორ მოედო მიწას ცეცხლი, ზღვას კი ხმაური, როგორ უკრავდა სალამურო ორგვარ სიმღერას — ხან საომარს, ხან სამშვიდობოს. ყველაფერი უამბო იმ საშინელ ღამეზე, გზააბნეული რომ მოჰყვებოდა თავისი მეგზურის სალამურის ჰანგს, მაშინ დაფნისისათვის გასაგები გახდა ნიმფების სიზმარში გამოცხადება და პანის ნამოქმედარი. ეყოფა თვითონაც უამბო, რაც ხახა და გაიგონა: თავის მოკვლა რომ სურდა და ნიმფებმა რომ სიცოცხლე დაუბრუნეს. მერე ქლოა გაგზავნა, დრიადი და ლამონი წალაბობით მოეყვანა, თან მოეტანა ყველაფერი, რაც საჭირო იქნებოდა მსხვერპლის შესაწირავად. თვითონ საკუთარს წალი შეარჩია, სუროს გვირგვინით შეამკო — მტრებმა ხომ მთელი არვე ასეთი მორთულობით გააოცხადა, რქებს შორის რძე მოაპკურა და ნიმფებს მსხვერპლად შესწირა; ჩამოჰკიდა, გაატყავა და ეს ძღვენი ქალღმერთებს მიართვა.

31. როცა ქლოა თავისი თანამგზავრებით მოვიდა, დაფნისმა ცეცხლი გააჩაღა, ხორცი ზოგი შოხარშა, ზოგი შეწვა, პირველი მოსავალი მსხვერპლად შესწირა, საკმე თასით მაჭარი მოაპკურა. მერე, მზართველზე რომ წამოწოლილიყვნენ, მიწაზე ფოთლები დაიფინა, გაჩაღდა ლხინი, სმა და მხიარულება. მაგრამ ამავე დროს დაფნისი თხა-ცხვარის თვალს არ აშორებდა: მგელი არ მიეპაროს და ის ვნება არ მიაყენოს, რაც მტერს სურდათ. ბევრი იმღერეს ნიმფების პატივსაცემად ძველი მწყემსური სიმღერები.

როცა დალამდა, ყველა აჭვა, მინდორზე მიწვა დასაძინებლად. გათენებისთანავე პანის პატივისცემა არ დაივიწყეს. მთელი არვეს ყოჩი ფიჩვის ტოტების გვირგვინით შეამკეს, ღვერთი ადიდეს, ვაცა მსხვერპლად შესწირეს, ჩამოჰკიდეს და გაატყავეს, ხორცი მოხარშეს და შეწვეს, იქვე პატარა მდელოზე დააწყვეს ფოთლებზე, ტყავი კი რჭეებიანად ფიჩვზე მიაჭედეს პანის ქანდაკებასთან — მწყემსთა ძღვენი მწყემსების ღმერთს მიართვეს, ხორცის პირველი ნაჭერი მისთვის გადალეს და თანით ღვინო შესწირეს მსხვერპლად. ქლოამ იმღერა, დაფნისმა სალამური დაუკრა.

32. შერე კი მხართეძოზე წამოწვნენ და ლხინი გააჩაღეს. შემთხვევით მათთან ფილეტასი მივიდა: პანს მიართვა პატარა გვირგვინები და ყურძნის აკიდო ფოთლებითა და ნორჩი ყლორტებით. თან ახლდა უმცროსი შვილი ტიტირე, ოქროსკულულებიანი, ცისფერთვალება, ცელქი თეთრი ბიჭი; სიარულის დროს მსუბუქად ხტოდა, თითქოს ფრთიანიაო. ყველა ერთბაშად წამოდგა და პანი გვირგვინებით შეამკო, ყურძნის მტევნები ხუჭუჭ ფიჩვზე მიამაგრეს. შემოსწრებულნი საერთო ლხინში მონაწილეობის მისაღებად მიიპატიჟეს და გვერდით დაისვეს.

მოხუცები დათვრნენ და, როგორც ხდება ხოლმე, მოჰყვნენ ლაპარაკს, როგორ მწყემსავდნენ თავიანთ ახალგაზრდობაში და ყაჩაღთა რამდენ თავდასხმას გადარჩენილან. ერთი იკვეხნიდა, მგლები მოვკალიო, მეორე — სალამურის დაკვრაში მხოლოდ პანს თუ ჩამოვუვარდებოდიო. ამას განსაკუთრებით ფილეტასი იკვეხნიდა.

33. და აი, დაფნისი და ქლოა შეეხვეწნენ. შვი საყვარელი ხელოვნება გვირვენე. ღვთის დღესასწაულზე ამღერეო სალამური. ფილეტასი დაეთანხმა, თუმცა სიბერეს უჭირდა, სუნთქვა მიუჭირსო, დაფნისის სალამური მაინც აიღო; მაგრამ მისი დიდი ხელოვნებისათვის იგი მატარა აღმოჩნდა. ეს სალამური მხოლოდ ბიჭის ტუჩებისთვის თუ გამოდგებოდა. მაშინ ფილეტასმა თავისი სალამურის მოსატანად ტიტირე გაგზავნა, მისი სახლი ათი სტადიონით იყო დაშორებული. ბიჭი ულაბადოდ, შორშველი მიწყდა ადგილს. ამასობაში კი ლამონი მათ შეპირდა. სირინქსზე თქმულებას მოგიყვებით, თდესღაც ერთმა სიცელეელმა მწყემსმა რომ მიამბო და ამისთვის სალამური და ქაცი გამომართვაო.

34. „თდესღაც ეს ჩვენი სალამური სალამური კი არ ყოფილა, იალაღი სიმღერისა, არამედ ნაზზმიანი, მშვენიერი ასული. იგი თხებს მწყემსავდა, ნიქფებთან ერთად უკრავდა და მღეროდა, როგორც ახლა მღერის. ერთხელ არვეს მწყემსავდა, თან უკრავდა და მღეროდა, პანი გამოეცხადა, ცდილობდა შეეცდინა, თავისი საწადელი შეესრულებინა და ამისთვის შეპირდა, ყველა შენი წყალი ერთდროულად ტყუპ თიკანს მოგებსო. ასული კი მის ვნებიანობას დასცინოდა, ეუბნებოდა: არ ჰხდა სატრფოდ ისეთი ვინმე ვიყოლიო, რომელიც არც ვაცა, არც ნამდვილი ადამიანიო. პანი ასულს დასაშვერად გამოეკიდა, რათა ძალით დაემორჩილებინა. სირინქსი კი გრძნობდა, რომ პანისა და მისი ძალმომრეობისაგან თავი დაეღწია. მაგრამ სირბილით დაიღალა, ლერწმებში დაიმალა და ჭაობში შთაინთქა. განრისხებულმა პანმა ლერ-

წმები აკიდა, მაგრამ ასული მაინც ვერ იპოვა. მიხვდა, ასულს რა უბედურებაც ეწია, და ეს სალამური გამოიგონა, თაფლის სახით ერთმანეთის მიატანა უთანასწორო ლერწმები, მსგავსად იმისა, რა უთანასწოროც იყო მათი სიყვარული და ის, ვინც წინათ მშვენიერი ასული იყო, ახლა მომღერალ სალამურად გადაიქცა".

35. ლამონჭა აბბაეი დაამთავრა და ფილეტასმა შეაქო: შენი ნაამბობი ზღაპარი სიმღერაზე უტკბესიაო. ამ დროს ტიტირემაც მოიღრიბინა და მამას მოუტაცა დიდი, სპილენძით გაწყობილი, გრძელი ლერწმებისაგან გაკეთებული, საბაგრებზე ცვილწასმული სალამური. კაცი იფიქრებდა, ეს სწორედ ის სალამურია, პანმა პირველად რომ შექმნაო. ფილეტასი საწოლიდან წამოდგა, დაჯდა, ჯერ ყველა ლერწამი გასინჯა, მაერი შიგ კარგად გადის თუ არაო. მერე კი, როცა დარწმუნდა, სუნთქვას არ შემიშლისო, ჯაბუკივით მთელი მკერდით ჩაჰბერა სალამურს. ისე ძლიერად აჟიღერა, გეგონებოდათ, რამდენიმე ფლეიტას ერთად უკრავსო. მერე ხელ-ნელა ცეკრო ნაზ ჰანგებზე გადავიდა. დიდი ხელოვნებით გამოხატა, როგორ უნდა მწუხარე ჯოკი სხვადასხვა კილოზე დაჯერით, როგორ უნდა დაუკრა ძროხების ნახირისთვის, რა ჰანგი შეეფერება თხებს, ნერბები რომელ ჰანგზე ძოვენ ხალისიანად. უკრაულდა ნაზად ცხვრებისათვის, ხმამაღლა — ძროხებისათვის, მშვიდად — თხებისათვის. ერთი სალამური ასე ბაძავდა სხვადასხვანაირ სალამურს.

36. მოხიბლული მსმენელები დუმდნენ. მაშინ წამოდგა დრიადი, დიონისეს ჰანგის დაკვრა სთხოვა და მათ წი-

ნაშე მეეხახეთა ცეკვა დაიწყო. უცვენა, როგორ ჭრიან ყურძნის მტევნებს, როგორ მიაქვთ კალათები, მტევნებიდან ტკბილს როგორ წურავენ, კასრებში როგორ ასხამენ და ბოლოს, როგორ სვამენ მაჭარს. და ყველაფერი ეს დრიადმა ცეკვით ისე ლამაზად და მკაფიოდ გამოხატა, თითქოს მონათხრობი მათ თვალწინ მოხდაო: ვაზი, საწნახელი, კასრები, და თვითონ ღრიანცელი მაჭარს მართლაც სვამსო.

37. მოხუცმა ცეკვისათვის ქება დაიმსახურა. ცეკვის შერე დაფნისი და ქლოა გადაკოცნა. ახალგაზრდები წამოხტნენ და ლამონის მთელი ზღაპარი ცეკვით გამოხატეს. დაფნისმა პანის როლი ითამაშა, ქლოამ — სირინქსისა. ვაჟი ასულს ეშუღარება, მის შეცდენას ლამობს, ქლოა კი იკინის, ეხლოს არ იკარებს. ვაჟი უკან დახდევს, თითის წვერებზე დარბის, — სწორედ ისე, როგორც პანი ჩლიქებზე. ქლოა კი თითქოს სირბილში დაღალაო, ტყეში იმალება. დაფნისი ფილეტასს დიდ სალამურს გამოართმევს, ჯერ შეყვარებულის სევდიან სიმღერას უკრავს, შემდეგ კი — ვნებიანს, თითქოს სურს სირინქსი დაიყოლიოსო. ბოლოს სიმღერით უბრძანებს, თითქოს დაეძებსო. აღტაცებული ფილეტასი ფეხზე წამოიჭრება, დაფნისს აკოცებს და ამ სალამურს აჩუქებს. თან ფსურვებს, შენც დიონეული მემკვიდრისთვის გადაგეცეს ეს ჩემი ნაჩუქარიო.

38. მაშინ დაფნისმა თავისი პატარა სალამური პანს შესწირა და ქლოას აკოცა — ვითომ შეობაში დამალული ქალიშვილი თითქოს კვლავ ნამდვილად იპოვაო; ახალი სალამური დაუკრა და არვე გარეკა — უკვე ჩამ-

დებოდა. ქლოამაც სალამური დაუკრა, თავისი ცხვრები შემოიკრიბა და წინ გაირეკა. თხები ცხვრების გვერდით **შირბოდნენ, დაფნისიც ქლოას მაბლობლად მიდიოდა და** სანამ სული არ დალამდა, ერთად ყოფნით ტკბებოდნენ. გადაწყვიტეს, თხა-ცხვარი ალიონზე უფრო ადრე გამოერეკათ, როგორც თქვეს, ისეც მოიქცნენ. ირიტრაჟი თუ **არა, სიძოვრებზე** მივიდნენ და მაშინვე მიესალმნენ ჯერ ნიმფებს, შერე პანს, შემდეგ კი ბუხის ბირში დასხდნენ, სალამური დაუკრეს, შერე ერთიმეორეს კოცნიდნენ, ეხვეოდნენ... მოშივდათ და რძევარეული ღვინო დალიეს.

39. ყოველივე ამით აღგზნებულებმა და უფრო გათამამებულებმა ატეხეს დავა, სასიყვარულო კონკლაობა, რაც მალე ერთგულების ფიცით დაამთავრეს. დაფნისი მივიდა პანის ფიქვთან და დაიფიცა: არც ერთ დღეს არ ეცოცხლება, თუ ქლოა არ მეყოლებაო. ქლოაც ნიმფების გამოქვაბულში შევიდა და დაფნისს შეჰფიცა: შენი სიყვარულით ვიცოცხლებ და მოგკვდებით. ქლოა, ჯერ კიდევ გოგონა, ისე აღალმართიალა იყო, რომ გამოქვაბულიდან გამოსვლისთანავე გადაწყვიტა, დაფნისს ერთს ფიცს კიდევ ჩამოვაბრმევო. „დაფნის! — უთხრა, — შენი პანი ქალების მოყვარული ღმერთია და მოდალატე: **უყვარდა პითია, უყვარდა სირინქსი.** ტყის დრიადებს უდამ მოსვენებას არ აძლევს, ჯოგების მფარველ ნიმფებს ღებს არ აღგმეინებს, ფიცს თვითონ არ იცავს მტკიცედ და არც შენ დაგჯერს, თუ ბევრი ქალი შეიყვარე. შენი სალამურის ლერწმებზე უფრო მეტი. უმჯობესია დამიფიცო ეს არეკ და ის წყალი, რომელმაც ძუძუ გაწოვა, რომ ქლოას არ მიატოვებ, სანამ შენი ერთგული იქნებაო.

თუ შენს მამაო, ან ნიმფების მიშვართ ცოდვას ჩაიდენს, — გაეპეცა, შეიძულე ან მგელივით მოკალ!"

დაფნისი ქალიშვილის უნდობლობით კმაყოფილი იყო და თხების არეში ჩადგა, ერთი ხელი წელს მოჰკიდა, მეორე — ვაცს და დაიფიცა: ქლოა მეყვარება, სანამ მას ვეყვარებიო; თუ ჩემზე უფრო სხვა მოეწონება, მას კი არ მოვკლავ, თავს მოვიკლავო.

ქლოას გაეხარდა და დაუჯერა — მწყემსი ქალი იყო და ფიქრობდა: თხები და ცხვრები ჩვენთვის, მწყემსებისთვის, ნამდვილი ღმერთებიაო.

ᲬᲘᲒᲜᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

1. როცა მიტილენელებმა ათი გემის თავდასხმის ამბავი გაიგეს და ჩამოსულმა გლეხებმაც უამბეს, სოფელი როგორ დაარბიეს, თქვეს, მეთიმნელთა ასეთი თავხედობის მოთმენა შეუძლებელიაო, და გადაწყვიტეს, თვითონაც, რაც შეიძლება მალე, იარაღი აესხათ: შეარჩიეს სამი ათასი ჰოპლიტი და ხუთასი ცხენოსანი. გარე, ჰიპიასის მეთაურობით, ხმელეთით გაგზავნეს, ზამთარში ზღვით საშიშ მგზავრობას მოერიდნენ.

2. ჰიპიასი სალაშქროდ დაიბარა, მაგრამ მას მეთიმნელთა არც მინდვრები გაუძარცვავს, არც ჯოგები გაუტაცია, არც მიწისძვრებისა და მწყემსების ქონება დაეტაცნია; ივი ფიქრობდა, უველაფერი ეს უფრო ადრე შეჰფერის, ვიდრე მხედართმთავარსო. თავისი ჯარი სწრაფად წაიყვანა ლეტრის ქალაქის წინააღმდეგ, რომელიც დუნეულ ბუნაგში შეეკრა მოესწრო და მოულოდნელად თავს დასხმოდა. როცა ქალაქამდე ასი სტადიონი დარჩა,

ჯარს მოეგება მაცნე, რომელმაც ზავი შესთავაზა. მეთიმწელებს ტყვეებისაგან გაუგიათ, რომ პომპდარ ამბავში მიტილენელებს ბრალი არ უდევთ, გლეხებსა და მწყემსებს მხოლოდ თივგასული ჭაბუკები დაუსჯიათო. მაშინ პეთიმჩაში გორს მოსულან და მიმხვდარან, რომ მეზობელ ქალაქზე თავდასხმა დიდი თავხედობა და უგუნურება იყო. ის, რატომ ჩქარობდნენ დატაცებული დებრუნებისათ და კავშირი შეეკრათ, რათა ზღვა-ხმელეთზე ერთიანების უშიშრად შებედროდნენ. ჰიპიასი უფლებამოსილი მეთაური იყო, მიტილენს მაინც გაგზავნა მაცნე, თუთონ კი ბანაკი დასცა მეთიმნის მახლობლად, ათი სტადიონის დაშორებით, და თავისიანთა მოთითებას ელოდა. ორი დღე გავიდა და მაცნემ ბრძანება მოიტანა: რაც დატაცეს, ჩამოართვით და ყოველგვარი ზიანის მიუყენებლად შინ დაბრუნდითო, რადგანაც მიტილენელებს შესთავაზეს, რას აირჩევთ, ომსა თუ ზავსაო, მათ თქვეს, ზავი ჩვენთვის უფრო ხელსაყრელიაო.

3. მიტილენისა და მეთიმნას ომი, რომელიც მოულოდნელად დაიწყო, ასე უეცრად დამთავრდა.

დადგა ზამთარი. რაც დაფნისისა და ქლოასთვის ომზე უმწარესი იყო. ერთბაშად დიდი თოვლი დადო, გზები შეიკრა, ყოველი ვლები სახლში ჩაიკეტა. წყალი ყინულით დაიფარა, გაყინა; ღობესმიხდილ ხეები ტოტებდახრილი იდგნენ. მიწა თოვლით დაიფარა, მხოლოდ წყაროებთან და ნაკადულებთან მოჩანდა შავად. საძოვრებზე ჯოგებს უკვე ვეღარავინ მიერეკებდა, ცხვრის გარეთ ვერავინ ყოფდა, მაგრამ როგორც კი მამლები იყიგლებდნენ, ცეცხლს გაიჩაღებდნენ, ზოგი სელის რთვას დაი-

წყებდა, ზოგი თხის ბატკნის ძახვედა, ზოგი ჩიტის ჭკვიანის აკეთებდა. ამ დროს მხოლოდ ერთი რამ ჰქონდათ საზრუნავი: ბაგეებში ბარებს საკვებად მზე არ გამოლეოდათ, ახორში თხა-ცხვარს — ყვერი; საღორეში ღორებს — სხვადასხვა ჭიშის რკო.

4. თავისდა უნებურად ყველა შინ იჯდა. მიწისმხვნელები და მწყემსები მოხარული იყვნენ, რომ ცოტა ხნით შრომას თავს დააღწიეს: დილაობით კარგად ჭამდნენ, დილხანს და მაგრად ეძინათ, ასე რომ, ზამთარი, მათი აზრით, ზაფხულზე, შემოდგომაზეც და თვით გაზაფხულზეც ტკბილი იყო. დაფნისი და ქლოა კი ივონებდნენ წარსულ სიამოვნებას — როგორ ყოცნიდნენ, ეხვეოდნენ ერთმანეთს, როგორ სუამდნენ და ჭამდნენ ერთად, — ახლა კი უძილო ღამეებს მოწყენილად ატარებდნენ და გაზაფხულის მოლოდინში იყვნენ, მკვდრეთით აღდგომასავით ელოდებოდნენ. მოიწყენდნენ, ჩანთას ხომ თვალს მოჰკრავდნენ. ჩანთიდან ხომ ერთად ილებდნენ საჭმელს, ან საწვეელს — იმით ხომ ერთად სვამდნენ — ან უყურადღებოდ შიგდებულ სალამურს. სიყვარულს საჩუქარს. ნიმფებსა და პანს ევედრებოდნენ, ამ ტანჯვისაგან გვიხსნათო, ემუდარებოდნენ, ჩვენ და ჩვენს თხა-ცხვარს კვლავ დაგვანახვეო მცხუნვარე მზე. მაგრამ ევედრებასთან ერთად ახალგაზრდები ცდილობდნენ ერთმანეთან შესახვედრად რაიმე გზა გამოენახათ. მაგრამ ქლოამ ვერაფერი მოიფიქრა: იგი, ვისაც დედად თვლიდა, განუყრელად მასთან იყო, ასწავლიდა მატყლის ჩვრას, თითისტარის ტრიალს და ნიადაგ ქორწინებას ახსენებდა. დაფნისი კი უსაქმოდ იყო და ჭალიშვილზე უფრო მოსაზ-

რებულიც. ამიტომ ქლოა რომ ენახა, ასეთ ეშმაკობას მიმართა.

5. დრიასის ეზოს წინ, ზედ ღობესთან, უკვე დიდი ბანია იზრდებოდა ორი დიდი მურტი და სურო. მურტები ერთიმეორესთან ახლოს იდგა, სურო კი ამ ხეებს შორის იყო და მათ ეხვეოდა; თავისი ყლორტები ვაზივით გაეშალა, მჭიდროდ გადახლართული ფოთლებით გამოქსაბულის მსგავსი რამ შეექმნა. სუროზე მსხვილი კენკრები ეკიდა, ითქოს ყურძნის მტევნებიაო. ამიტომაც აქ თავს იყრიდა ბევრი მოზამთრე ფრინველი, — ზამთარში ხომ მათ საკვები აკლდათ. ბევრი იყო აქ შაშვი და ჩხართი, გარეული მტრედი, წოწოია და ნაირ-ნაირი სხვა ფრინველი, სურის კენკა რომ უყვართ. დაფნისმა ჩანთაში ჩაილაგა თიფლიანი კვერები, თან საჩიტე წვრთა და კაკანათები წაიღო, რათა ამით ყველა დაერწმუნებინა, აქ ფრინველებზე სანადიროდ ვარ მოსულიო. მანძილი დრიასის სახლიდან ათი სტადიონი თუ იქნებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ გაუცხობელმა თოვლმა დიდი დაბრკოლება — საშიშროში გაუჩინა. მაგრამ სიყვარულისთვის გაუვალი გზა არ არსებობს — თუგინდ გზა წყალსა ან ცეცხლზე, ან სკვითების თოვლზე გადიოდეს.

6. დრიასის ეზოდან სიჩქარით მივიდა. ფეხებიდან თოვლი სულ დაიბერტყა, მახვილი დაიგო და გრძელ ტოტებს წვრთა ნაესვა. აქ დაჯდა, აღელვებული ელოდა ფრინველებსაც და ქლოასაც. ეამრავზე უამრავი ფრინველი მოფრიალდა. მათი დაჭერა ადვილი იყო, ასე რომ, ცოტა შრომა კი არ დასჭირდა მათ ასაკრეფად, დასაწყობად და გასაუჯებად. ეზოდან კი არავინ გამოსულა, არც

ქალი, არც ქალი, არც შინაური ფრინველი. ცეცხლს არავინ შორდებოდა. დაფნისი გასაჭირში ჩავარდა, არ იცოდა, რა ექნა, — აქ თითქოს ავისმომასწავებელ ფრინველებს მოეყვანიაო. გადაწყვიტა რაიმე საბაბით ბინაში შესულიყო. ფიქრობდა, ისეთი რამ ეთქვა, იდეალი დასჯერებელი ყოფილიყო. „მოზვედი ნაკვერცხლისათვის". განა სხვა მეზობლები არ გყავდა, შენგან სულ ერთი სტადიონით რომ არიან დაშორებული? „მოვედი პურის სასესხებლად". კი მაგრამ, ჩანთა რომ საჭმელით გაქვს სავსე? „ღვინო არა მაქვს". კი მაგრამ, ეს-ეს არის რთველი დამთავრდა. „მკელი ამვდევნა". აბა, სად არის მგლის კვალი? „მოვედი ფრინველებზე სანადიროდ". კი მაგრამ, ნადირობის შემდეგ რატომ შინ არ ბრუნდები? „ქლოას სანახავად მოვედი". აჰ, ამის თქმა კარგ გაუბედავს ქალაწყალის დედა-შამას. საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცი. ჯობს ენა ჩავიგდო. ქლოას გაზაფხულზე ვნახავ, თუ მისი ნახვა, როგორც ჩანს, ზამთარში არ მიწერია.

ასე გაიფიქრა, წყნარად აკრიფა ნანადირევი და წასვლა დააპირა. მაგრამ, ეტყობა, ეროტს შეეცოდა, და აი, რა მოხდა.

7. დრიასი და მისი ჭალაბობა სუფრას მოსხდომოდნენ. ხორცი უკვე დაისაწილეს, სუფრაზე ბერი დაელაგეს, წყალწაღებული ღვინით თასი აეყსეს, და აი, ერთმა ეზოს ძაღლმა ღრო იხილთა, ხორცის ნაჭერი მოიტაცა და გარისკენ გაიქცა. დრიასი გაგულისდა (ეს სწორედ მისი კერძი იყო). ჯოხს ხელი დასტაცა და ძაღლს დაედევნა, სუროს ჩაუარბინა და ხედაყსი დაფხისს ნანადირევი მხარზე ჰკიდია და ჩქარობს აქაურობას გაეცალოს. დრიასს

მაშინვე დაავიწყდა ბორკილიც, ძაღლიც და ხმამაღლა დაიძახა: „გამარჯობა, შვილო!“ გადაეხვია, გადაკოცნა, ხელი ჩაჰკიდა და შინ შეიყვანა. დაფნისმა და ქლოამ ერთმანეთი რომ დაინახეს, კინაღამ გონება წაერთვათ. თავი ძლივს შეიმაგრეს. ერთმანეთს მიესალმნენ, აკოცეს და თავის შესამაგრებლად დასაყრდენი თითქოს ამბავი იპოვეს.

8. დაფნისმა მოულოდნელად ქლოაც ნახა და მისი კოცნაც იგემა. იგი ცეცხლის პირას დაჯდა, მტრედები და შაშვები მხრიდან ჩამოიღო, სუფრაზე დააწყო და მოჰყვა: შინ ჭლომა მომწყინდა და სანადიროდ გამოვედი, ფრინველები ზოგი კაკანათით, ზოგი წებოთი დავიჭირე; პერტებისა და სუროს კენკრებს ხარბად კენკავდნენო. შინ რომ გულხელდაკრეფილი არ იჯდა, ყველამ შეჭამა და ის კერძი გაუნაწილეს, რის გატაცებაც ძაღლმა ვერ მოასწრო. ქლოას კი უბრძანეს, სტუმარს ღვინო დაუსხით. ქლოამაც ყველას სიხარულით დაუსხა ღვინო, ყველაზე ბოლოს კი ღვინით სავსე ფიალა დაფნისს მიართვა. ქლოას ხუმრობით თავი ისე ეჭირა, თითქოს იმის გამო აგვლესული, რომ მათ სახლთან მოხეტიალე დაფნისს ცის უნახავად უნდოდა წასვლა. მაგრამ სანამ დაფნისს ღვინის მოუტანდა, თუითოხ მოსვა და მერე მიაწოდა. ვაჟს თუმცა წყურვილი კლავდა, ღვინის წრეპეას ნელა შეუდგა. ისე დაყოვნებით რომ სვამდა, ამით თავის ნეტარებას ახანგრძლივებდა.

9. სუფრა მალე დაცარიელდა, ალარ დარჩა არც ხორცი, არც პური. მაშინ ყველამ, ვინც სუფრას უჯდა, მიირტყლა და ლამონი მოიკითხეს, როგორ ცხოვრობენო, რა

ბედნიერი ყოფილან, ბედმა სიბერეში შვილთანა მარჩენალი რომ მისცაო. დაფნისს ეს ქება ახარებდა — ამას ხომ ქლოაც უსმენდა. როცა შინ არ გაუშვეს — ხვალ დილით ისევ მსხვერპლი უნდა შეეწირათო — გახარებულმა დაფნისმა დილისის კი არა, კინაღამ მათ სული თიყვანი. მაშინვე ამოიღო ჩანთიდან ფალესტრაკები, ნანადირევი ფრინველები და დიდებული ვახშამი მოამზადეს. ღვინიანი კრატერი ისევ ჩამოდგეს და ცეკვა-ლხინი გაიჩალეს. მალე დალამდა და მოლხენა გაგრძელდა. შერე კი სხვადასხვა ამბებს ეკითხებოდნენ ერთმანეთს, სიმღერაც წამოიწყეს და ბოლოს მოსასვენებლად წავიდნენ — ქლოა დედასთან ერთად, დრიასი კი დაფნისთან ერთად. ქლოა მთლად სიხარულს შეეპყრო, რომ ხვალ დილას ისევ დაფნისს ნახავდა.

10. გათენდა. გარეთ საშინლად ცივოდა, ჩრდილოეთის ქარი ყველაფერს ყინავდა. ადგნენ, დილისეს მსგავსად შაშვები შესწირეს, დიდი ცეცხლი გააჩაღეს და სადილის სამზადისს შეუდგნენ, სანამ ნაპა პურებს აცხობდა, დრიასი კი ერკვეშალს წაეყვა, დაფნისმა და ქლოამ დრო იხელთეს და იქით გაიქცნენ, სადაც სუროს ბუჩქი ბოდა. ისევ დააგეს მახეები. ტოტებს წებო წაესვეს და ფრინველი კვლავ ბლომად დაიჭირეს. განეწყვეტელი კოცნით ნეტარებდნენ და ერთმანეთთან საუბრით ტკბებოდნენ. „აჭ ხომ შენს სანახავად მოვედი, ქლოა“. „ვიცი, დაფნის“. „მე ხომ შენი გულისთვის ვხოცავ ამ საცოდავ შაშვებს“. „შენთვის მე რაღა უნდა გავაკეთო?“ „მუდამ გახსოვდე“. „მახსოვხარ, ნიშნებს გეუბნები, როშლებიც ჩვენს გამოქვაბულში დაეხეტება. როგორც კი თოვ-

ლი დაღნება, მაშინვე იქ დავბრუნდებით". „თოვლი ისე ბევრია, ქლოა! შეშინია, თოვლზე უფრო ადრე მე თვითონ არ დავდნე". „გამხნევდი, დაფნის, მზე უკვე ძლიერ აცხუნებს". „ოჰ, ნეტავ იმ ცეცხლივით მხურვალე იყოს, ჩემს გულს რომ წვავს". „შენ სულ ასე ხუმრობ და გინდა მომატყუო". „არა, არასოდეს. იმ თხებს გეფიცები, შენ თვითონ რომ დაიფიცე".

11. ქლოა ღაფნისის სიტყვებს ისე ეხმიანებოდა, თითქოს ექოათ. ამ დროს ნაპერ ახალგაზრდებს დაუძახა, მირბინეს და ნანადირევი ვეშინდელზე უფრო უხვად მიიტანეს. დიონისეს თმაზე ღვინო შესწირეს მსხვერპლად, თავი სუროთი შეიმკეს და სუფრას მიუსხდნენ; როცა დადგა ჟამი, დიონისეს ხოტბა შეასხეს, წამოიძახეს: „ევოე!" და დაფნისი შინ გაუშვეს. ჩანთა სორცითა და პურით გაუვსეს, ლამონთან და მირტალთან ბტრედებიცა და შაწვებიც გაატანეს. უთხრეს, ჩვენ თვითონ დავიჭერთ, გზაფხულამდე ჯერ კიდევ დიდი დროა და კენკრებიც სუროზე უხვადაო. დაფნისმა ყველა გადაკოცნა, ქლოა კი სულ ბოლოს შეშოტრა, რათა ტუჩებზე მისი უმანკო კოცნა შერჩენოდა.

დაფნისი კიდევ არაერთხელ მივიდა მათთან, სხვადასხვა ხაბაებს მოიძიებდა ხოლმე. ასე რომ, მათ ეზოს არც ზამთარი ყოფილა სიყვარულს მოკლებული.

12. გაზაფხული დგებოდა და თოვლი დნებოდა. მიწა ადრე-იქ გამოჩნდა, ბალახმა თავი ამოჰყო და მწყემსებმაც პირუტყვი გარეკეს საძოვრებზე. ყველაზე უმალ კი დაფნისმა და ქლოამ გარეკეს — ისინი ხომ უებრო ძლიერების მწყემსს ენსახურებოდნენ. მაშინვე სირბილით მიიმუ-

რეს ნიშიებს გამოქვაბულში, მერე ჰანს, ფიჭვებს, ბოლოს კი მუხას. ისინი მუხის ძირში ისხდნენ, თხა-ცხვარს მწყემსავდნენ და ერთმანეთს კოცნიდნენ. ყვავილების ძებნას შეუდგნენ, ღმერთთა ქანდაკებები რომ გვირგვინებით შეემკოთ. ყვავილები ის იყო იიურჩქნებოდა, ნარი მათ ლალაობდა, მზე კი ათბობდა. შიინც იპოვეს იებიც, ნარგიზებიც, ბალებიც, და ყველაფერი, რასაც ადრეულ გაზაფხულზე ბუნება გვაძლევს. ქლოამ და დაფნისმა ღმერთების ქანდაკებანი გვირგვინებით შეამკეს, თხისა და ცხვრის ახალშობილი რძე მსხვერპლად შესწირეს და სალამურების დაკვრა განაახლეს, თითქოს ბულბულებს ეჯიბრებიანო. დაბურული ტყიდან ბულბულებიც გამოეხმაურნენ. რაღა ახალგაზრდებმა უკეთესად აწყვეს სიმღერა იტისზე, თითქოს ხანგრძლივი დუმილის შემდეგ თავიანთი წინანდელი სიმღერა გაეხსენებო.

13. ცხვრის ფარა ბუთოდა, ბატკნები ჭლოდნენ, ნერბებს ჭიქინჭველა უძერებოდნენ და წოვდნენ. ტარიგებს ყოჩები დასდევდნენ. ზერგზე ახტებოდნენ. ყოველი ყოჩი ერთ ნერბს არჩევდა. კაცებიც წალებს დასდევდნენ, ენებით შესაყრობილნი ეძგერებოდნენ, ირეოდნენ წალებისათვის. ყოველ ვაცს თავისი წალი ჰყავდა და მას იცავდა...

14. აი, ვაჟი ქლოას შეეხვეწა, გულისწადილი ამისრულეო. უფრო დიდხანს ეწყინა ერთად, ვიდრე წინათ ამას ნებას მაძლევდიო. „ფილეტასის რჩევა-დარიგება ხომ შეკასრულეო: მხოლოდ ესღა დაგვრჩა, — ეუბნებოდა ვაჟი. — ერთიდერთი, რაც ჩვენს სიყვარულს დააშვიდებს, ალბათ, ეს არის".

15. მის მუზობლად ცხოვრობდა მემამულე, სახელად ქრომიო, უცვე ხანში შესული კაცი. თავისთვის ქალაქიდან დიაცი მოიყვანა, აბალგაზრდა, ჭან-ღონით სავსე, გლეხის ქალებზე უფრო კოპწია. მას ლიკაინიონს ეძახდნენ. იგი ხედავდა, დილით დაფნისი თხებს როგორ მიერეკებოდა, საღამოს კი საძოვრებიდან შინ ბრუნდებოდა. ქალი ახალთა სურვილით, ჭაბუკი თავის საყვარლად გაეხადა და სარეკრებით შეიცდინა. და აი, ერთხელ მართოკას დაუდარაჯდა, ანუჭა სალამური, გოლეული და ირმის ტყავის ჩანთაც. ცალრქა პირდაპირ თქმა ვერ გაუბედა, შეაქობდა, იცოდა, ჭაბუკს ქლოა უყვარდა. ხშირად ხედავდა, ახალგაზრდები როგორ ხალისიანად ხვდებოდნენ, უღიმოდნენ ერთმანეთს. ერთხელ, დილაადრიან, თვალის ასახუჭად ქმარს უთხრა, მოსალოგინებელ მეზობელთან მიეტიეროო. ახალგაზრდებს შეუმჩნეველად კვალდაკვალ გაჰყვა და ელრან ტყეში დაიმალა. ყველაფერი გაიგონა, რასაც ლაპარაკობდნენ, ყველაფერი დაინახა, რასაც აკეთებდნენ. შეუნიშნავი არც დაფნისის ცრემლები დარჩენია. ეს უბედურება შეცოდა და გადაწყვიტა, ხელსაყრელი შემთხვევა მომეცა, ერთბაშად ორ საქმეს გავკეთებ — მათ წვალებისგან ვიხსნი და ჩემ ქინსაც მოვაკლავო, და ასეთ ხრიკს მიმართა:

16. მეორე ღღეს, თითქოს იმავე მოსალოგინებელ ქალთან მიეშურებაო, ლიკაინიონი პირდაპირ მუზასთან მიდის, სადაც დაფნისი და ქლოა სხედან. მათთან თავს ისე მოხერხებულად დაიჭერს, თითქოს დაღონებულიაო. ამბობს: „მიშველე, დაფნის, მე ბედკრულს, ჩემი ოცი ბატიდან არწივმა ყველაზე უკეთესი მომტაცა. მაგრამ რომ

ადრინდა, ტეიროთი შეტად ეშძიმა, იმ მაღალ კლდემდე ვერ მიაღწია და აი, აქ, ბუჩქ-ჯოგნარში დაეშვა. პანსა და ნიმფებს ვაფიცებ, წამომყევი, მარტო წასვლა მეშინია. ჩემი ბატი გადამირჩინე. იქნებ არწივიც მოჰკლა. მაშინ იგი ვერც თქვენ მოგტაცებთ ბატკნებსა და თიკნებს. შენს არვეს ქლოა მიხედაუს. შენი თხები მას კარგად აცნობენ. თქვენ ხომ ყოველთვის ერთად ძოვებით".

17. დაფნისს ეშვიც არ შეპარვია, მერე რა მოხდებოდა; მაშინვე წამოდგა, კომბალი აიღო და ლიკაინიონს თან გაჰყვა. ქალი დაფნისს გაუძღვა, ქლოას დიდი მანძილით დააშორა. როცა დაბურულ ტყეში ნაკადულის პირას მივადგნენ, ლიკაინიონმა უბრძანა, დაჯექიო, და უთხრა: „დაფნის, შენ ქლოა გიყვარს. ეს ღამით ნიმფებმა გამაგებინეს. სიზმარში გამომეცხადნენ, გუშინდელ შენს ცრემლებზე შიებნეს და მიბრძანეს, უშველე, სიყვარულის საქმე აწყვალეო. თუ გინდა ის სიტყვებით გაიცადო, რასაც დაეძებ, დამნებდი. მე კი ნიმფების სამსახურად ყველაფერს გასწავლი".

18. დაფნისს, გულმართალს, სოფლელ ხასის მწყემსს, თანაც შეყვარებულსა და ჭაბუკს, ძალა ღარ ეყო თავისი აღტაცება დაეფარა. ლიკაინიონს ფიხებში ჩაუვარდა, ემუდარებოდა, რაც შეიძლება მალე მასწავლეო სიყვარულის საქმე, რომ ქლოასთან ჩემი გულის წადილი შეეისრულოო. თითქოს რაღაც ჭეშმარიტად დიდებულს, თვით ღმერთებას მიერ პოძებულს უნდა ჩასწვდესო, ვაჟი ქალს პირდებოდა მსუქან თიკანს, ნაღებიან ჭყინტ ყველს და წალსაც კი. ლიკაინიონი ასეთ მწყემსურ მოთმინებას სრულიად არ მოელოდა.

19. როცა სიყვარულის გაკვეთილი დამთავრდა, დაფნისი, როგორც ნამდვილი გულმართალი ბერძენი, ქლოასკენ გაეშურა, რომ მასთან ერთად გაეკეთებინა ის, რაც აქ ისწავლა. თითქოს შიშობდა, თუ დავაყოვნე, ყველაფერი დამავიწყდებაო. მაგრამ ლიკაინიონმა შეიჩერა და უთხრა: „დაფნის, ის კიდეც რა უნდა იცოდე. მე ქალი ვარ და ყოველივე ამით არ დავჩაგრულვარ; უკვე დიდი ხანია, ეს ყველაფერი სხვა მამაკაცმა მასწავლა, ჩილდოდ ჩემი უმანკოება მიიღო. ქლოა კი იყვირებს, იტირებს, მაგრამ ამან არ შეგაშინოს. აქ მოიკეთე. აქ ორე იყვირებს ვერავინ გაიგონებს. თუ ატირდება, ვერავინ დაინახავს. გაბსოვდეს, რომ შე, პირველმა, ქლოაზე ადრე ვაქკაცად გაქციე".

20. ისე რომ დაარიგა, ლიკაინიონი ტყის შეორე მხარეს წავიდა, თითქოს ისევ ბატებს დაეძებსო. დაფნისი ქალის ნათქვამმა ჩაიფიქრა. პირველი ღტყინება დაეცხრა, შეყოყმანდა. ვაბუკა არ უნდოდა. ქლოას ევედრა, თითქოს მტრებს ხელში ჩაეგდოთ, ან ატირებულიყო. ბოლოს დაფნისმა გადაწყვიტა, ქლოასთან წველებრივი ალერსით დამტკბარიყო და ტყეს გაეცალა. როცა იქ მივიდა, სადაც ქლოა იყო და ეებისაგან პატარა გვირგვინს წნავდა, ვაჟმა ქალს ტყეული უთხრა: არწივს კლანჭებიდან ბატი გამოვგლიჯეო, ქლოას მაგრად ჩაეკონა და ისე დაეწყო კოცნა, როგორც ლიკაინიონს კოცნიდა. ქლოამ კი ვაჟს თავისი ხელით დაწნული გვირგვინით თავი შეუმკო, თან კელკელებს უკოცნიდა, რომლებსაც იებს ამწკობინებდა. ჩანთიდან ტკბილი კვერი და რამდენიმე პატარა პური ამოიღო და მიაწოდა. ვაჟი რომ ჭამდა, ქალი

პირიდან სტაცებდა პატარა ლუკმებს და ღვინით ბარტყვით ყლაპავდა.

21. ერთმანეთს რომ საკმარისად ეამბორნენ — უფრო კოცნით ერთობოდნენ, ვიდრე ჭამდნენ — მეოვნეთა ნავი გამოჩნდა, ნაპირს მიჰყვებოდა. ქარი არ ქროდა, ზღვა არ ირხეოდა. მეთევზეები ნიჩბებს ღონივრად უსვამდნენ. ქალაქისკენ მიეჩქარებოდათ, რომ ერთი შეიდრის სუფრაზე ცოცხალი თევზები მიეტანათ. დაღლილობის დასავიწყებლად მეზღვაურები ისევე მოიქცნენ, როგორც მეზღვაურებმა იციან ხოლმე. ერთი მათგანი, უფროსი, საზღვაო სიმღერებს წამოიწყებდა, სხვები კი, ყველა ერთად, ხმაშეწყობილად ამყვებოდნენ. ახლაც, როცა გაშლილ ზღვაში მღეროდნენ, მათი ხმა უსაზღვრო სიერცეში იკარგებოდა. როცა კონცხს შემოუარეს და ნამგალა მთვარის მსგავს ღრმა ყურეში შევიდნენ, სიმღერა უფრო მკაფიოდ მოესმათ. მოძახილი ნაპირამდე გარკვევით აღწევდა. ვაკეს ღრმა ნაპრალი ეკრა და, ითქოს ფლეიტის ცარიელი მილიაო, ხმას იზიდავდა, ყველა ხმას ბაძავდა, ყველაფერს ეხმაურებოდა. ნიჩბების თქაფუნი და მეზოფეთა ლაპარაკი კარგად ისმოდა. ყველაფერი ეს სმენას ატკბობდა, მერე კი მიწაზე, სადაც შორს, გუიან ხმა მიწყდებოდა ხოლმე.

22. დაფნისისთვის ყველაფერი ეს უკვე ნაცნობი იყო და მისი ყურადღება მხოლოდ ზღვას მიეპყრო. ცქერით ტკბებოდა, გემი ფრინველზე ჩქარა მიქროდა. დაფნისი ცდილობდა ეს სიმღერები დაემახსოვრებინა, რათა მერე სალამურზე დაეკრა. ქლოამ კი მაშინ პირველად გაიგონა ის, რასაც ექმის ეძახიან ქალიშვილი სან ზღვას

გასცქეროდა, ზღვაოსნები რომ სიმღერას დაიწყებდნენ, ხან ხმელეთისკენ მიტრიალდებოდა, დაეძებდა, მოძახილს ვინ ამბობსო. როცა გემმა ჩაიარა და ნაპრალში სიჩუმე ჩამოვარდა, ქლოამ დაფნისს ჰკითხა, კონცხს გადაღმა სხვა ზღვა ხომ არაა და იქ სხვა გემი ხომ არ ცურავს, სხვა ზღვაოსნები იმავე სიმღერას ხომ არ მღეროდნენ, მერე რომ ერთბაშად დადუმდნენო? დაფნისს ნაზად ჩაეცინა, კიდევ უფრო ნაზად აკოცა ქლოას, შემდეგ იისვან დაწნული გვირგვინით შეამკო და უამბო თქმულება ეკოზე. ამისთვის ქალიშვილს ათითოდე კოცნა გამოისთხოვა.

23. „ქლოი, იფნარშიც, მუხნარშიც, ჰაობებშიც ბევრი სხვადასხვანაირი ნიმფა ცხოვრობს. ყველა მშვენიერი და ყველა მომღერალია. ერთ მათგანს ჰყავდა ქალიშვილი ეკო. ის მოკვდავი იყო, რადგან მამამისი მოკვდავი იყო. სილამაზე დედისა გამოჰყვა, ნიმფებმა აღზარდეს, მუზებმა ასწავლეს სალამურისა და ფლეიტის დაკვრა, ლირასა და კითარაზე ყველანაირი ჰანგის დამღერება. როდესაც გაიფურჩქნა, ნიმფებთან ერთად ფერხულს ცეკვავდა და მუზებთან ერთად მღეროდა. მაგრამ მამაკაცებს თავს არიდებდა — ადამიანებსაც და ღმერთებსაც. თავისი ქალწულური ცხოვრება უყვარდა. პანი გაწყრა — ეკოს სიმღერები შურდა, მისი სილამაზე კი პანასთვის მიუღწეველი იყო, — და პანმა გაგიჟება მწყემსებს, რომლებიც თხებსა და ცხვრებს მწყემსავდნენ. მათაც ძილს და როგორც ავმა ძალებმა თუ მგლებმა ქალიშვილი დაფლითეს — მისი სხეული კი ისევ მღეროდა—და მთელ დედამიწაზე მიმოფანტეს. მაგრამ მიწამ

ეკოს სიმღერები ნიმფების სასმენელად თავის წიაღში დამალა, ჰანგი შეინახა. მუზების ნებისამებრ მიწა ხმიანობს, ყველაფერს ბაძავს: ღმერთებსა და ადამიანებს, საკრავებსა და მხეცებს, — პანსაც კი, როდესაც იგი სალამურის დაკვრას დაიწყებს. ამის გამგონე პანი წამოხტება და მთებში დიდხანს დარბის, თუმცა ეკოს დაჭერის იმედი არა აქვს, მაგრამ სურს გაიგოს, მისი ფიორული მოწაფე ვინ არის".

დაფნისსა ასეთი თქმულება რომ უამბო, ქალიშვილმა ათითოდე კოცნა კი არა, უფრო მეტიც არ აკმარა: ეკოც ხომ თითქმის იმავეს იმეორებდა ქლოასთან ერთად, თითქოს იმას ადასტურებდა, დაფნისს არც ერთი სიტყვა ტყუილი არ უთქვამსო.

24. დღითი დღე მზე უფრო თბილი ხდებოდა: გაზაფხული ელეოდა, ზაფხული დგებოდა. ზაფხულში კი მათ კვლავ ახალ-ახალი სიხარული მოელოდათ. ჭაბუკი მდინარეებში ცურავდა, ქალიშვილი ყვავილებში ბანაობდა, ვაჟი სალამურს უკრავდა, ფიჭვებს სიმღერაში ეჯიბრებოდა, ქალიშვილი კი — ბულბულებს. ჭრიჭინობელას დასდევდნენ, კუტკალებს იჭერდნენ, ყვავილებს კრეფდნენ, ხეებს არხევდნენ, ხილს შეექცეოდნენ. დედიშობილა ერთად წვებოდნენ, თხის ტყავს ახურავდნენ...

25. ამ ზაფხულს ქლოას ბევრი საქმრო გამოუჩნდა. ყოველი მხრიდან აუარებელი ხალხი მოდიოდა დრიასთან თხოვნით, ქალიშვილი მოგვათხოვეო. ზოგს უკვე სარეკრებიც მოჰქონდა, ზოგი კი მდიდრულ ძღვენს პირდებოდა. ასეთი შეპირებებით დაიმედებულ ნაპას უხდოდა, ქლოა მალე გაეთხოვებინა. შეღერებული ქალიშვილის

ოჯახში გაჩერება აღარ სურდა. ყველა-აგერ (ამბობდა ნაპა) ქალიშვილი მწყემსის ღრიალს თავს წააგებს და რამდენიმე ვაშლისა და ვარდისათვის ცოლად მწყემსს წაყვებაო. ჯობს, კლოა საკუთარ სახლში გახდეს ქალბატონი, ჩვენ კი დიდ საჩუქრებს მივიღებთო, ეს ღვიძლი შვილისთვის გამოგვედგებაო — ამას წინათ ხომ მათ ბიჭი შეეძინათ. ზოგჯერ ასეთი ლაპარაკი დრიასს მომხიბლავი ეჩვენებოდა, ყოველი საქმრო პირდებოდა საჩუქარს, იმაზე უკეთესს, რასაც მწყემსის უბრალო ქალიშვილისათვის გაიმეტებდნენ, მაგრამ ხანდახან გაიფიქრებდნენ, ქალიშვილი უბრალო საქმროებს — მიწის მუშებს არ შეჰფერისო. თუ ნამდვილი მშობლები იპოვა. მაშინ მე და ჩემს ცოლს სიმდიდრით აგვეავსებსო. დრიასი პასუხს აგვიანებდა, დროს აშეანურებდა. ამასობაში ცოტა საჩუქარი კი არ მოსდეოდა. ქლოას ეს რომ ესმოდა, ძალიან დარდობდა. დაფნისს ამ ამბავს დიდხანს უმალავდა, მის წყენას ერიდებოდა. დაფნისი სულ ეკითხებოდა, ალარ ეშვებოდა, რა დაგემართაო. მაშინ ქლოა მიხვდა, ვეღა მისი დუმილი უფრო აღონებდა, ვიდრე ნამდვილი ამბის ვაცნობა. და ყველაფერი უამბო: დრიასი გადაჭრით უპირს არავის ეუბნება, მაგრამ საქმის გადაწყვეტა გადადო, როველის დამთავრებას ელოდებაო.

26. დაფნისმა ეს ამბავი რომ მოისმინა, შეწუხდა, დაჯდა და ატირდა. თქვა, მოკვდები, თუ ქლოა ჩემთან ერთად აღარ მიმწყემსაესო, მარტო მე კი არა, ცხვრებიც დაილუპებიან, ასეთი მწყემსი რომ არ ეყოლებათო. მერე გონება მოკრიბა, გამხნევდა და იმედი მიეცა, მაშის დარწმუნებას შეეძლებო, თავის თავს უჭვე სთელიდა საქმროთა რიცხვში და იმედოვნებდა, სხვებს, ყველას, აღვილად ვაჭობებო. ერთი რამ აღელვებდა: ლამონი მდიდარი არ იყო და ეს იმედს უქარწყლებდა. მაინც გადაწყვიტა, მაჭანკალი მიეგზავნა. ეს აზრი ქლოასაც მოეწონა. ლამონისთვის ამის თქმა ვერ მოახერხა. გამბედაობა მოიკრიბა და თავისი სიყვარული მირტალს გაანდო, ქორწინებაზეც ლაპარაკი ჩამოუგდო. მირტალმა ეს ამბავი ლამით ლამონს უამბო. ჭმარი ამ ამბავს ცივად შეხვდა და ცოლს ლანძღვა დაუწყო, უბრალო მწყემსების ქალიშვილი გიხდა შვილთა ცოლად ჭაბუკს, რომელიც თავისი სანათო წიშნებით ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულაო: თუ მან თავისი მშობლები იპოვა, დაფნისი ხომ ჩვენ, ვინც ვი შვილადრეთ, გაგვათავისუფლებს და მიწის უფრო დიდ ნაკვეთს მოგვცემსო. მირტალი მშობდა, დაფნისს დაქორწინების იმედი რომ გადაეწურო, თავი არ მოიკლასო და სხვა მიზეზი უთხრა: „ჩვენ ღარიბები ვართ, შვილო, გვინდა სარძლო ბზითვიანი გვყავდეს. ისინი კი მდიდრები არიან და მდიდარ სასძოებსაც დაეძებენ. დაარწმუნე ქლოა, მან კი მამა დაარწმუნოს, რომ ბევრი არ მოგვთხოვოს და ჭალი მოგვათხოვოს. ქლოას, ალბათ, უყვარხარ და, ცხადია, ურჩევნია ღარიბ ლამაზთან დაიძინოს, ვიდრე მდიდარ მაიშუნთან".

27. მირტალს იმედი სულ არ ჰქონდა, რომ დრიასს დაითანხმებდნენ, — უფრო მდიდარი სასძოები ეგულებოდა. მირტალი ფიქრობდა, ქორწინების ჩასაშლელად შესანიშნავი საბაბი გამოენახეო. დაფნისმა საწინააღმდეგო ყურადღება თქვა. როცა დაინახა, თავის წადილს რა შორი მანძილით იყო დაშორებული, ისე მოიქცა, რო-

გორც იქცევა უბედურებაში ნავარდნილი ყველა შეყვარებული ტირილი მორთო და კელავ ნიშნებს შეეედრა, დამეხმარეთო. ისინიც ამასწინანდელისა არ იყოს, ახლაც ღამით მძინარეს მოეელინენ. ისევ უხუცესმა დაიწყო ლაპარაკი: „შენი და ქლოას ქორწინებისთვის ზრუნვა სხვა ღმერთს ეკითხება. ძღვენს კი, რითაც დრიასის გულს მოინადირებ, ჩვენ მოგცემთ. ახალგაზრდა შეთიმნელთა გემი, რომლის საბელი ოდესღაც შენმა თხუთმა შეჭამეს, იმ დღეს ქარმა ნაპირიდან შორს გაიტაცა. ღამით კი, როცა ქარმა ზღვიდან დაუბერა, გემი ამ კონცხის კლდეებზე გამოაგდო. თვით გემი და ბევრი სხვა რამ, რაც შიგ იყო, დაიღუპა. მაგრამ ქისა და საში ათასი დრაქმა ტალღამ ნაპირზე გამორიყა, ახლა იქ დევს, ზღვის ბალახით დაფარული, დელფინის მძორის გვერდით. ამ ადგილს კარგად ეცნობა, ყველა ცდილობს მალე გაწორდეს მძორის სიმყრალეს. შენ კი წადი, აიღე ქისა და დრიასს მიუტანე. ეყოფა. თუ ახლა ღარიბად არ ჩაგვთვლიან, შენც მდიდარი გახდები".

28. ასე უთხრეს და ღამის სიბნელესთან ერთად გაუჩინარდნენ. როგორც კი ირიერაქა, გახარებული დაფინსი წამოხტა და წკრიალა სტვენით თავისი თხები საძოვარზე გარეკა. ქლოას აკოცა. ნიშნებს ეახლა, თაყვანი სცა, ზღვას ნიაშურა, თითქოს ბანაობა მოეხალისაო. სილაზე, ზედ ნაპირზე, სეირნობდა, საში ათას დრაქმას დაეძებდა. ძებნაში დაიქანცა. მალე ცხვირში მოხვდა ნაპირზე გამოროყული ღელფინის საძაგელი სუნი: მეგზურად სწორედ ეს სუნი გამოადგა. სწრაფად მიირბინა, წყალმცენარე გაჭექა და ფულით სავსე ქისა იპოვა. მაშინვე ხელი დასტაცა და ჩანთაში ჩაიდო, მაგრამ მანამდე არ წასულა, სანამ ნიშნებს და ზღვას მადლი არ შესწირა. იუმცა მწყემსი იყო, მაგრამ ახლა ზღვა უფრო უყვარდა, ვიდრე მიწა, — ზღვა ეხმარებოდა, რომ ქლოა შეეძინა.

29. საში ათასი დრაქმის პატრონი რომ გახდა, თავი ყველაზე მდიდარი ადამიანი ეგონა, მარტო ამ სოფელში კი არა, — მთელ ქვეყანაზე. ქლოასთან რომ მივიდა, თავისი სიხარული უამბო, ქისა უჩვენა და დაიყვირა, ჩემს დაბრუნებამდე თხა-ცხვარი მომწყემსეო. თვითონ კი ჩქარი ნაბიჯით დრიასისკენ გაეშურა. იგი კალთაზე იპოვა, ნაპასთან ერთად პურს ღეჭავდა. დაფნისმა ჭორწინებაზე თამამად დაუწყო ლაპარაკი. „მომათხოვე ქლოა ცოლად, მე კარგი მკა ვიცი, ვენახის მოვლა, ხეების დარგვაც კარგად შემიძლია, ხვნაც ვიცი, ლეწვაცა და განიავებაც. არავეს რომ კარგად ვწყემსავ, ამის მოწმეა თვითონ ქლოაა. ნახეთარი ასეული თხა ჩამაბარეს, მათი რიცხვი გავაორკეცე. დიდი და ლამაზი ვაცები გამოვზარდე. წინათ კი წალებს სხვისი ვაცებით უაკრილებდით. ამას გარდა ახალგაზრდა ვარ, თანაც თქვენი მეზობელი, ჩემზე ცუდს ვერავინ იტყვის. მე წალმა ისევე გამომკეცება, როგორც ქლოა ნერჩმა. სხვებზე უკეთესი ვარ და არ მინდა მათ საჩუქრებითაც ჩამოერჩე. ისინი თუ გთავაზობენ მხოლოდ წალებსა და ნერბებს, ქვეყიან ულელ ხარსა და იმდენ მარცვალს, რაც საკენკად ჭიამებსაც არ ეყოფა, ჩემგან კი, თქვენ საში ათასი დრაქმა. მხოლოდ იცოდეთ, არავის უთხრათ, მამაჩემს ლამონსაც კი". ეს უთხრა და ფული მისცა, გადაეხვია და გადაკოცნა.

30. დრიასსა და ნაპას ამდენი ფული სიზმრადაც კი

არ უნახაოთ; მაშინვე აღუთქვეს, ქლოას მოგათხოვებთო და დაარწმუნეს, ლამონსაც დავითანხმებთო. ნაპა დაუხისთან ერთად განაგრძობდა მუშაობას, კვერში შეპმულ ხარებს ერეკებოდა და ხორბალს ლეწავდა. დრიასმა კი დიდი ქისა დამალა იქ, სადაც ქლოას საჩინო ნიშნები ინახებოდა, შერე სწრაფად გასწია ლამონთან და მირტალთან, რომ ეთხოვა — გაუგონარი ამბაყია — დაფხისმა ქლოა ცოლად შეირთოსო. იმ დროს მიტუსწრო მათ, როცა გახიაკების შვილებს არწყვა დაეწყოთ. ისინი სასოწარკვეთილებას მისცემოდნენ, რადგან მარცველეული მოსცლოდათ იმაზე ნაკლები, რაც დაეთესათ. დრიასმა ცოლქმარი ანუგეშა, ყველა ამას ჩვეისო, შერე კი ხვეწნა დაუწყო, დაფხისმა ქლოა ითხოვოსო. ასე ეუბნებოდა: თუმცა სხვები ბევრ რამეს მთაყვაზობენ, მაგრამ თქვენ, ლამონს და მირტალს, არაფერს გაშოგადრთმევთ, მეტსაც ვიზამ, სარიად მე თქვენთან მოგცემთ რაიმეს. დაფხისი და ქლოა ახალგაზრდები არიან, — ამბობდა დრიასი, — ერთად გაიზარდნენ, თხა-ცხვარს ერთად აძოვებენ და ისეთი მეგობრები არიან, მათი დაშორება არც ისე იოლია. ასაკიც ისეთი აქვთ, რომ უკვე დროა, ერთად იძინებდნენო. აი, ასე ლაპარაკობდა და კიდევ ბევრი რამ თქვა, ყველაფერ ხომ სამი ათასი დრაქმა მიიღო, რათა ისინი დაეწრწმუნებინა. ახლა ლამონს ალარ შეეძლო თავისი სიღარიბე ეთვიზეზებინა — ისინი ხომ სიმდიდრით თაეს არ იწონებდნენ, ვერც ის მოიმიზეზა, დაფხისი ჯერ კიდევ მცირად ახალგაზრდაო, — იგი უკვე ჭაბუკი იყო. ნამდვილი მიზეზის თქმა კი — დაფხისს უკვეთესი საცოლე შეეფერებაო — არასგზით არ უნდოდა და აი, მცირე დუმილის შემდეგ დრიასს ასე უპასუხა:

31. „თქვენ სწორად მოიქეცით, რომ უცხო ადამიანებს შეზობლები ამჯობინეთ და პატრისან სიღარიბეზე მაღლა სიმდიდრე არ დააყენეთ. დაე, პანი და ნიმფები **გწყალობდეთ** ამისთვის! მე თვითონ ვჩქარობ, მინდა ეს ქორწილი მალე გადავიხადო. სულელი ხომ არა ვარ, ჩემნაირმა მოხუცმა კაცმა, ვისთვისაც ერთი მუშახელიც დიდ რაიმეს ნიშნავს, უარი ვთქვა ასეთ მოკეთეებზე, თქვენს ოჯახთან დამეგობრებაზე. ქლოას მსურველიც ვინ არ იქნებაო? ლამაზი ქალიშვილია, ყველაფრით შესაფერი, ახლა იფურჩქნება, მაგრამ მე ხომ მოხუც ვარ და მოდგომამდე გალაგდოთ. ჩვენთან ქალიჭიდან ჩამოვიდნენ და ასე გვითხრეს: ამ დროისთვის თქვენთან ჩამოსვლას თვითონ პატრონი ეპირებისო. ახალგაზრდები მაშინ დაქორწინდნენ. ახლა კი დრო, ერთმანეთი დაძმასაეით უყვარდეთ. მხოლოდ ერთი რამ იცოდე, დრიას: შენ სიძედ ისურვე ჭაბუკი, რომელიც წარმოშობით ჩვენზე ბევრად მაღლა დგას", ეს რომ უთხრა, დრიასი გადაკოცნა და ღვინო მიაწოდა, რადგან სწორედ შუადღე იყო. შერე გაიცილა, პატრისაკენისაც და მეგობრობის გამოხატვა არ დაიშურა.

32. დრიასს ლამონის ბოლო ნათქვამი უყურადღებოდ არ დაუტოვებია. მან რომ ბრუნდებოდა, თავისთვის ასე ფიქრობდა: „ნეტავ ვინ არის ეს დაფხისი? იგი წალმა გამოკვება: ჩანს, მისთვის ღმერთები ზრუნაეენ. ძალიან ლამაზია, სრულიად არა ჰგავს პაშუა ლამონს, არც მის ბელტ დედაკაცს. ერთბაშად დაფხისს სამი

ამათი დრაჭები აღმოაჩნდა. უბრალო მწყემსს ვინ ამდენი პანტაც არ მოეპოვება. ისიც მშობლებს ხომ არ მიუტოვებიათ ქლოასაუით? ისიც ხომ არ უპოვია ლამონს ისე, როგორც მე ქლოა ვიპოვე? მასთანაც ხომ არ ყოფილა იმისი მსგავსი საჩინო ნიშნები, როგორიც ქლოას ჰქონდა? ოჰ, ეს რომ ასე იყოს, მეუფე პანი და საყვარელი ნიმფებო, შეიძლება ქლოას სამდუმლოებასაც ფარდა აეხადოს, თუ ჭაბუკი თავის მშობლებს აღმოაჩენს".

დრიასი კალოსთან მისვლამდე ასე ფიქრობდა თავისთვის და ოცნებობდა. იქ რომ მივიდა, დაფნისი დაინახა, — გაფაციცებით ელოდა, რა ამბავს მომიტანსო. დრიასმა ვაამხნევა, სიძეო, დაეძახა და ძლეთქვა: ქორწილს შემოდგომაზე გადავიხდითო. მარჯვენა ხელი გაუწოდა იმის ნიშნად, ქლოა დაფნისს გარდა არავის წაჰყვებაო.

33. დაფნისი, უშველ-უსმელი, ქლოასკენ გაფრინდა ფიქრზე უსწრაფესად. ქლოა მუშაობდა: ცხვრებს წველიდა და ყველი ამოყავდა. ქორწინების ამბავი ახარა. მას მერე დაუფარავად კოცნიდა, როგორც ცოლს, და მასთან ერთად შრომობდა: თხა-ცხვარს წველიდა, ყველი ამოყავდა, ბატკნები და ოინკნები დედებთან მიჰყავდა, ჭიანქვეშ შეუსვამდა. ყველა საქმეს რომ მოილევდნენ, ხელ-პირს დაიბანდნენ. შიმშილსა და წყურვილს რომ მოიკლავდნენ, მწიფე ხილის საძებრად წავიდოდნენ. ყველაფერი ულევი იყო: წლის ეს დრო უხვია, ტყეშიც, ბაღშიც ბევრი მსხალი და ვაშლიც მოიპოვება. ზოგი უკვე მიწაზე ეყარა, ზოგი ტოტებს შერჩენოდა —

ჩამოცვენილი უფრო სურნელოვანია, ტოტებზე კი უფრო ნაირფერი. ჩამოცვენილებს ღვინის სუნი ჰქონდა, ხეზე შერჩენილი კი ოქროსფრად ბრწყინავდა. ერთ ხეზე ყველა ვაშლი დაეკრიფათ. იდგა უფოთლო და უნაყოფო, ყველა ტოტი გაეტარებინათ. მაგრამ სულ ბაღლი კენწეროზე ერთი ვაშლილა შერჩენოდა, დიდი, მშვენიერი, თავისი საუცხოო ფერით ყველა დანარჩენი დაეჩრდილა. ხილის მკრეფავს ბაღლა ასეა შეშინებია, მის მოსაწყვეტად თავი არ შეუწუხებია. ან იქნებ ეს კარგი ვაშლი სწორედ შეყვარებული მწყემსისთვის შერჩენილა ხეზე?

34. როგორც კი დაუნისმა ეს ვაშლი დაინახა, მაშინვე გადაწყვიტა ხეზე კენწეროზე მოეწყვიტა, თუმცა ქლოამ დაუშალა. ვაჟმა რომ არ დაუჯერა, გულმოსული ქალიშვილი ფარისაკენ წავიდა, დაფნისი კი ხეზე სწრაფად აცოცდა, ვაშლი მარდად მოწყვიტა და ქლოას მიართვა. ქალიშვილი ჯერ კიდევ გულმოსული იყო და ვაჟმა მას ასეთი სიტყვებით მიმართა:

„საყვარელო ქალიშვილო! ეს ვაშლი მშვენიერმა ქალღმერთებმა — ჰორებმა შობეს, და მშვენიერმა ვაშლის ხემ აღზარდა. მზემ დაამწიფა. ბედმა კი მე მარგუნა. თვალს არ მაკლია და მისი მიტოვება ვერ შეუძელი, რათა მიწაზე არ ჩამოვარდნილიყო და ბალახობისას ჯოგს არ გაესრისა, ან მცოცავ გველს არ დაეშხამა, ანდა ასეთ მშვენიერი ცოტა ხნის შემდეგ არ დამჭკნარიყო. აფროდიტეს ხომ სწორედ ვაშლი მიართვეს სილამაზის ჯილდოდ. ვაშლს შენ გთავაზობ ნიშნად შენი გამარჯვებისა. თქვენი მსაჯულნი ერთმანეთს ჰგვანან: იგი ცხვრებს მწყემსავდა, მე კი თხებს ვმწყემსავ".

ასე უთხრა და ვაშლი უბეში ჩაუდო, როცა ვაჟი მისკენ დაიხარა, ქალიშვილმა ისე აკოცა, რომ დაფნისი ხეზე ასე მაღლა ასვლას სრულიადაც აღარ ნანობდა: მან მიიღო კოცნა, რაც ოქროს ვაშლზე უფრო ძვირფასი იყო.

წინა მეოთხე

1. მიტილენედან ლამორის ბატონის გამოგზავნილი მონა ჩამოვიდა და აცნობა, ბატონს სურს რთველის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩამოვიდეს, ნახოს, მეთიმნელთა თავდასხმამ მინდვრები ხომ არ ღაზიანა. უკვე ზაფხულის მიწურული იყო, შემოდგომა ახლოვდებოდა და ლამონს უნდოდა ბატონის შესახვედრად ისე მოემზადებულიყო, მისი გული მოეგო. ნაკადულებს ასუფთაებდა, ანკარა წყალი რომ დაებუდრებინა, ეზოდან ნაკელი გაეტანა, მძიმე სუნს რომ არ შეეწუხებინა, ბაღსაც უვლიდა, მშვენიერი სანახავი რომ ყოფილიყო.

2. ბაღი ჩართლაც მშვენიერი, შეჯიური ჰქონდათ. მთელი სტადიონი ეჭირა, მაღალ ადგილზე გაეშენებინა. სიგანე ოთხ პლეთრონს აღწევდა. ფართო მდელოს მოკეცავნებდა. იქ ყოველნაირი ხილი ხარობდა: ვაშლი, მურტი, მსხალი, ბროწეული და ზეთისხილის ხეები. კაბები მსხლისა და ვაშლის ხეებს შემოხვეოდა და მაღლა ტოტებში მწიფე მტევნები შავად მოჩანდა, თითქოს სხვა ხეების ნაყოფს ეჯიბრებათ. იქ ასეთი ხეხილი იყო, მაგრამ ხარობდა ქვიშაროსი და დაფნაც, ჭადარი და ფიჭვიც. მათ ვაზი კი არა, სურო შემოხვეოდა. მისი მუქი ფერის კენკრების დი-

დი კონები უერძნის მტევნებსა ჰგავდა. ხეხილის ბაღს უნაყოფო ხეები შემოელებოდა, თითქოს მის საფარად დღამიას გალავანი ეშენათ.

მთელ ამ ადგილს კვრინჩხის სხლტე ჰქონდა შემოვლებული. ყველაფერი ზუსტად გაზომილი და გაყოფილი იყო, ღერო ღეროს თანაბრად დაშორებული, ბაღლა კი ტოტები ერთმანეთს დაახლოებოდნენ, ფოთლები გადაეხლართათ. ეს ყველაფერი—ბუნების ნაწყალობევი—ხელოვნების ქმნილება გეგონებოდა. ყვავილთა კულებში ერთი წყება ყვავილებისა თუ ბურებას წარმოუშვა. შეორე — ადამიანის ხელს შეექმნა. ვარდები, შროშანები, სუშპულები ადამიანს გაეშენებინა. უფრო ულებს, იებს, ნარგიზებს თვითონ მიწა ზრდიდა. ზაფხულში აქ ჩრდილი იყო, გაზაფხულზე — ყვავილები, შემოდგომაზე — ხილი და წელიწადის ყოველ დროს აქ ყველაფერი ნეტარებით ივსებოდა.

3. აქედან კარგად მოჩანდა ველი და შეგეძლო დაგენახა მწყემსები, რომლებიც ჯოგს ძოვებდნენ. ზღვაც კარგად ჩანდა და ზღვაოსნებიც, ნაპირს ახლო რომ ჩაუვლიდნენ ხოლმე. ბაღს ესეც მშვენებას ჰმატებდა. სწორედ ბაღის შუაგულში, სადაც მისი სივრძე-სიგანე შუაზე იყოფოდა, ღიონისეს ტაძარი და მისდამი მიძღვნილი საკურთხეველი იყო. საკურთხეველს სურო შემოხვეოდა, თვით ტაძარს კი — ვაზი. ტაძარი ღვინის ცხოვრების სურათებით მოეხატათ: მშობიარე სემელე, მოვლემარე არიადნა, ბორკილდადებული ლიკურგოსი, ნაკუწ-ნაკუწად დაგლეჯილი პენთევსი. აქ იყვნენ დამარცხებული ინდოელებიც, თევზებად გადაქცეული ტარენელებიც.

ერთი მაცნე ჩამოვიდა, ბრძანა, ყურძენი რაც შეიძლება მალე დაკრიფეთო, მეც აქ დავრჩები, სანამ დაწურავთ და ტკბილი დამაჭრდებათ, მერე, რთველი რომ დამთავრდება, ქალაქს დავბრუნდები და ბატონს ჩამოვიყვანო. მაცნეს ევდრომი ერქვა. ეს სახელი იმიტომ შეარქვეს, რომ სწრაფად დარბოდა. მისთვის პატივისცემა არ დაუკლიათ და მამშინვე ყურძნის კრეფას შეუდგნენ. ყურძნის მტევნებს საწნახლებში ყრიდნენ, ყურძნის წვენს კასრებში ასხამდნენ. ყველაზე მწიფე აკიდოებს ინახავდნენ, რათა ქალაქიდან ჩამოსულებს ჰქონებოდათ, რთველში ვართ და ეხარობით.

6. როცა ევდრომი უკვე ქალაქს დაბრუნებას აპირებდა, დაფნისმა უხვი ძღვენი მიართვა. აჩუქა, რის ჩუქებაც მწყემსს შეუძლია: ყველი, პატარა თიკანი, თხის თეთრი ტყავი, ზამთარში მგზავრობის დროს რომ მოეხურა. ევდრომი ძალიან კმაყოფილი დარჩა, დაფნისი გადაკოცნა და შეპირდა, პატრონთან სიტყვას შეგაწევო. ასე წავიდა მთლიანი შეგობრულად განწყობილი. დაფნისი კი ძალიან ღელავდა და განაგრძობდა ქლოასთან ერთად თხა-ცხვრის მწყემსვას. ქალიშვილი წუხდა დაფნისის გამო: ჭაბუკი, რომელიც მხოლოდ თხებს, ცხვრებს მიწისმუშებსა და ქლოას ხედავდა, ახლა პატრონს პირველად უნდა შეხვედროდა, მისი მხიარულად სახელი იცოდა. ქალიშვილს ის აღელვებდა, დაფნისი პატრონთან თავს როგორ დაიჭერსო. ქლოა ქორწინების გამოც წუხდა, — ამაოდ ხომ არ გოცნებობთო. ამასობაში კი ერთმანეთს მუდამ კოცნიდნენ და მაგრად ეხვეოდნენ. მაგრამ მათი კოცნა იყო მფრთხალი, ხვევნა კი ნაღვლიანი, თითქოს

და ყველგან: სატირები, საწნახლებში ყურძნის მწურავნი, ყველგან ბახუსის მოცეკვავე ჭურჭლები. არც პანი დავიწყნოდათ: კლდეზე იჯდა და სალამურს უკრავდა.

4. ასეთი იყო ბალი, რომელსაც ლამონი დიდი გულმოდგინებით უვლიდა. ხშელი ტოტები მოეკრა, ვაზები ხეებზე გაეშვა, დიონისეს მარმარილოს ქანდაკება გვირგვინებით შეემკო, ნაკადულის წყალი ყვავილებთან მიეყვანა. ყვავილების მოსარწყავად დაფნისმა წყაროს მიაგნო. თუმცა ეს წყარო ყვავილებს კეებავდა, მას ყველა „დაფნისის წყაროს“ ეძახდა. ლამონი დაფნისს ყოველთვის ერჩევდა, რაც კი შეიძლება, თხები გაასუქე, ბატონი, დიდი ხანია, აქ არ ყოფილა და არავის ნახვას მოისურვებსო. თვითონ დაფნისი დარწმუნებული იყო, თხების მოვლისათვის ქებას დავიმსახურებო. მგელს ერთიც არ მოუტაცნია, თხებიც ცხვრებზე უფრო დასუქდნენ. უნდოდა, ბატონს უფრო ხალისიანად მიეცა მისთვის დაქორწინების ნება, და არავეს ზრუნვას არ აკლებდა. არიცრაქებდა თუ არა, თხებს საძოვრზე მიერეკებოდა, ცდილობდა, რძის ჯამები ყოველთვის ახალი ჰქონოდა, საწველელებიც და წნელებიც მოზრდილი. ის კი არადა, თხებს რჩებზე ერბოს უსვამდა და მატყლსაც უვარცხნიდა. იტყოდა, პანის სალმრთო არავეს ვხედავო. ჭაბუკთან ერთად ქლოაც უვლიდა თხებს. თავის ცხვრებს ივიწყებდა და სულ თხებზე იყო გადაგებული. დაფნისი ფიქრობდა. მხოლოდ ქლოას წყალობით გამშვენიერდნენო ჩემი თხები.

5. ასე რომ იყვნენ გართულნი, ქალაქიდან კიდევ

ბატონი უკვე ჩამოსულა და შეშინებულნი მას ემალებიანო. ყოველივე ამას კიდევ ერთი ამაღელვებელი ამბავი დაერთო:

7. იყო ერთი ერმე ლამპრიანი ეზოში კაცი, ძროხებს მწყემსავდა. ქლოას ცოლად შერთვა მასაც მოუნდა, ქორწინების დასაჩქარებლად დროსს უკვე ბეყარი ძღვენი მიართვა. მიხვდა, თუ ბატონი ნებას მისცემდა, ქლოას დაფნისი შეირთავდა, ამიტომ სულ იმას ფიქრობდა, ისეთი რა მოეხერხა, რომ დაფნისსა და ლამონს ბატონი გაურისხლებინა. ლამპისმა იცოდა, ბატონს ბალი განსაკუთრებით უყვარდა, და გადაწყვიტა, რაც კი შეძლებოდა, დაემახინჯებინა, გაეფუჭებინა. ხეები რომ მოეჭრა, კაკუნს გაიგონებდნენ და დაიჭერდნენ, ამიტომ ყვავილების მოსპობა განიზრახა. დილაშუას დაუცადა, ღობეზე გადაძერა, ზოგი ყვავილი ამოგლეჯა, ზოგი მილეწ-მოლეწა, სხვა კი ფეხებით გათელა, როგორც ვარეულმა ტახმა, და შეეშინებულად მიიმალა. ცოლით ლამონი ბაღში მიეედა, წყაროს წყლით რომ ყვავილები მოერწყა. ბალი გაეერანებული რომ ნახა, მიხვდა, ეს მძარცველს კი არა, მტერს ჩაუდენიათ, ტანზე კვართი შემოიფლითა და ხმამაღლა ყეირილი მორთო, ღმერთებს უხმობდა. მირტალმა ეს რომ გაიგონა, დაყარა, რაც ხელში ჰქონდა, სახლიდან გამოვარდა, დაფნისსაც თაფლი თხები მიატოვა და მოირბინა. ნახეს, რაც მოხდა, და წივილ-კივილი მორთეს, ცხარე ცრემლი ღვარეს.

8. კაცს უცხაურად მოეჩვენებოდა, ყვავილნარის განადგურებამ ასე რატომ შეაწუხათო. მაგრამ გულამოსკვნით ის ატირებდათ, რომ ბატონის რისხვისა ეშინოდათ. უკეთ ადამიანიც ამის მნახველი მათთან ერთად ატირდებოდა. ეს დამახინჯებული ადგილი სულ ატალახებული იყო. გახადგურების გადარჩენილი ყვავილები ჯერ კიდევ იმედს ყვაოდნენ, კაშკაში გაჰქონდათ, მიწაზე წაქცეულებსაც კი შერჩენოდათ სილამაზე. ფუტკრებიც ჯერ კიდევ ზედ სხდებოდნენ, გაუთავებლად, დაჟინებით ბზუოდნენ, თითქოს ქვითინებენო. თავზარდაცემულმა ლამონმა თქვა: „ეჰაიმე, ჩემი ვარდები დაუგლეჯიათ, ეჰაიმე, ჩემი იები გაუთელიათ! ეჰაიმე, ჩემი სუმბულები და ნარგიზები ავკაცებს დაუფლეთიათ! გახეხული მოვა და ყვავილები ღმერთურჩქნება. ზაფხული დაღგება და ველარ დამშვენდება. შემოდგომაზე ამ ყვავილებით გვირგვინს ვეღარაფინ დაიწნავს. ეს უბედური ყვავილები უფალმა დიონისემაც არ შეიბრალა! შენს გვერდით, შენს თვალწინ იზრდებოდნენ, ამ ყვავილთა გვირგვინებით ხშირად გამკობდი. ეს ბალი ბატონს როგორ ვუჩვენო?! ამას რომ დაინახავს, რა დაემართება? ბრძანებს, მე მოხუცი, მარსიასავით პირველსავე ფიქვზე ჩამომკიდონ. ჩემთან ერთად დაფნისსაც ჩამოჰკიდებს, იფიქრებს, ეს ბალი მისმა თხებმა გაანადგურესო“.

9. ეს რომ თქვა, ყველანი აჭვითინდნენ, ახლა უკვე მწარედ დასტიროდნენ არა მარტო ყვავილებს, არამედ თაფის თავსაც. ქლოაც გულამოსკვნით დასტიროდა დაფნისს, შიშით შეპყრობილი, ვითომ ჩამოახრჩონო, და ღმერთს ევედრებოდა, ბატონი არ ჩამოიყვანოთო. ჭალიშვილება ბძიმე დღეები გაატარა, თითქოს უკვე ხელავდა, დაფნისს რომ ამათრახებდნენ. ღამდებოდა, როცა მათთან ევდრომი ჩამოვიდა და აცნობა: მოხუცი ბატონი

სამ დღეში ჩამოვა, ხვალ კი მისი ვაჟი გვესტუმრებაო. ამსჯელეს იმაზე, რაც მოხდა. ევდრომს თავიანთი შიში ვეუბნიარეს, მისი აზრის გაგება სურდათ. ევდრომმა, დაფნისის მწყალობელმა, ურჩია: ჯერ ყველაფერი ახალგაზრდა ბატონს უამბეთო, თან შეეხვრდა, თორემდე სიტყვას მეც შეგაწევთოო: ბატონის შვილის ძუძუმტე იყო და მას დიდ პატივში ჰყავდა. როცა გათენდა, ასეც მოიქცნენ.

10. ასტილოსი ცხენით ჩამოვიდა, მას თან გვათოზიც ახლდა. ასტილოსს ნიკაპი თდნავ ელინჯლებოდა, გვათოსი კი უკვე დიდი ხანია წვერს იპარსავდა. ლამონი, მირტალი და დაფნისი ასტილოსს ფეხებში ჩაუვარდნენ. სთხოვდნენ: უბედური მოხუცი შეიბრალე და მამაშენის რისხვისგან უდანაშაულო დაიფარეო. მერე ყველაფერი დალაგებით უამბეს. ამ ცუდრებამ ასტილოსს გული აუჩვილა, ბაღში განდგურებულ ყვავილებს ნახა და შეეხარდა, მამას თვითონ ვიხოვ პატიებას, ყველაფერს ჩემს ცხენებს დავაბრალებო. ეუტყვა: აქ მიბმული ცხენები აკუნტრუშდნენ, ყვავილები დალეწეს, გათელეს, მერე კი თავი აიხსნეს, ჭაჭანებით შიწა გადათხარეს-თქო. ლამონი და მირტალი ღმერთებს ეუედრებოდნენ, ასტილოსს ყოველი სიკეთე მიეცითო. დაფნისმა კი ძღვნად მიართვა თაკნები, ყველის კვერეულები, ფრინველი ბარტყებით, ყურძნის ჯიდოები, ვაშლები ტოტებიანად. ამ ძღვენთა შორის იყო აგრეთვე ლესბოსური სურნელოვანი ღვინო, ყველა ღვინოზე უკეთესი სასმელი.

11. ასტილოსმა ძღვენი მიუწოდა და კურდღლებზე

სანადირიდ წაეიდა. მდიდარი ჰაბუკი იყო და სულ ფუფუნებაში ცხოვრობდა. სოფლად ახალი გასართობის საძებნელად ჩამოვიდა. მისი ამხანაგი გვათოსი ღორმუცელა იყო, ისე თვრებოდა, ჭკუა ალაბ ეკითხებოდა და სიმთვრალეშიც ურცხვად იქცეოდა...

12. ...დიონისოფანე და კლეარისტა ჩამოვიდნენ. სასაპალნე ცხოველებმა, მონებმა, მამაკაცებმა და ქალებმა, ყველამ ერთად ძლიერი ხმაური ატეხეს. დიონისოფანე ტანადი, ლამაზი, უკვე ჭალარაშერეული ვაჟკაცი იყო. მასაეით მდიდარი ცოტა თუ ვინმე იქნებოდა, მასაეით კეთილშობილი კი — არავინ. ჩამოსვლის პირველ დღესვე მსხვერპლი შესწირა ღმერთებს, მინდორთა მფარველებს, დემეტრეს, დიონისეს, პანსა და ნიმფებს, იქ მყოფთ კი კრატერი ღვინო დაუდგა. მომდევნო დღეებში ლამონის ნაშრომში დათვალიერა და რომ ნახა კეთლგაველებული, კარგად დახნული მინდვრები, გაღალნებული ვენახი, ბაღი მთელი თავისი ჰშვენებით — ყვავილების განდგურება ასტილოსმა დაიბრალა — დიონისოფანე კმაყოფილი დარჩა, ლამოხი შეაქო და გათავისუფლება აღუთქვა. მერე არვეე მოინახულა, რომ თხები და მისი მწყემსი ენახა.

14. ჭლოას ამდენი ხალხისა შერცხვა. შეშინდა და ტყეში გაიქცა. დაფნისი კი იდგა წელგაშართული: თეძოებზე თხის ხშირბეწვიანი ტყავი შემოეხვია, მხარზე ახალლახალი ჩანთა ეკიდა, ერთ ხელში ჰყინტი ყველი ეჭირა, მეორეში ძუძუთა თიკნები. თუ თდესმე აპოლონი ლათოუდონტთან სამსახურის დროს მის ჯოგს მწყემსავ-

და, ისიც ისეთი იქნებოდა, როგორიც მაშინ მათ წინ მდგომი დაფნისი იყო. არაფერი არ უთქვამს, მაგრამ ლოყები აუღაღადდა, თვალები დაბარა და ბატონს ძლევნი მიართვა. ლამონმა კი თქვა: „ბატონო, აი, ახალი მწყემსი. შენ მიბრძანე ორმოცდაათი წალი და ორი ერკემალი მემწყემსა. ახლა კი მისი შრომით ასი წალი და ათი ერკემალი გყავს. ხედავ, რა მსუქანია. რა სქელმატყლიანი, რქებიც ყველას მთელი აქვს. თხები მუსიკით ისე გაწვრთნილი ჰყავს, რომ სალამურის ხმაზე ყველაფერს აკეთებინებს, რაც თვითონ მოესურვება".

15. იქვე მდგომმა კლეარისტამ ეს რომ მოისმინა, ნათქვამის შემოწმება მოიწადინა და დაფნისს უბრძანა: დაუკარ სალამური თხებისათვისო, თანაც შეჰპირდა, კვირას, ქლამინდსა და ფეხსაცმელს გაჩუქებო. მაშინ დაფნისმა დასუა სტუმრები, როგორც თეატრში მაყურებლები, თვითონ წიფლის ძირში დადგა და ჩანთიდან სალამური ამოიღო. ჯერ მშვიდი სიმღერა დაუკრა — თხები შედგნენ, თავი მაღლა ასწიეს; მერე ბალახობის სიმღერა დაუკრა — თხებმა თავი დახარეს და ბოვა დაიწყეს; შემდეგ ნახად ქეთილხმოვანი სიმღერა დაუკრა — თხები მაშინვე დაწყნენ; მაგრამ აი ყურთასმენის წამღები ჰანგი დაუკრა — თხები, თითქოს მგელი ეპარებაო, ტყეში გაიქცნენ. ცოტა ხნის შემდეგ მოსახმობი სიმღერა დაუკრა — მწყემსს მოაშურეს ტყიდან გამოსულებმა, მის ფეხთან შეჭუჩდნენ. მსახურსაც ვერ ნახავ, ბატონის ბრძანებას ასე რომ ასრულებდეს. ყველა გაოცდა, ყველაზე უფრო კი კლეარისტა. მან დაიფიცა, ასეთ

ლამაზ მწყემსს, ამასთანავე მუსიკოსს, ბევრ საჩუქარს გამოვეგზავნიო. მერე ისინი შინ დაბრუნდნენ და სუფრას მოუსხდნენ. ყველა კერძი დაფნისს უხვად გაუნაწილეს. ჭაბუკი ქლოასთან ერთად შეეჭცეოდა ძღვენს, ტკბებოდა, ქალაქური საჭმელებს რომ სინჯავდა. დიდი ამედი ჰქონდა, ბატონი თხოვნას შეუსრულებდა და ჭობწინების ნებას მისცემდა...

19. ...ასტილოსმა რომ ნახა, მამა ისევ ებსო, სწრაფად მივიდა მასთან და თხოვა, დაფნისს ჩემთან ერთად ქალაქს წავიყვანო, ძალიან ლამაზია და ყველას სწორს, ვინც სოფელში ცხოვრობსო, მოკლე ხანში გვითონაც მას ყველა ქალაქურ საქმეს შეასწავლისო. მამა ხალისით დათანხმდა და ბრძანა: ლამონი და მირტალი აქ შემგვარეთო. სურდა გაეხარებინა ისინი, უთხრა: ამიერიდან დაფნისი ასტილოსს მოუვლის და ერთ თხებსაო; ლამონს შეჰპირდა, დაფნისის ნაცვლად ორ მწყემსს მოგცემთ. და ჯ, როცა ყველა მსახურმა თავი მოიყარა და კმაყოფილება გამოთქვა, ასეთი ლამაზი გაჟაკი მათთან ერთად ცოცობას გაიხიარებდა, ლამონმა სიტყვა ითხოვა და ასე დაიწყო: „მოისმინე, ო, ბატონო, ჩემგან, მოხუცისაგან, მართალი ამბავი. მანსა და ნიმფებს გული ცეკვა, ერთ სიტყვასაც ტყუილს არ ვიტყვი. მე არა ვარ დაფნისის მამა, მირტალს ბედმა არ ეწყალობა, დედა გაბდიროყო. დაფნისი სხვა მწოსელებმა მიატოვეს, ალბათ, მყავდათ უფრო ბოზრდილი შვილები და ახლების ყოლა არ ისურვეს, მე კი იგი ვიპოვე მიტოვებული და ჩემი წალის მეურვეობილი. როცა წალი მოკვდა, ბალის მახლობლად დაკბარბე — მიყვარდა იმიტომ, რომ ბავშვს დედობა გაეწია.

ბალღთან ერთად ვნახე საჩინო ნიშნებიც, — ამას, ბატონო, ახლა ვალიარებ, — რაც შენახული მაქვს. ეს ნიშნები იმის მაჩვენებელია, რომ დაფნისს უკეთესი ბედი მოელის".

20. ლამონმა ყველაფერი ეს თქვა და დადუმდა. ცრემლად დაიღვარა. მოსმენილი ამბით გაოცებულმა დიონისოფანემ შუბლი შრისხანედ შეიკრა და ლამონს ხელახლა დაუწყო გამოკითხვა. უბრძანა: სიმართლე ილაპარაკე და ზღაპრები არ მოჩმახო იმისათვის, რომ ოჯახში ვაჟიშვილი დაიტოვოო. მაგრამ ლამონი თავის ნათქვამზე იდგა. ყველა ღმერთის ფიცულობდა, როგორც უნდათ, ისე მიჯამონ, თუ ეტყუვარო. ვაშინ დიონისოფანე ლამონის ნათქვამმა ჩააფიქრა და იქვე მყოფ კლეარისტას მიმართა: „ლამონმა ტყუილი რატომ უნდა თქვას. როცა ერთის მაგიერ ორი მწყემსის მიღება შეეძლოს? თანაც უბრალო გლეხი როგორ შეძლებდა ასეთი ეშმაკური ამბის მოგონებას? და განა თავიდანვე უცნაური არ მოგვეჩვენა, რომ მას და მის მოხუცსა და შუახედავ ცოლს ასეთი ლამაზი ბიჭი შეჰძენოდათ?"

21. გადაწყვიტეს მარჩიელობაზე ხელი აეღოთ და საჩინო ნიშნები ახლავე გაესინჯათ: ნუთუ მართლა ისინი უფრო დიდებული, ვიდრე ბედ-იღბლის ნიშნებიაო?! მირტალი წავიდა, რომ ყველაფერი მოეტანა, რაც ძველ ჩანთაში ჰქონდა შენახული. როდესაც მოიტანა, მათ გასინჯვას პირველად დიონისოფანე შეუდგა. მეწამული პერანგი, ხაშული ოქროს ბალთა, სპილოს ძვლის ტარიანი პატარა დანა რომ დაინახა, წამოიძახა: „ზევსო მეუფეო!" მაშინვე ცოლს დაუძახა. მან კი ნახევართანაც იკივლა:

„ოი, კეთილო მოირებო! ეს ხომ ის ნივთებია, ჩვენს მიტოვებულ ვაჟიშვილს რომ თან გავატანეთ? სოფროსინა მაგშვიათად ამ ადგილებში ხომ არ გამოგვეგზავნა? დიახ, ეს სწორედ ის ნიშნებია! ჩვენო საყვარელო ქმარო, ეს ჩვენი შვილია დიონისი, შენი ვაჟი, ის კი მამის თხებს მწყემსავდა!"

22. სანამ კლეარისტა ჭერ კიდევ ლაპარაკობდა, დიონისოფანე კი საჩინო ნიშნებს კოცნიდა და უზომო სიხარულით ტიროდა, ასტილოსმა რომ გაიგო, დიონისი მისი ძმა იყო, ლაბადა იქვე დააგდო და ადგილს მოსწყდა, ბილი გალაირბინა, სურდა ძმის კოცნა ყველაზეთვის დაესწრო. დიონისმა რომ დაინახა, ასტილოსი ჩვენებურ მორბისო, ხმამაღლა ეძახდა და თანაც მთელი ბრბო ასდევნებოდა, იფიქრა, ჩემი დაშერა უნდაო, თავისი ნაბდა და სალამური დაყარა და ზღვისკენ გაიქცა, მაღალი ციცაბო კლდიდან რომ გადახტეოდა. სრულიად უცხაური ბედისწერა იქნებოდა, რომ ეს-ეს არის ნშობლების მიერ ნაპოვნი დიონისი დაეკარგათ. მაგრამ ასტილოსი განზრახვას ვერ ასრულებდა და დაუძახა: „შესდექ, დიონის, ნურაფრის გეშინია, მე შენი ძმა ვარ, ვშობლები კი ისინი ბრძანდებიან, ვინც დღემდე შენი მამა-დედა იყვნენ. ეს-ეს არის ლამონმა წალხე გვიამბო და შენი საჩინო ნიშნებიც გვაჩვენა. მობრუნდი, შეგობრებო, ყველა მოლხენილი, გაბარებული, მომკონარი აქეთ მოეშურეთ. მაგრამ პირველად მე მაკოცე. ნიშნებს გეფიცები, ორი ვეყავი".

23. ასეთი ფიცით ძლივ-ძლივობით შეძლეს დიონისის შეჩერება, იგი შეუდგა ასტილოსს მოუკოცნა. როცა

მოირბინა. დაფნისმა იგი მკერდში ჩაიკრა და გადაკოცნა. ამასობაში სხვებიც მოიკრიბნენ, მოახლე ქალები, მსახურნი, თვით მშობლებიც მოვიდნენ. ყველა ეხვეოდა, კოცნიდა, სიხარულისგან ტიროდა. დაფნისი დედა-მამას უფრო ეალერსებოდა, ვიდრე სხვებს. თითქოს მშობლებს დიდი ხანია იცნობსო, მკერდს ეკვროდა, ვედარ შორდებოდა. ბუნების ხმა ასე სწრაფად გაიძულებს, რომ ერწმუნო. ცოტა ხნით ქლოიც გადაავიწყდა. შინ რომ დაბრუნდა, ჭვირფასი ტანსაცმელი ჩაიცვა, მშობელი მამის გვერდით დაჯდა და მისგან ასეთი ამბავი მოისმინა:

24. „შვილებო, ოჯახს ძალიან ადრე მოვკიდე ხელი, როგორც ვფიქრობდი, ბედნიერი მაშა ვიყავი. პირველად ვაჟი შემეძინა, მერე გოგონა, მესამე კი დაფნისი იყო. ყოფიჩრე, უკვე საქმეოდ მყავს შვილები-მეთქი და გადავწყვიტე, აი ამ ჩვილზე, რომელიც ამქვეყნად მესამე გაჩნდა, ხელი აეღო. აი ეს ნიეთები დავეწყე, — ისა როგორც საჩინო ნიშნები, არამედ უფრო როგორც სამკლოვიარო შესაწირავი. მაგრამ ბედმა სხვანაირად ინება. ჩემი ქალ-ვაჟი ერთი და იმავე სნეულებით ერთ დღეს დამებოცა, შენი თავი კი ღმერთთა განგებამ გადამარჩინა. სიბერეში მარტო ერთი ბუჩქი რომ არ გვყოლოდა. მკაცრ მსჯავრს ნუ დამდებ იმისათვის, რომ მიგატოვე. ეს გულარხეინად არ გადამიწყვეტია. შენ კი, ასტილოს, არ იდარდო, მხოლოდ ნახევარს და არა მთელ ჩემს ქონებას რომ მიიღებ. ვინიერი ადამიანისათვის ძნის შეძენაზე უკეთესი არაფერია. გიყვარდეთ ერთმანეთი, რაც შეეხება სიმდიდრეს, შეგიძლიათ

გეფუებს გაეყიბროთ. ბევრ მიწა-წყალს გატოვებთ, ბევრ გაწაფულ მონას, ოქროსა და ვერცხლს, ყველაფერს, რაც მდიდარ ადამიანებს გააჩნიათ. აი, დაფნისს ვაძლევ ამ მამულს, თან ლამონს, მირტალსა და იმ თხებსაც, რომლებსაც მწყემსავდა".

25. დიონისოფანე ჯერ კიდევ ლაპარაკობდა, რომ დაფნისი წამოხტა და თქვა: „დროზე მომაგონე, მამავ. ახლავე წავალ და თხებს დასაწყულებლად წავიყვან: ძნელა წყურიათ და ჩემს სალამურს ელოდებიან, მე კი აქ ვზივარ". ყველას გაეცინა — ბატონი გახდა და კიდევ თხებს მწყემსობა უნდათ. თხების მისახედავად სხვა გაგზავნეს, თუთხონ კი ზევს მსხვერპლი შესწირეს და ლხინზე ყველა მიიპატიჟეს. ამ ლხინს მხოლოდ გნათონი დააკლდა, შიშით შეპყრობილმა მთელი დღე და დამე დიონისეს ტაძარში გაატარა, ღმერთს ევედრებოდა, დამიფარეო. ახლა ნანობდა, რომ ჩამოსულთანავე დაფნისს გამოუსწორებელი შეურაცხყოფა მიაყენა — როგორც ქალს, ისე დაუწყო ალერსი.

მთელ მხარეს სწრაფად მოედო ამბავი, დიონისოფანემ ვაჟად შვილი იპოვა, დაფნისი, თხის მწყემსთა; დილადანვე ყოველი მხრიდან ხალხი მოეშურებოდა, ჭაბუკის ბედი ახარებდათ და მამასთან ძღვენი მიჰქონდათ. ბოს შორის პირველი იყო დრიასი, რომელმაც ქლოა აღზარდა.

26. დიონისოფანემ არავინ ვაუშვა, ამ ბედნიერი ამბის მოწმე ყველა მიიპატიჟა, რომ დღესასწაულში მონაწილეობა მიეღოთ. ბევრი ღვინო და ბევრი მოიმარაგეს, ჭაობის ფრინველები, ძუბუს გოჭები, თაფლიანი ნამცხვრები. იქაურ ღმერთებს ეხვეწ მსხვერპლი შესწირეს.

მაშინ დიფნისმა მთელი თავისი სამწყემსო ქონება შეაგროვა და ღმერთებს შესწირა: დიონისეს — ჩანთა და თხის ტყავი, პანს — სალამური და მრუდი ფლეიტა, ნიმფებს კი — თავისი ქომბალი და საწველელები. ყოველივე ეს მისი გაკეთებული იყო. **ყველაფერი ის, რა**საც შესჩვეოდა, ფიქრი საყვარელი და ძვირფასი ეჩვენებოდა ჯერ კიდევ უცნობ სიმდიდრესთან შედარებით! თვითეულ ნივთს რომ შორდებოდა, დიფნისი მწარედ ტიროდა. თავისი საწველელები უკანასკნელი მოწველის შემდეგ შესწირა, თხის ტყავითაც უკანასკნელად შეიმოსა, თავისი სალამური ჯერ დაიკრა და შერე შესწირა. ყველა ეს ნივთი დაიოკნა, თავის წალებს გამოეთხოვა და ყოველ ვაცს შერქმეული სახელი დაუძახა. იმ წუთის წყალი ღალია, ქლოასთან ერთად რომ სვეშდა. თავისი სიყვარულის გამომეღავნებას კი ჯერ ვერ ბედავდა, ხელსაყრელ შემთხვევას ელოდებოდა.

27. მაშინ, როდესაც დიფნისი ღმერთებს მსხვერპლს სწირავდა, აი, ქლოას რა შეემთხვა. მარტო იყდა და, რასაკვირველია, ტიროდა. თავის ცხვრებს რომ მწყემსავდა, ამბობდა: „დიფნისმა დამიმურწყა, მდიდარ საცოლეებზე ოცნებობს. რატომ ვუბრძანე, რომ ნიმფების ნაცვლად წალები დაეფიცნა? ისინი ისევე მიატოვა, როგორც ქლოა. მაშინაც კი, როცა პანსა და ნიმფებს მსხვერპლს სწირავდა, ქლოას ნახვა არ მოისურვა. ალბათ დღესასწაულზე უკეთესი მხევალნი იპოვა. დაე, ბედნიერი იყოს! მე კი სიცოცხლე აღარ მინდა".

28. ამას რომ ლაპარაკობდა, ამ დროს მწყემსი ლამპისი, ძროხებს რომ მწყემსავდა, გლეხებთან ერთად მო-

ვიდა და ქლოა მოიტაცა. ლამპისი ფიქრობდა, დიფნისი მას აღარ შეირთავს და დრიასიც აღარ დამიწუნებსო. ქლოა შესაბრალისად გაკოცდა, ერთმა გამეცლებმა, ვინც ეს დაინახა, ნაპას აცნობა, მან დრიასს უთხრა, დრიასმა კი დიფნისს. ჭაბუკი კინაღამ ჭკუაზე შეიშალა: მაშას თქმას ვერ უბედავდა და არც ძალა შესწევდა, რომ ეს დარდი გადაეტანა. ბაღში წავიდა, ოხვრას მოჰყვა: „ვაიმე, ნეტავ რად მიცნეს! ჯობდა, მწყემსად დავრჩენილიყავი! რა ბედნიერი ვყოფილი მონობისას! ქლოას შეეცოდა, ახლა კი ლამპისმა მოიტაცა და თან მიჰყავს. ღალმდება და მასთან დაწვება. მე კი ვსვამ, ვტკბები, ამათად დამიფიცნია პანიც, წალებიც, ნიმფებიც".

29. დიფნისის ამ სიტყვებს მოჰკრა ყური გნათონმა, რომელიც ბაღში იმალებოდა, ვადაწყვიტა, ახლა ხელსაყრელი შემთხვევა მეძლევა, დიფნისს შეუტრიგდეობატრილოსის ძიმდენიმე ახალგაზრდა მსახური წაიყვანა, დრიასს მიაშურა, უბრძანა, ლამპისის ბინისკენ გზა მიჩვენეო და იქითკენ მოკურცხლა. სწორედ მაშინ მიუსწრო, როცა ლამპისს ქლოა სახლში შეჰყავდა, იქ მყოფი გლეხები მაგრად მიბეგვა და ქალიშვილი ხელიდან გამოსტაცა. ლამპისის გაკოცვა და ტყვესავით ეიან წაყვანა უნდოდა. მაგრამ იმ ავაზაკმა გაქცევა მოასწრო. გნათონი რომ დაბრუნდა, დიონისოფანეს უკვე ეძინა, დიფნისს კი თვალი არ დაუხუჭავს, ჯერ კიდევ ბაღში ტიროდა. გნათონმა ქლოა მიუყვანა, ჩაახარა და ყველაფერი უამბო. ისიც, რომ ცუდი არ დაეხსომო, თან მიუყოლია, უსარგებლო შოინა არ ეჭრნები, შენს სეფრას ნუ მომამორებ, თორემ შიმშილით მოვკვდებით. დიფ-

ნისპა თავისი ქლოა რომ დაინახა, გულში ჩაიკრა, გა-თოხს შეურივდა, — მან ხომ ასეთი დიდი სამსახური გაუწია, — ქლოას კი ემუდარებოდა, უყურადღებობა მაპატიეო.

30. ერთმანეთში მოითათბირეს და გადაწყვიტეს, ქორწინების ამბავი წერილობით არ გაეშხილათ. ქლოა სადმე აქ დაემალათ და მხოლოდ დედისთვის გაენდოთ ერთმანეთის საქმარული. მაგრამ დრიასი ახალგაზრდებს არ დაეთანხმა; მოითხოვდა, მამისთვის ყველაფერი ეთქვათ, თან შეპირდა: მამაშენს დავარწმუნებ, ქორწინების ნება მოგცესთ. გათენდა თუ არა, დრიასმა ქლოას საჩინო ნიშნები წაიღო, მივიდა დიონისოფანესა და ელეარისტესთან, რომლებიც ბიღნი ისხდნენ. ასტილოსიცა და დაფნისიც აქვე იყვნენ. როცა სიჩუმე ჩამოვარდა, დრიასმა დაიწყო ლაპარაკი: „ისეთივე საიდუმლოება, როგორიც ღამითს ჰქონდა, მაიძულებს ელაპარაკო იმაზე, რასაც დღემდე ვინახავდი: ქლოა ჩემი ღვიძლი შვილი არ არის. მე არ გამომიკვეთია, სხვა ოჯახში დაბადა, ნიმფების გამოქვაბულში ჩვილი ნერგმა გამოკვება. ეს თვითონ ვნახე, ხახულძა გამოაცა, და აღვზარდე. ამას დაემოწმებს გოგონას სილამაზეც, — ჩვენ ხომ ქალიშვილი სრულიად არა გვგავს. ამას დაამოწმებს საჩინო ნიშნებიც, რაც მწყემსებისათვის მეტად ძვირფასია, ამ ნიშნებს დახედეთ და ამ ქალიშვილის ვშობლები იპოვეთ. შეიძლება, ქლოა დაფნისის ღირსი აღმოჩნდეს".

31. დიონისოფანეს მისი ნათქვამი უყურადღებოდ არ დაუტოვებია. მაგრამ დაფნისს რომ შეხედა და დაინახა, როგორ გადათრთოლდა და მალულად ცრემლებიც მოი-

წმინდა, მაშინვე მიხვდა, შეყვარებული იყო. და მამა, რომელიც, რასაკვირველია, უფრო ღვიძლი ვაჟისათვის ზრუნავდა, ვიდრე უცხო ქალიშვილისათვის, დიდი გულმოდგინებით შეუდგა დრიასის ნათქვამის შემოწმებას. როდესაც საჩინო ნიშნებიც იხილა — დრიასმა ისინი თან მოიტანა — მოოქროული ფაჩუჩები, სამაჯური, თავსაბური, მაშინ ქლოა მოიხმო და უბრძანა, გული არ გაიტეხო, ქმარი უკვე გყავს, დედ-მამასაც მალე იპოვიო. კლეარისტაც ტკბილად შეხვდა ქლოას და მორთვა დაუწყო, თითქოს უკვე მისი რძალი გამხდარიყოს.

32. აი, ჩად გაიგებდა კაცი, რა ბრის შემკობილი სილამაზე. შდიდრულად ჩაცმული, კოხტად თმადავარცხნილი, პირდაბანილი ქლოა ყველას ისე ლამაზი მოეჩვენა, რომ მისი ცნობა თვით დაფნისსაც კი გაუჭირდა. ყოველი კაცი, საჩინო ნიშნებიც რომ არ ენახა, დაიფიცებდა, დრიასი ქლოას მამა არ არისო. ამისდა მიუხედავად, იგი და ნაპა ლამონთან და მირტალთან ერთად მხართეძოზე წამოწოლილნი ნადიმობდნენ. მომდევნო დღეებშიც მსხვერპლის შეწირვა კვლავ გრძელდებოდა და სუფრას ღვინიანი ფიალებით ამკობდნენ. თავის მხრივ ქლოამ ღმერთებს შესწირა საკუთარი ნიეთები — სალამურო, ჩანთა, ცხვრის ტყავი, საწველელები. დიონო შესწირეს მსხვერპლად იმ ნაკადულს, გამოქვაბულში რომ მოჩუხჩუხებდა. — ქლოას ხომ მის ნაპირას უპატრონა ცხვარმა და იქ ხშირად ბანაობდა. გვირგვინებით შეამკო იმ ცხვრის საფლავი, ძუძუს რომ აწოვებდა. — ეს ადგილი დრიასმა უჩვენა. ქლოამ თავისი ცხვრებისთვის სალამური დაუკრა. დაკრა რომ დაამთავრა, ჭალღვერთებს შეევედრა, მაპოვნინეთ უინც მიმატოვაო.

33. როდესაც სოფელში დროსტარებით უკვე საკმაოდ დატკბნენ, ქალაქს დაბრუნება გადაწყვიტეს, იქ რომ მშობლების ძებნას შესდგომოდნენ და ქორწინებაც არ გადაედოთ. დილას გასამგზაურებლად მოემზადნენ, დრიადს სამი ათასი დრაქმა კიდევ აჩუქეს, ლამონს კი მინდვრებისა და ვენახების მოსაელის ნახევარი, თხები, ოხის მწყემსები, ოთხი ეზელი ხარი და ზამთრის ტანისამოსი აჩუქეს; მასა და მის ცოლს აბჯრობა უბოძეს. ამის შემდეგ დიდი ბრწყინვალებით, ვინ ცხენით და ვინ ეტლით, შინ, მიტილენეს დაბრუნდნენ. ლამით ჩავიდნენ, ამიტომ მათი ჩასვლა მოქალაქეებს არ გაეგოთ. როცა გათენდა, მათ სახლთან მრავალმა ხალხმა მოიყარა თავი. მამაკაცები დიონისოფანეს შვილის პოვნას ულოცავდნენ და კიდევ უფრო მხურვალედ დაუწყეს მილოცვა, როდესაც დაფნისის სილამაზე იხილეს. ქალები კი კლეარისტასთან ერთად ხარობდნენ, მან ერთბაშად ვაჟიცა და რძალიც ჩამოიყვანა. ქლოამ თავისი უებრო სილამაზით ყველა გააოცა: ამ ჰაბუკისა და ქალიშვილის ხილვამ მთელი ქალაქი აიჩოჩქოლა. უკვე ბედნიერ ქორწინებას ესპერვებდნენ. ნატრობდნენ, ქლოას თავისი სილამაზის შესაფერი მშობლები ეპოვნა. ბევრი მდიდარი ქალი ღმერთებს ევედრებოდა, ამ მზეთუნახავის დედა ხეტაც მე ვიყოო.

34. და, აი, ერთხელ დიონისოფანეს, როცა ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ ღრმა ძილს მიეცა, ესიზმრა, თითქოს ნიმფები ოხოვდნენ ეროტს, პოლოს და პოლოს დაფნისი ცა ქლოა დაექორწინოო. თითქოს ეროტმა თავისი მშვილდი ძირს დაუშვა, კაპარჭი გადადო და უბრძანა დიონისოფანეს, მიტილენეს ყველა დიდგვაროვანი მოქალაქე ღამით ეთქვა, როცა საბოლოო თასი შეივსება, ყოველ სტუმარს ქლოას საჩინო ნიშნები უჩვენე, მერე კი საქორწინო ჰიმნი იმღერეო. ასეთი სიზმარი რომ ნახა და ასეთი ბრძანება მოისმინა, დიონისოფანე ტილას ადგა და ბრძანა, უხვი სუფრა გაშალეთ, არაფერი დაიშუროთ, რასაც მიწა, ზღვა, ჭაობი და მდინარე იძლეოდა. მიტილენეს ყველაზე წარჩინებული მოქალაქეები სანადიმოდ მიიპატიჟა. როცა დაღამდა და თასი შეავსეს, რითაც ჰერმესს ჩვეულებრივ ღვინოს მსხვერპლად შესწირავენ ხოლმე, ერთ-ერთმა მსახურმა ლანგრით საჩინო ნიშნები შემოიტანა, სტუმრებს მარცხნიდან მარჯვნივ ჩამოუარა და ყველას უჩვენა.

35. ნიშნები თავისად ვერაცინ ცნო, მხოლოდ სუფრის თავში წამოწოლილმა მოხუცმა მეგაკლემ იცნო და ხმამაღლა წამოიძახა, თითქოს ახალგაზრდობა დაუბრუნდაო. „ამას რას ეხედავ? რა დაგემართა. ჩემო გოგონავ? ნუთუ ცოცხალი ხარ, ან იქნებ ვინმე შენყვმსმა ეს ნივთები შემთხვევით წაიღო? გემუდარები, დიონისოფანე, მითხარ, როგორ ჩაგვარდა ხელში ჩემი ქალიშვილის საჩინო ნიშნები? ნუ იქნები შურიანი, თვითონ დაფნისი სომ ვაოვე, შვილი მეც მაპოვნინე". მაშინ დიონისოფანემ შესთავაზა, ყურ მიაპეო, ბავშვი როგორ მიატოვეთ. მეგაკლემ ისევ ხმამაღლა დაიწყო ამბის მოყოლა: „წინათ ღარიბი ვიყავი, რაც მქონდა, ხალხისთვის ზეიმების მოსაწყობად, სამხედრო გემების ასაშენებლად დავხარჯე. ასეთ მდგომარეობაში ვიყავი, როცა ქალიშვილი გამიჩნდა, სოლარიბეში მას აღზრდას შევუშინდი და თა-

ეიდან მოვიშორე, ამ საჩინო ნიშნებით შევამკე: ბე ხოჭ
ვიცოლი, ბევრს უნდა ასე მაინც გახდეს მამა. ბავშვი
ნიშფების გამოქვაბულში დაეტოვე, ღმერთებს ჩავაბარე.
ამის შემდეგ სიმდიდრე ყოველდღე სეშკენ მოცურავ-
და, შემკვიდრე ვაჟი კი აღარ გაჩიჩნდა. კელავ ცამა ეკ-
ღარ გაეხდი თუნდაც მეორე ქალიშვილისა. ღმერთები
თითქოს დამცინოდნენ, ღამღამობით სიზმრებში ეაუწ-
ყებდნენ, ხერბი კელავ მამად გაგხდისო".

36. დიონისოფანემ მეგაკლეზე ეფრო ხმამაღლა შეჰ-
ყვირა, წაბოიჭრა და საეკლოოდ მორთული ქლოა შემო-
იყვანა. მან თქვა: „აი, ეს ბავშვი მიატოვე შენ, მეგაკლე!
ქალღმერთთა განგებით ეს ქალიშვილი ნერბმა გაძო-
კვება, ისე როგორც წალია — დაფნისი. შენი საჩინო ნი-
შნები და ქალიშვილი ჩაიბარე. როცა ჩაიბარებ, დაღეისს
მ'ათხოვე. ორივე მიყატოვეთ, ორივე ვიპოვეთ. პანი
და ნიმფები ორიეულთაის ზრუნაყლნენ". მეგაკლეს მას-
პინძლის ნათქვამი მოეწონა, თავისი ცოლის — როდას
მოსაყვანად კაცი გაგზავნა და ქლოა მკერდში ჩაიკრა.
ღამის გასათეყად არ დარჩნენ. დაყნისმა დაიფიცა
ახლა კი ქლოას არაფის გავატან, არც მის ღვიძლ მამასო.

37. როცა გათენდა, ახალგაზრდები ერთმანეთს შეუ-
თანხმდნენ და ისევ სოფელში დაბრუნდნენ: ამისთვის
დაფნისსა და ქლოას დიდი მუდარა დასჭირდათ — ჭა-
ლაში ცხოვრება ვერ აიტანეს. მწოხლებმა გადაწყვი-
ტეს მათთვის მწყემსური ქორწილი გადაეხადათ. როცა
ლამონთან ჩავიდნენ, მეგაკლეს დრიასი მიუყვანეს, როდა
კი ნაპას გააცნეს და ბრწყინვალე ქორწილის სამზადისს
შეუდგნენ. აქ მამამ ქლოა კელავ ნიმფებს ჩააბარა და

ხხვა არაკელ მეწყრელობათა შორის საჩინო ნიშნებ
შესწირა, დროსს კი დაუმატა ის, რაც ათი ათას დრ
ხანდე აკლდა.

38. საეკლოო ამინდი იყო და დიონისოფანემ პრძა
ნადიმისთვის მხარეებზე წამოსაწოლად აქვე გამოკ
ბულის წინ მწვანეზე ფოთლები დაეფინათ. ლხინზე ყ
ლა ახლოახლო მოსახლე გლეხი დაპატიჟა და უხვ
გაეპასპინძლდა. აქ იყვნენ ლამონი და მირტალი, დრ
სი და ნაპა, დორკოს ნათესავები, ფილეტასი თავ
ეკავშვილებით, აქ იყო ლამპისიც კი, რომელსაც დ
შაული პატივს. ამ ყველაფერი ისე იყო, როგორც
გვარ ნადიმებზეა ხოლმე ლაპარაკი. სოფლელ
ზოგი ცდეროდა, როგორც მკელნი მღერიან, ზოგი
პოშწეველად ხუმრობდა. თითქოს საწნახელში ყურძ
წურაენო, ფილეტასი სალამურს უკრაედა. დრი
ლამონთან ერთად ცეკვავდა. დაფნისი და ქლოა ერთ
ნეთს კოცნიდნენ. თხები აქვე მახლობლად ძოვდ
თითქოს ზეიმში ისინიც მონაწილეობენო. ჭალაკ
სტუმრებს ეს არც ისე მოსწონდათ, სამაგიეროდ დ
ნისი ზოგიერთ წალს სახელს ეძახდა. მწვანე ფოთო
აწოდებდა, რქებში ხელს სტაცებდა და კოცნიდა.

39. ეროს ასე გაატარეს არა მხოლოდ იმ დღეს, თ
ანთი ცხოვრების უმეტესი ნაწილი მწყემსურად იცხ
რეს: თაყვანსა სცემდნენ ღმერთებს — ნიმფებს, პა
და ეროტს. შეიძინეს დიდძალი თხა-ცხვარი და უველ
ვემრიელ საჭმელად მიაჩნდათ ხილი რძით. როცა ე
შეკრიბნათ, იგი წალს გამოაკვებინეს, როდესაც მე
ბავშვი გაუჩნდათ, ნერბს შეუსვეს ცურქვეშ კაში ფი

მონი დაარჭვეს, გოგონას — აგელა. ასე იცხოვრეს მწყემსურად სიბერემდის, გამოქვაბული შეამკეს, სურათებით მოხატეს და ეროტის-მწყემსის პატივსაცემად საკურთხეველი აღმართეს. პანისთვის კი სიდგომი მოაწყვეს ფიჭვის ძირში კი არა, ტაძარში და ამ ტაძარს პირი-მეომრის ტაძარი ეწოდეს.

40. მაგრამ ეს ყველაფერი შერე მოაწყვეს და ასეთი სახელებიც შერე შეარქვეს. იმ დღეს კი, როცა შებინდდა, ახალგაზრდები ყველამ საქორწინო ოთახამდე მიაცილა, სალამურებს. ფლეიტებს უკრავდნენ, წინ უზარმაზარი ჩირაღდნებით მიუძღოდნენ. როცა გამცილებლები კარს მიუახლოვდნენ, ხრინწიანი უხეში ხმებით აღიერდნენ, თითქოს ორთითით მიწას უშვინიანო, საქორწინო სიმღერას ალარ მდეროდნენ. დაფნისი და ქლოა კი ერთმანეთს ჩაეხვივნენ, კოცნიდნენ და უძილო ღამე გაატარეს — იმდენიც კი არ უძინიათ, რამდენიც ღამის ბუკიოტებს. დაფნისმა ყველაფერი გააკეთა, რაც ლიკაინიონმა ასწავლა. ქლოაც მაშინ მიხვდა პირველად, რომ ყველაფერი ის, რასაც ტყეში სჩადიოდნენ, მხოლოდ მწყემსური ხუმრობა იყო.

ЛОНГЕ
ДАФНИС И ХЛОЯ
(На грузинском языке)
Детиздат Грузинской ССР
«Накадули», Тбилиси, 1970

რედაქტორი გ. ბელაძე
გამომცემლობის რედაქტორი ე. ახალკაცი
მხატვარი ი. ფუთურიშვილი
მხატვრ. რედაქტორი ნ. დოლიძე
ტექრედაქტორი ბ. ასათიანი
კორექტორები: დ. კალანდარიშვილი და ი. ბაჭიაშვილი
გადაეცა წარმოებას 27/II-70
ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/II-70
ქაღალდის ზომა 70×108¹/₃₂
ნაბეჭდი თაბახი 4,4
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3,97
ტირაჟი 10.000 ფასი 22 კაპ. შეკვ. № 6539

გამომცემლობა „ნაკადული", მარჯანიშვილის ქ. № 3
Изд. «Накадули», ул. Марджанишвили № 3
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პოლიგრაფიის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მოსკოვრაიონგრაფმრეწველობის სტამბა № 2 „ნაკადული", ჯერ ცენტრალის ქ. 5
Типография № 2, «Накадули», Главполиграфпрома Государственного Комитета Совета Министров Грузинской ССР по печати, Тбилиси, Пушкинская, 5